

ნათელა მაღლაკელიძე, ნინო ჯაჭვი, ნინო თოდუა

# ქართული ენა და ლიტერატურა

## 8

### მასწავლებლის წიგნი

გრიფი მიენიჭა 2012 წელს საქართველოს განათლებისა და  
მეცნიერების სამინისტროს სსიპ – განათლების ხარისხის  
განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი 2012

# ქართული ენა და ლიტერატურა

VIII კლასი

მასწავლებლის წიგნი



ავტორები: ნათელა მაღლაკელიძე, ნინო ჯაში, ნინო თოდუა

რედაქტორი ნელი ელიზბარაშვილი

დიზაინერი დავით კუტუბიძე

ISBN 978-9941-10-537-1

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47. ☎ 239-15-22, 214 77 11  
E-mail: [meridiani777@gmail.com](mailto:meridiani777@gmail.com)

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012  
© ნ. მაღლაკელიძე, ნ. ჯაში, ნ. თოდუა

N. Maglakeridze, N. Jashi, N. Todua  
„Georgian Language and Literature“, the Book of the Teacher 8, in Georgian  
„Meridiani“ Publishing, Tbilisi – 2012

## მეთოდური მითითებანი მასწავლებლებისათვის:

სასწავლო კომპლექსი შედგება ორი კომპონენტისაგან:

ა) მოსწავლის წიგნი,

ბ) მასწავლებლის წიგნი.

„მოსწავლის წიგნი – ქართული ენა და ლიტერატურა, VIII კლასი“ შედგენილია განახლებული ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და ცდილობს, დაიცვას ის მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებულია ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტის მიხედვით. საკითხავი მასალის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა:

1. გრ. ორბელიანი, „ჰე, მამულო“;
2. გ. ტაბიძე, „ნამყე ბეთანიისაკენ“;
3. ო. ჭილაძე, „როდესაც ასე ახლოა გრემი“;
4. ა. სულაკაური, „არ ვიცი ამას რა ჰქვია“;
5. ს. ჩიქოვანი, „თბილისის თოვლი“;
6. გ. ტაბიძე, „მამული“;
7. ი. ჭავჭავაძე, „ერი და ისტორია“;
8. ი. ჭავჭავაძე, „აჩრდილი“ მე-7 თავი;
9. ა. ნერეთელი, „ხატის წინ“;
10. ი. ჭავჭავაძე, „აჩრდილი“, მე-8 თავი;
11. ა. ნერეთელი, „ბაში-აჩუკი“;
12. ი. ჭავჭავაძე, „ქართველის დედას“;
13. ი. ჭავჭავაძე, „აჩრდილი“, 26-ე თავი;
14. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“: „თათბირი ნურადინ ფრიდონისა“;
15. „თათბირი ავთანდილისა“;
16. „თათბირი ტარიელისა“;
17. ი. ჭავჭავაძე, „ჩემო კალამო“;
18. ვაჟა-ფშაველა, „ნიჭიერი მწერალი“;
19. ვაჟა-ფშაველა, „ჩემი ვედრება“;
20. ვაჟა-ფშაველა, „ენა“;
21. ტ. ტაბიძე, „რია-რია“;
22. ა. კალანდაძე, „რა ვარ? სტვირი ვარ“;
23. გ. ტაბიძე, „მზეო თიბათვისა“;
24. კ. გამსახურდია, „დიდი იოსები“;
25. ჭ. ამირეჯიბი, „მოსე ზამთარადის ნაამბობი“;
26. რ. ინანიშვილი, „პატარა ბიჭი გოლგოთაზე“;
27. ნ. ბარათაშვილი, „ფიქრნი მტკვრის პირას“;
28. სულხან-საბა ორბელიანი, „უნადვლოთა მძებნელი“;
29. ვაჟა-ფშაველა, „იას უთხარით ტურფასა“;
30. დ. კლდიაშვილი, „დარისპანის გასაჭირი“;
31. დ. გურამიშვილი, „ისმინე, სწავლის მძებნელო“;
32. ი. ჭავჭავაძე, „შინაური მიმოხილვა“;
33. ნ. ბარათაშვილი, „ცისა ფერს“;
34. ნ. ბარათაშვილი, „არ უკიჟინო, სატრფოო“;
35. ვაჟა-ფშაველა, „სამეფო სიმღერა“;
36. ლ. ასათიანი, „სპარსელ ასულს“;
37. თ. ჭილაძე, „ყინწვისი“;
38. გ. ტაბიძე, „გაგონდება თუ არა“;
39. გ. ტაბიძე, „რაც უფრო შორს ხარ“.

საკითხავი მასალის ნაწილი შერჩეულია ჩვენ მიერ. ეს არის:

1. რ. ინანიშვილი, „სამგორი“;
2. გ. რჩეულიშვილი, „უსახელო უფლისციხელი“;
3. მ. ლებანიძე, „უფლისციხესთან“;
4. ჰ. ჰესე, „პოეტი“;
5. ჩ. დიკენსი, „ნუთისოფელი“;
6. საადი, „აღზრდისათვის“;
7. ნიზამი განჯელი (ლამაზ ქრისტიან ქალზე ვლოცულობ);
8. ო' ჰენრი, „სიყვარულის მსახურება“;
9. ლ. გოთუა, „ყინვისის ანგელოზი“;
10. გ. ტაბიძისა და ოლღა ოკუჯავას პირადი წერილები.

ტექსტები დალაგებულია თემატურ-ბუდობრივი პრინციპის მიხედვით. ეს ბუდეებია:

**I თემა: „საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი!..“**

**II თემა: ერი და ისტორია**

**III თემა: „სად არის გმირი?“**

**IV თემა: ჩვენი „ვეფხისტყაოსანი“**

**V თემა: „ჩემო კალამო“**

**VI თემა: „ხანი უნდობარი“**

**VII თემა: „ნუთისოფელი ასეა“**

**VIII თემა: „სწავლა სინათლეა“**

**IX თემა: „სიყვარულის დღესასწაული“**

საკითხავი მასალის დამუშავება გათვალისწინებულია ინტერაქტიური მეთოდების გათვალისწინებით, რაც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, კითხვის სტრატეგიების დაუფლებას, მეორე მხრივ კი – მოსწავლეთა შემოქმედებით აქტივიზაციას. ამ მიზნით მეთოდურ აპარატში ტექსტის კითხვა-დამუშავებასთან დაკავშირებული კითხვები დალაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით: **გავიგოთ** (ფაქტობრივ მასალაზე ორიენტირებული), **გავიაზროთ** (ანალიზზე ორიენტირებული), **შევაფასოთ** (შეფასებასა და სინთეზზე ორიენტირებული).

ვეცადეთ, ლიტერატურულ მასალასთან მჭიდრო კავშირში წარმოგვედგინა ენობრივი მასალაც. აქ ყურადღება გამახვილებულია როგორც ტექსტის ენობრივ-სტილისტურ თავისებურებებზე (იხ. რუბრიკა „ენობრივ მხარეზე დაკვირვება“), ისე – პრაქტიკული სტილისტიკის, ლექსიკოლოგიის, ორთოგრაფიის, პუნქტუაციის საკითხებზე (იხ. რუბრიკა „მშობლიური ენის სამყაროში“). ენობრივ მასალაზე მუშაობისას ვიყენებთ ე.წ. „ენაზე დაკვირვების“ მეთოდს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ ჩართვას საგაკვეთილო პროცესში და ამავე დროს, აიოლებს თეორიული დეფინიციების მიწოდებას იქ, სადაც ეს აუცილებელია. ვეცადეთ, რომ თეორიული მასალის მიწოდება მაქსიმალურად შეგვეზღუდა და წინა პლანზე წამოგვეწია ცალკეული გრამატიკული კატეგორიების ფუნქციური ასპექტები. ამ თვალსაზრისით არის წარმოდგენილი გრამატიკის (ძირითადად სინტაქსისა და მასთან დაკავშირებით პუნქტუაციის) საკითხები. მათი გაცნობისას წინა პლანზე დგება პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება და არა სათანადო წესებისა და განსაზღვრებების მექანიკური დაზეპირება (რაც არცთუ უსაფუძვლოდ მიიჩნევა ჩვენს სკოლებში გრამატიკული მასალის სწავლების ძირითად ნაკლად). ვეცადეთ, საგანგებო დაკვირვების საგნად გვექცია მწერლის ენობრივ-სტილური თავისებურებანი და ამასთან, მჭიდრო კავშირში გავგეცნო მხატვრული გამოსახვის საშუალებანი. ტექსტებთან მჭიდრო კავშირშია ლიტერატურის თეორიის საკითხებიც, რაც, ჩვენი აზრით, მოსწავლეს გაუადვილებს, ერთი მხრივ, მწერლის ენის თავისებურებებში გარკვევას, მეორე მხრივ კი, ხელს შეუწყობს ენის გამომსახველობითი ასპექტის გააზრებას, ამასთან დაკავშირებით სათანადო სამეტყველო უნარ-ჩვევების დაუფლებას. ამ ეტაპზე საგანგებო ყურადღება ექცევა ასევე ფუნქციონალური სტილის საკითხების გაცნობასა და ამ კუთხით სხვადასხვა სახის ტექსტის ძირითად თავისებურებებში გარკვევას.

ნიგნში ცალკე რუბრიკის („ეს საინტერესოა“) სახით მოცემულია დამატებითი ინფორმაცია ამა თუ იმ ტექსტის შესახებ; ასევე ცალკე რუბრიკის სახით ვთავაზობთ მოსწავლეებს ამონარიდებს ცნობილი კრიტიკოსების ნააზრევებიდან („თვალსაზრისი“), რაც მათ, ჩვენი აზრით, გაუადვილებს ამა თუ იმ ტექსტის გააზრებას და დაეხმარება საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებაში.

ცალკე რუბრიკად არის გამოყოფილი აგრეთვე „სადისკუსიო კლუბი“, რომლის მიზანიც ასევე საკუთარი მოსაზრების გამოთქმა და არგუმენტირებაა.

საკითხავ ტექსტებს ახლავს საწერი დავალებები. ვეცადეთ, რომ ეს დავალებები საკმაოდ მრავალფეროვანი და მოსწავლეთათვის საინტერესო ყოფილიყო. ჩვენი აზრით, აქ წარმოდგენილი საწერი დავალებები ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული წერის სტრატეგიების დაუფლებას. განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ ფუნქციური წერის ელემენტებზე. თუ მასწავლებელი არასაკმარისად ჩათვლის ამ სავარჯიშოებს, რა თქმა უნდა, მას შეუძლია მათი შეცვლა და გამრავალფეროვნება საკუთარი შეხედულებისამებრ.

**„მასწავლებლის წიგნი“** წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს მასწავლებლისათვის. მასში მოცემულია მხოლოდ რამდენიმე სანიმუშო გაკვეთილის სცენარი. სცენარებში ჩავრთეთ ის უახლესი მეთოდები, რომელთა დიდი ნაწილი ახლა იკიდებს ფეხს და შესაძლოა, ამ კუთხით საინტერესო აღმოჩნდეს მასწავლებლისათვის. სცენარების ბოლოს მითითებულია „მოსალოდნელი შედეგები“, რაც სათანადო კოდით არის აღნიშნული. რა თქმა უნდა, აქ წარმოდგენილი „სცენარები“ მხოლოდ **საორიენტაციოა და არა სავალდებულო**. პედაგოგს შეუძლია შეცვალოს თავისი შეხედულებისამებრ მეთოდი, საათებისა და საორიენტაციო დროის განაწილება, აქტივობები... აქვე ჩავურთეთ ის საინფორმაციო მასალაც, რომელიც შესაძლოა, მასწავლებელს დასჭირდეს ამა თუ იმ ტექსტის დამუშავებისას. ეს „დამატებითი ინფორმაციები“ მხოლოდ მასწავლებლისათვის არის განკუთვნილი. პედაგოგის გადასაწყვეტია, რა სახით გამოიყენებს მას გაკვეთილზე.

ნიმუშის სახით მასწავლებელს აქვე ვთავაზობთ ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამა-სილაბუსს. ეს სილაბუსიც, ისევე როგორც ჩვენ მიერ წარმოდგენილი საგაკვეთილო სცენარები, საორიენტაციოა და არა სავალდებულო. იმედი გვაქვს, რომ იგი დაეხმარება პრაქტიკოს მასწავლებელს სასწავლო მასალის დაგეგმვაში.

## პროგრამა-სილაბუსი ნიმუში

საგანი – ქართული ენა და ლიტერატურა

კლასი – მე-8

პედაგოგი –

კურსის მოცულობა – 160 აკადემიური საათი (34 სამუშაო კვირა, 5 კვირეული საათი)

### სასწავლო კურსის მიზნებია:

- განუვითაროს მოზარდს ძირითადი სამეტყველო უნარები (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი);
- გამოუმუშაოს წერიტი და ზეპირი მეტყველების კულტურა;
- განუვითაროს საკუთარი აზრის ლოგიკური თანმიმდევრობით გამოთქმისა და სხვადასხვა დანიშნულების წერილობითი ტექსტის შექმნის უნარი;
- ჩამოუყალიბოს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების უნარი;
- შეაყვაროს კითხვა; გამოუმუშაოს ლიტერატურის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის, აღქმისა და გაცნობიერების უნარი;
- გააცნობიერებინოს ეროვნული და ზოგადსაქართველო კულტურა, როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესი.

### ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებამ მე-8 კლასში უნდა უზრუნველყოს:

- მსჯელობის უნარის განვითარება, საკუთარი აზრის დასაბუთება სათანადო ტექსტობრივ საფუძველზე;
- ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული პრობლემატიკის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, პიროვნული პოზიციის ჩამოყალიბება და მისი არგუმენტირება; მათში ასახული ფასეულობების აღქმა-გააზრება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა;
- ტექსტებთან შემოქმედებითი (თავისუფალი) დამოკიდებულების გამომუშავება;
- დისკუსიებში მონაწილეობა, მონოლოგიური და დიალოგიური მეტყველების უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბება;
- ტექსტის ანალიზის უნარის განვითარება;
- საგანმანათლებლო მიზნით სხვადასხვა რესურსით (ლექსიკონები, ბიბლიოთეკა, ინტერნეტი და სხვ.) სარგებლობა;
- მიზნობრივი ამოცანის შესატყვისი სტილით წერა და მეტყველება;
- ორთოგრაფიული და პუნქტუაციური ნორმების სათანადოდ გამოყენება წერის პროცესში.

**1. სასწავლო კურსის შინაარსი** (თემებისა და საკითხების ჩამონათვალი მათი დამუშავებისათვის განკუთვნილი სავარაუდო საათების მითითებით):

## I თემა: „საქართველო იყო მათი საოცნაზო სახელი!..“ (16 სთ)

**1. ტექსტი:** გრ. ორბელიანი, „ჰე, მამულო“;

**ენა** – ზოგადი ცნობები ენის შესახებ: ქართული სალიტერატურო ენის დასაბამი და განვითარების საფეხურები; **ლექსიკოლოგია** – არქაიზმები;

**ლიტერატურის თეორია:** ტროპის სახეები (პრაქტიკულად), პეიზაჟი. 2 სთ.

**2. ტექსტი:** გ. ტაბიძე, „ნამყე ბეთანიისაკენ“;

**ენა** – მწერლის ენაზე დაკვირვება;

**ლიტერატურის თეორია:** მიმართვა, როგორც მხატვრული მეტყველების ერთ-ერთი ფორმა, რეფრენი. 2 სთ.

**3. ტექსტი:** ო. ჭილაძე, „როდესაც ასე ახლოა გრემი“;

**ენა** – მწერლის ენაზე დაკვირვება;

**ლიტ. თეორია:** ტროპული მეტყველება, კონტრასტი. 2 სთ.

**4. ტექსტი:** ა. სულაკაური, „არ ვიცი ამას რა ჰქვია“;

**ლიტერატურის თეორია:** ტროპული მეტყველება, რიტმი, ტაეპი, სტროფი, „კოჭლი სტროფი“. 2 სთ.

**5. ტექსტი:** ს. ჩიქოვანი, „თბილისის თოვლი“;

**ლიტერატურის თეორია:** ტროპული მეტყველება, რითმა, რითმის სახეები. 2 სთ.

**6. ტექსტი:** რ. ინანიშვილი, „სამგორი“;

**ენა** – მეტყველების ტიპები: თხრობა, აღწერა, დიალოგი;

**გრამატიკა:** კრებითი სახელი, რიცხვში შეთანხმების შემთხვევები კრებით სახელთან;

**ლიტერატურის თეორია:** ლეგენდა. 3 სთ.

**7. ტექსტი:** გ. ტაბიძე, „მამული“;

**ენა** – პუნქტუაცია: სასვენი ნიშნები ციტატასთან;

**ლიტერატურის თეორია:** ტროპული მეტყველება. 2 სთ.

I თემის შეჯამება – 1 სთ.

## II თემა: ერი და ისტორია (14 სთ)

**8. ტექსტი:** ი. ჭავჭავაძე, „ერი და ისტორია“;

**ენა** – სალიტერატურო ენის ნორმათა ცვლა;

**ლექსიკოლოგია** – ბარბარიზმები, არქაიზმები;

**ფუნქციონალური სტილის საკითხები** – პუბლიცისტიკა, პუბლიცისტური სტილის ძირითადი მახასიათებლები. 3 სთ.

**9. ტექსტი:** ი. ჭავჭავაძე, „აჩრდილი“ მე-7 თავი;

**ენა** – ლექსიკური და გრამატიკული არქაიზმები, 2 სთ.

**10. ტექსტი:** გ. რჩეულიშვილი, „უსახელო უფლისციხელი“;

**ენა** – ლექსიკოლოგია: სინონიმები, ანტონიმები, ომონიმები;

**პრაქტიკული სტილისტიკის საკითხები** – დროთა თანმიმდევრობის დაცვა თხრობისას, მეტყველების ტიპები: თხრობა, აღწერა, მსჯელობა; ტექსტის სტრუქტურა – აბზაცი;



**გრამატიკა** – მეტყველების ნაწილები, ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები, სრულმნიშვნელოვანი და დამხმარე სიტყვები, წინადადების წევრის რაობა. 4 სთ.

**11. ტექსტი:** მ. ლებანიძე, „უფლისციხესთან“;  
**ენა** – ფუნქციონალური სტილის საკითხები – მეტყველების ძირითადი ტიპები;  
**ლიტერატურის თეორია:** ტროპული მეტყველება. 2 სთ.

**12. ტექსტი:** ა. წერეთელი, „ხატის წინ“;  
**ლიტ. თეორია:** ტროპული მეტყველება. 2 სთ.

**13. შეჯამება** – (1 სთ).

### III თემა: „სად არის გვირი?“ (19 სთ)

**14. ტექსტი:** ი. ჭავჭავაძე, „აწრდილი“, მე-8 თავი;  
**ენა** – ლექსიკოლოგია: ლექსიკური და გრამატიკული არქაიზმები. 2 სთ.

**15. ტექსტი:** ა. წერეთელი, „ბაში-აჩუკი“;  
**ენა** – ლექსიკოლოგია: ფრაზეოლოგიზმები, ანდაზები, აფორიზმები, დიალექტიზმები, ბარბაროზმები;

**გრამატიკა და პუნქტუაცია:** წინადადების ტიპები მოდალობის მიხედვით, კითხვითი წინადადება და მისი სახეები, ბრძანებითი წინადადება და მისი სახეები, წართქმითი და უკუთქმითი ფორმები; ძახილის წინადადება და მისი სახეები; წინადადების წევრები, წინადადების მთავარი წევრი – შემასმენელი, მისი სახეები;

**ლიტერატურის თეორია:** ფაბულა, სიუჟეტი. 12 სთ.

**16. ტექსტი:** ი. ჭავჭავაძე, „ქართვლის დედას“;  
**ენა** – გრამატიკა: წინადადების შედგენილობა წევრთა მიხედვით, წინადადების მთავარი წევრები: ქვემდებარე, ქვემდებარე-შემასმენლის რიცხვში შეთანხმების შემთხვევები. 2 სთ.

**17. ტექსტი:** ი. ჭავჭავაძე, „აწრდილი“, 26-ე თავი. 2 სთ.

**18. შეჯამება** – 1 სთ.

### IV თემა: „ჩვენი ვეფხისტყაოსანი“ (8 სთ)

- 1. ტექსტი:** შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“: „თათბირი ნურადინ ფრიდონისა“ + 1 სთ.
  - „თათბირი ავთანდილისა“ + 2 სთ.
  - „თათბირი ტარიელისა“;
- ენა** – ლექსიკური და გრამატიკული არქაიზმები + 4სთ.
- 4. შეჯამება** – 1 სთ.

### V თემა: „ჩემო კალამო“ ( 17 სთ)

**1. ტექსტი:** ი. ჭავჭავაძე, „ჩემო კალამო“;  
**ენა** – გრამატიკა: წინადადების მთავარი წევრები, ქვემდებარე. 2 სთ.

**2. ტექსტი:** ვაჟა-ფშაველა, „ნიჭიერი მწერალი“;



**ენა – გრამატიკა:** ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმება, **ფუნქციონალური სტილის საკითხები**, პუბლიცისტიკა, პუბლიცისტური ტექსტის ძირითადი მახასიათებლები. 3 სთ.

**3. ტექსტი:** ვაჟა-ფშაველა, „ჩემი ვედრება“;

**ენა – გრამატიკა:** ქვემდებარე და შემასმენელი, მათთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები. 2 სთ.

**4. ტექსტი:** ვაჟა-ფშაველა, „ენა“;

**ენა – ლექსიკოლოგია:** დიალექტიზმები, სალიტერატურო ენა და დიალექტები;

**გრამატიკა:** წინადადების მთავარი წევრები, ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმება. 2 სთ.

**5. ტექსტი:** ტიცვიან ტაბიძე, „რია-რია“;

**ენა – გრამატიკა:** რთულფუძიანი (ფუძეგაორკეცებული) სახელების მართლწერა, ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმება;

**ლიტერატურის თეორია:** ტროპული მეტყველება. 2 სთ.

**6. ტექსტი:** ანა კალანდაძე, „რა ვარ? სტვირი ვარ“;

**ენა – გრამატიკა:** პუნქტუაციისა და ინტონაციის საკითხები. 1 სთ.

**7. ტექსტი:** ჰერმან ჰესე, „პოეტი“;

**ლიტერატურის თეორია:** მხატვრული სახეები – მეტაფორა, ალეგორია; ფაბულა, სიუჟეტი. 4 სთ.

**შეჯამება – 1 სთ.**

## **VI თემა: „სანი უნდობარი“ (24 სთ)**

**1. ტექსტი:** გ. ტაბიძე, „მზეო თიბათვისა“;

**ლიტერატურის თეორია:** ტროპული მეტყველების სახეები, სიმბოლო, როგორც ტროპის ერთ-ერთი სახე. 2 სთ.

**2. ტექსტი:** კ. გამსახურდია, „დიდი იოსები“;

**ენა – ლექსიკოლოგია:** ბარბარიზმები, სიტყვათა სესხება, საერთაშორისო სიტყვები, ნეოლოგიზმები, შემოკლებული სიტყვები და მათი მართლწერა; **გრამატიკა:** წინადადების მთავარი წევრები – პირდაპირი და ირიბი დამატება, წინადადების არამთავარი წევრი – უბრალო დამატება; სახელდებითი წინადადება;

**ლიტერატურის თეორია:** ნოველა, ლირიკული გადახვევა; ლიტერატურული გმირი და პროტოტიპი, ენა. 10 სთ.

**3. ტექსტი:** ჟ. ამირეჯიბი, „მოსე ზამთარაძის ნაამბობი“;

**ენა – გრამატიკა:** წინადადების არამთავარი წევრები: განსაზღვრება, მისი სახეები, მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება;

**ლიტერატურის თეორია – ლიტერატურული გმირი და პროტოტიპი. 8 სთ.**

**4. ტექსტი:** რ. ინანიშვილი, „პატარა ბიჭი გოლგოთაზე“;

**ენა – გრამატიკა:** წინადადების არამთავარი წევრები: ადგილისა და დროის გარემოება;

**ლიტერატურის თეორია:** სიუჟეტი, სიუჟეტის განვითარების საფეხურები. 3 სთ.

**5. შეჯამება – 1 ს.**

## VII თემა: „წუთისოფელი ასა“ (16 სთ)

- 1. ტექსტი:** ნიკოლოზ ბარათაშვილი, „ფიქრნი მტკვრის პირას“;  
**ენა – ლექსიკური და გრამატიკული არქაიზმები, წინადადების არამთავარი წევრები – მიზეზისა და მიზნის გარემოება.** 2 სთ.
- 2. ტექსტი:** სულხან-საბა ორბელიანი, „უნაღვლოთა მძებნელი“;  
**ენა – გრამატიკა:** ვითარების გარემოება, მართლწერის საკითხები. 3 სთ.
- 3. ტექსტი:** ჩარლზ დიკენსი, „წუთისოფელი“;  
**ენა – გრამატიკა:** მარტივი წინადადების სახეები: სრული და უსრული, გავრცობილი და გაუვრცობელი. 3 სთ.
- 4. ტექსტი:** ვაჟა-ფშაველა, „იას უთხარით ტურფასა“;  
**ლიტერატურის თეორია –** ტროპული მეტყველება, ლირიკული გმირი. 2 სთ.
- 5. ტექსტი:** დავით კლდიაშვილი, „დარისპანის გასაჭირი“;  
**ენა – ლექსიკოლოგია:** დიალექტიზმები, წინადადების არანევერი სიტყვები – შორისდებული და სასვენი ნიშნები მასთან;  
**ლიტერატურის თეორია:** ლიტერატურის ჟანრები – დრამატურგია; იუმორი. 5 სთ.  
**შეჯამება –** 1 სთ.

## VIII თემა: „სწავლა სინათლავა“ (7 სთ)

**ტექსტი:** დავით გურამიშვილი, „ისმინე, სწავლის მძებნელო“;  
**ენა –** არქაიზმები, ფრაზეოლოგიზმები – აფორიზმი. 2 სთ

**1. ტექსტი:** საადი, „აღზრდისათვის“. 2 სთ.

**2. ტექსტი:** ი. ჭავჭავაძე, „შინაური მიმოხილვა“;  
**ენა:** ფუნქციონალური სტილის საკითხები – პუბლიცისტიკა. 2 სთ.  
**შეჯამება –** 1 სთ.

## IX თემა: „სიყვარულის ღღასანაული“ (19 სთ)

**ტექსტები:** ნიკოლოზ ბარათაშვილი, „ცისა ფერს“, „არ უკიჟინო, სატრფოო“;  
**ენა –** ლექსიკური და გრამატიკული არქაიზმები, ტროპული მეტყველება. 4 სთ.

**ტექსტი:** ვაჟა-ფშაველა, „სამეფოს სიმღერა“;  
**ენა –** დიალექტიზმები, ლიტერატურის თეორია: ლირიკული გმირი. 1 სთ.

**ტექსტები:** ლადო ასათიანი, „სპარსელ ასულს“, ნიზამი განჯელი, „ლამაზ ქრისტიან ქალზე ვლოცულობ“. 3 სთ.

**ტექსტი:** ოპენი, „სიყვარულის მსახურება“;  
**ენა –** ლექსიკოლოგია – ნასესხები სიტყვები;  
**ლიტერატურის თეორია:** იუმორი, როგორც მხატვრული ასახვის მეთოდი; ლიტერატურის ჟანრებზე დაკვირვება – ნოველა, ნოველის მახასიათებლები. 3 სთ.

**ტექსტი:** თამაზ ჭილაძე. „ყინწისი“. 1 სთ.

**ტექსტი:** ლ. გოთუა, „ყინწვისის ანგელოზი“;

**ენა** – სტილის რაობა, ფუნქციონალური სტილის სახეები: **სამეცნიერო, პუბლიცისტური, ოფიციალურ-საქმიანი და მხატვრული**, მათი მახასიათებლები (ზოგადად). 3 სთ.

**ტექსტი:** გ. ტაბიძე, „გაგონდება თუ არა“. 1 სთ.

**ტექსტები:** გ. ტაბიძისა და ოლღა ოკუჯავას პირადი წერილები;

**ენა** – ფუნქციონალური სტილის საკითხები: ეპისტოლარული ჟანრი, საქმის ქაღალდები, მისი საერთო მახასიათებლები. 1 სთ.

**ტექსტი:** გ. ტაბიძე, „რაც უფრო შორს ხარ“. 1 სთ.

**შეჯამება** – 1 სთ.

**3) წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები – ამ კურსის მოსმენის შემდეგ მოსწავლეს უნდა შეეძლოს:**

**ა) ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება:**

- სხვადასხვა სახის (მხატვრული და არამხატვრული) ზეპირი ტექსტების ანალიზი ტონალობის, ენობრივ-გრამატიკული სტრუქტურისა და ეფექტურობის თვალსაზრისით;
- ადეკვატურად, გამართულად და დამარწმუნებლად მეტყველება;
- წაკითხული ტექსტის კონსტრუირება (ენობრივი ანალიზი და სინთეზი);
- ტექსტების სახეების ამოცნობა და განმარტება მათ სტრუქტურულ-გრამატიკულ თუ სტილისტურ თავისებურებებზე დაყრდნობით;
- ტექსტებში მოცემული გრამატიკული კონსტრუქციების გამოყოფა და მათი სათანადო ინტერპრეტაციით წარმოდგენა;
- სხვადასხვა ტიპისა და სტილის ტექსტების გამართულად წერა; გრამატიკის, ორთოგრაფიის, პუნქტუაციის წესების მართებულად გამოყენება ტექსტის ასაგებად და დასახვეწად.

**ბ) ენის კომუნიკაციური ასპექტების გაგება-გამოყენება:**

- იმ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებისა და სტრატეგიების განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფს სოციალურ გარემოში პიროვნების ადეკვატურ თვითგამოხატვას; საუბრის, დისკუსიის, დებატების, სხვადასხვა თემაზე კამათის წარმართვას;
- სხვადასხვა სახის ზეპირი და წერილობითი ტექსტების შეფასება მათი საკომუნიკაციო ამოცანის გათვალისწინებით;
- წაკითხულის გადამონშება და შეფასება სანდოობის, აქტუალურობის, პოპულარობისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით;
- კონკრეტული საკითხის შესასწავლად ინფორმაციის მოძიება, კრიტიკულად გადამონშება და მონაცემთა ბანკის შედგენა;
- სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის ნებისმიერი ტიპის წერილობითი ტექსტის შეთხზვა.

**გ) მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა:**

- არგუმენტირებული მსჯელობა სხვადასხვა ჟანრის მხატვრულ ტექსტებში გამოვლენილი მსოფლმხედველობრივი საკითხებისა და ლიტერატურული თავისებურებების შესახებ;
- ლიტერატურულ ნაწარმოებზე სუბიექტური მოსაზრების ჩამოყალიბება და წარმოჩენა;
- ლიტერატურულ ნაწარმოებებში მხატვრული აზროვნების ფორმების იდენტიფიცირება, შედარება, შეპირისპირება, დაკავშირება და ანალიზი;
- სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურულ ტექსტებში ასახულ კულტურულ ფასეულობათა

გააზრება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა;

- სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურული ტექსტის შექმნის პროცესში ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გამოცდილების რეალიზება;
- წერილობით ტექსტებში საკუთარი პოზიციისა და ღირებულებითი დამოკიდებულებების სხვადასხვა ლიტერატურული ფორმით წარმოჩენა;
- ქართული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესებისა და უნივერსალური ლიტერატურული თემების ურთიერთკავშირის აღქმა-გააზრება (იხ. ეროვნული სასწავლო გეგმა, ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტი).

შენიშვნა:

ა) სილაბუსში მოცემული მასალა განაწილებულია 140 საათზე. 20 საათს მასწავლებელს ვუტოვებთ გეგმური წერილითი სამუშაოებისათვის, აგრეთვე – დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

ბ) საათების განაწილება საორიენტაციოა. მათი შეცვლა მასწავლებელს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ.

## სანიშნო გაკვეთილის სცენარი

**მასალა:** აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“; ფრაზეოლოგიზმები; მწერლის ენის თავისებურებები; წინადადება რაგვარობისა და მოდალობის მიხედვით, წინადადების მთავარი წევრები: შემასმენელი, მისი სახეები.

### მიზნები:

მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება;  
წაკითხულის მიმართ დამოკიდებულების გამოხატვა;  
საკუთარი აზრის დასაბუთება;  
დისკუსიისა და კამათის ხელოვნების თანადათანობით დაუფლება;  
კითხვისა და წერის სტრატეგიების დაუფლება;  
ზეპირი და წერილობითი ტექსტებისათვის ფორმისა და სტილის შერჩევა;  
ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების მართებული გამოყენება;  
პუნქტუაციურ-ინტონაციური, სტილური, ორთოგრაფიული ჩვევების ფორმირება.

## I-II გაკვეთილი

### აქტივობა 1. საშინაო დავალების შემოწმება.

**აქტივობა 2. – პროვოცირება:** ამ მიზნით სასურველია მასწავლებელმა წინა გაკვეთილზე დავალოს მოსწავლეებს მოიძიონ სათანადო ისტორიული მასალა კახეთის 1659 წლის აჯანყების შესახებ, ამ გაკვეთილზე კი ისაუბრონ ამ აჯანყების გამომწვევ ფაქტორებსა და ისტორიულ პერსონაჟებზე; შეიძლება გამოვიყენოთ სქემა: „ვიცი – გავიგე – მინდა ვიცოდე“. პუნქტი „ვიცი“ ივსება პროვოცირების მომენტში – ამით მზადდება ის საფუძველი, რომელსაც უნდა დაეშენოს შემდეგი ცოდნა ამ ისტორიული ფაქტის შესახებ; პუნქტები: „გავიგე“ და „მინდა ვიცოდე“ შეივსება ტექსტის კითხვის დამთავრების შემდეგ. ამავე მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ „გონებრივი იერიშის რუკაც“.

**დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:**

### ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები

თეიმურაზ I-ის დაულალავმა საქმიანობამ და მისმა სწრაფვამ, ეპოვა დასაყრდენი რუსეთში, შაჰ-აბას მეორის (1642-1666) ირანში გააცოცხლა იდეა კახეთში თურქმანთა ჩამოსახლებისა და სახანოს შექმნის შესახებ. როგორც აღნიშნავს სეფიანთა ირანის ერთ-ერთი ცნობილი ისტორიკოსი მოჰამედ თაჰერი, შაჰის გადაწყვეტილებით, შიდა და გარე კახეთის მიწებზე უნდა დასახლებულიყო მომთაბარე-მეჯოგე თურქმანების 15000 ოჯახი. ისინი უნდა დამაგრებულიყვნენ ამ ნაყოფიერ მიწებზე, „შესდგომოდნენ ხენა-თესვას, შენებას და დასახლებას“. ამ სტრატეგიული მიზნის განხორციელებისათვის ირანის შაჰმა, შაჰ-აბას მეორემ (1642-1666) კახეთში წინასწარი სამუშაოები ჩაატარა: ალავერდი-ხანის ხელმძღვანელობით საქართველოში სამი ციხე აიგო: ბახტრიონის ციხე ალაზნის მარცხენა ნაპირზე, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა; ალავერდის მონასტერი ციხესიმაგრედ გადაკეთდა; მესამე ციხე კი უნდა ყოფილიყო ყარაღაჯის ციხე – XVII ს.-ის კახეთის ყიზილბაში ხანების რეზიდენცია.

თურქმანების ჩამოსახლების საქმე შაჰმა მიანდო ყიზილბაშ სელიმ-ხანს, რომელიც კახეთს მართავდა მას შემდეგ, რაც შაჰმა როსტომ მეფეს დროებით მიერთებული (1648 წლიდან) კახეთი ჩამოართვა. სელიმ-ხანის ხელმძღვანელობით ორი წლის განმავლობაში კახეთში ჩამოსახლდა თურქმანთა დიდი ურდოები ადარბადაგანიდან. იგეგმებოდა მთელი შიდა და გარე კახეთის ბარის თურქმანი მომთაბარეებისათვის გადაცემა. სელიმ-ხანის შემდეგ კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე ყარაბაღის ბეგლარბეგს მურთაზ ყული-ხანს, ხოლო დანარჩენი ნაწილი ნახჭევანის მმართველს ალი-ყული-ხან ქენგერლუს გადაეცა. სწორედ ამ მმართველთა დროს ჩასახლდა კახეთში 80000-მდე მომთაბარე ელი. კახეთის კულტურულ მეურნეობას მომთაბარე თურქმანებისაგან გადაშენების საფრთხე დაემუქრა; მესაქონლე ელები ვენახების აჩეხასა და კახეთის მიწების იალაღებად გადაქცევას აპირებდნენ. თუშ-ფშავ-ხევსურნიც მძიმე დღეში აღმოჩნდნენ – მწირი მთაბარის პურიტა და ღვინით ირჩენდა თავს, მთიელები ბარის საზამთრო საძოვრების გარეშე ვერც



ცხვარს გამოკვებავენ. გარდა ამისა, ადგილობრივი მოსახლეობა ყიზილბაში მეციხოვნეებისგანაც იყო შენუხებული. მომთაბარე გადამთიელთაგან მთისა და ბარის შევიწროება ერთ ხალხურ ლექსში ასეა გადმოცემული:

„ბახტრიონს სხედან თათრები,  
სიტყვას ამბობენ ძნელსაო:  
ახმეტას ავჭრით ვენახსა,  
შიგ დავასახლებთ ელსაო“.

ირანის პოლიტიკას დოკუმენტურად ასახავს იმჟამინდელი სპარსული ისტორიული საბუთები, რომლებიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და სახელმწიფო არქივშია დაცული.

შაჰ-აბას II-ის ისტორიკოსის მოჰამედ თაჰერის გადმოცემით: „რადგან ელებს იმის მისწრაფება ჰქონდათ, რომ ქართველებზე ებატონათ, ამ ორ ხალხს შორის დავა და ჩხუბი გაჩნდა“. აჯანყებისათვის საფუძველი მზად იყო. მისი მიზეზი კი უდანაშაულო მღვდლის თავს დატრიალებული უბედურება გახდა. ისტორიკოს ბერი ეგნატაშვილის გადმოცემით: „...ხოლო წარვიდა ხუცესი იგი და მივიდა დუშეთს. ზოგად ისხდენ ზაალ ერისთავი და ცოლი მისი, დაუჩოქა ხუცესმან და შესჩივლა: „შენ ზაალ ერისთავი ხარო და კახეთის გამგებელიო, გააოხრეს სრულიად კახეთი უსჯულოთა აგარიანთა და მე გზაზედ შემიპყრეს და ხელშეკრული განმხრწნეს და ჰყვეს ჩემ ზედა საქმე სათქმელად უშვერი. და ან ამისი მაგიერი პასუხი ღმერთს შენ მიეც და შენ უნდა გასცე, ვინათგან შენდა რწმუნებულ არის კახეთი“ (ბერი ეგნატაშვილი).

აჯანყების საერთო ხელმძღვანელობა ზაალ არაგვის ერისთავმა ითავა. ბრძოლაში აშკარა მონაწილეობა მას არ მიუღია. აჯანყების უშუალო ხელმძღვანელები იყვნენ ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა ქსნის ერისთავი და მისი ძმა ბიძინა, ზაალ ერისთავის ვაჟი ზურაბი, თუში ზეზვა გაფრინდაული, ხევსური ნოდარა ხოშარაული და სხვები.

არაგვის ლაშქარს ზაალ ერისთავის ვაჟი ზურაბი სარდლობდა. ქსნის ერისთავის ლაშქარს შალვა და ელიზბარი მეთაურობდნენ. არაგვისა და ქსნის საერისთავოების მეზობლობები ბახტრიონის სანახებში დაბანაკდნენ. თუშ-ფშავ-ხევსურთა ლაშქარი და კახეთის ბარის ლაშქარი ალავერდს მიუახლოვდნენ. აჯანყებულებმა ბახტრიონისა და ალავერდის ციხეებს ერთდროულად შეუტიეს. ქართველებმა მტერს მუსრი გაავლეს. შემდეგ კი მათ კახეთის სხვა ადგილებში მცხოვრებ თურქმანებზე მიიტანეს იერიში. მრავალი მათგანი დახოცეს. ელების მხოლოდ მცირე ნაწილი გადარჩა ცოცხალი. მათ გაქცევით უშველეს თავს.

აღსანიშნავია, რომ აჯანყებულები შეგნებულად არ დასხმიან თავს აღჯაყალის ციხეს, სადაც იჯდა კახეთის ერთი ნაწილის მმართველი მურთაზ ყული-ხანი. ეს საშუალებას აძლევდა ზაალ ერისთავს დაეფარა აჯანყებაში საკუთარი მონაწილეობა და შაჰის კარზე გაგზავნილ არზებში აჯანყების მიზეზად კახეთის მეორე ნაწილის მმართველის ალიყული-ხან ქენგერლუს „ცუდ ქცევა“ გამოეცხადებინა.

ირანის სამეფო კარმა საქართველოში მომხდარი აჯანყების შესახებ გამოძიება ჩაატარა და შემდეგ დასკვნამდე მივიდა: „თუშებმა, რომელთაც მალალი მთები და ხშირი ტყეები და უგზობა ფარავდა, ბოროტმოქმედება და მზაკვრობა იწყეს. ალი-ყული-ხანიც არ იჩენდა ელების მიმართ ისეთ მზრუნველობას, როგორც საჭირო იყო. ზაალ ერისთავსაც იმის განზრახვა ჰქონდა, რომ კახეთის „ოლქის“ დამოუკიდებელი მმართველი გამხდარიყო. მისი სურვილი არ განხორციელდა და დაფარული ბრაზის გამო ეს იმ ხალხს აქეზებდა. იმის შემდეგ, როცა მან შაჰის მალალი სასახლიდან წასვლის ნებართვა მიიღო, საქართველოში ჩავიდა და შფოთის გაძლიერების მიზეზად, არეულობის წყაროდ და ურჩობის არსად გადაიქცა“ (მოჰამედ თაჰერი).

ზაალ ერისთავის დასჯა გადანყვეტილი იყო. შაჰმა ვახტანგ V-ს (შაჰნავაზი) მისი მოკვლა უბრძანა. ვახტანგი იძულებული იყო ეს ბრძანება შეესრულებინა. 1660 წელს ზაალ ერისთავი, ქართლის მეფის ბრძანებით, მისივე ძმიშვილებმა მოკლეს. ამის შემდეგ აჯანყების სხვა მონაწილეებიც გატყდნენ. ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები შაჰს ეახლნენ და პატიება სთხოვეს. შაჰმა ისინი თურქმანთა იმ ტომებს გადასცა, რომელთა მეტომეები კახელებმა გაუღიტიეს. მათ ქართველი გმირები საშინელი წამებით დახოცეს 1662 წლის 18 სექტემბერს - ასო-ასო აჭრეს და შემდეგ თავები მოჰკვეთეს. არსებობს გადმოცემა, რომ აჯანყებულთა თავები მოიპარეს კათოლიკე მისიონერებმა, როგორც წმინდა რელიკვია, ხოლო მათი ნაწილები გადმოასვენეს საქართველოში და დაკრძალეს იკორთაში. ისინი ქართულმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა, ხსენების დღე - 18 სექტემბერი.

ბესარიონ კათალიკოსმა (ორბელიშვილმა) წამებულ გმირებს უძღვნა აგიოგრაფიული თხზულება: „შესხმა წმიდათა მონამეთა ბიძინასი, შალვა და ელიზბარისა და უწყება წამებისა მათისა“.

საერთო სახალხო აჯანყების გმირების შესახებ მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“, ირანელი მემკვიდრე მოჰამედ თაჰერი, ქართული ეთნოგრაფიული მასალები, მხატვრული ლიტერატურის ძეგლები – აკაკი წერეთლის, გრიგოლ ორბელიანის, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები.

1959 წელს ქართველთა მიერ მოპოვებულმა გამარჯვებამ კახეთი გადაშენებისაგან იხსნა. ამ ბრძოლაში მონაწილე ქართველი ვაჟკაცების სახელები კი უკვდავყო.

### **თეიმურაზ I (1589-1663წწ.)**

კახეთისა და ქართლ-კახეთის მეფე, ძე დავით მეფისა და ქეთევან დედოფლისა, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, აღორძინების ხანის გამორჩეული პოეტი.

1612 წელს ოსმალეთთან დაზავების შემდეგ შაჰ-აბასმა ქართლ-კახეთისათვის მოიცალა. მას განზრახული ჰქონდა ქართლ-კახეთის აყრა, აქ მაჰმადიანური მოსახლეობის ჩასახლება და ირანისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული სახანოების შექმნა. ამ მიზნის მისაღწევად მას პირველ რიგში მეფეები და მმართველი დინასტიის სხვა წარმომადგენლები უნდა მოეშორებინა თავიდან. შაჰის გეგმებს საქართველოშიც კარგად ხვდებოდნენ. თეიმურაზსა და ლუარსაბს ერთმანეთისათვის ფიცი მიუციათ, რომ „ერთსულოვანნი და ერთაზროვანნი“ იქნებოდნენ (არაქელ თავრიზელი). 1612 წელს შაჰმა თეიმურაზი და ლუარსაბი მაზანდარანში დაიბარა ნადირობის საბაბით, თუმცა მეფეები არ წავიდნენ, რაც აშკარა ამბოხს ნიშნავდა. 1613 წელს შაჰი დაიძრა ქართლ-კახეთისკენ და განჯაში დაბანაკდა. მან მძევლებად მოითხოვა თეიმურაზის შვილები და დედოფალი ქეთევანი. თეიმურაზი იძულებული გახდა დედა და შვილები გაეგზავნა. 1614 წელს შაჰი კახეთში შემოიჭრა და 50 დღის განმავლობაში მიწასთან გაასწორა აყვავებული ქვეყანა. თეიმურაზი ბრძოლით იხვედა ქართლისაკენ. არც ლუარსაბს ჰყავდა საკმარისი ძალები და ორივენი იმერეთში გადაიხვეწნენ. კახეთის მმართველად შაჰმა მაჰმადიანებული კახი ბატონიშვილი ისა-ხანი დანიშნა.

1615 წელს, როდესაც ოსმალეთის არმია მეჭმედ ფაშას მეთაურობით ირანის საზღვრებს მიადგა, კახელებს იმედი მიეცათ და აჯანყდნენ. აჯანყებულებმა, დავით ჯანდიერის ხელმძღვანელობით, სულ განყვიტეს ალავერდის ტაძარში ჩაყენებული ყიზილბაშთა გარნიზონი და სასწრაფოდ თეიმურაზი მოიწვიეს. თეიმურაზი ჩამოვიდა კახეთში და დაიწყო ყიზილბაშთაგან კახეთის ციხეების განმენდა. ამასობაში შაჰმა ისევ შეკრიბა ჯარი და ცნობილი სარდლის, ალი-ყული-ხანის მეთაურობით შეუტია კახეთს. თეიმურაზმა ამჯერადაც მოახერხა მტრის დამარცხება.

1616 წელს შაჰ-აბასი უზარმაზარი ჯარით ქართლში შემოვიდა. აქედან შეუსია რაზმები კახეთს. თეიმურაზი, რომელიც ირანზე ოსმალთა შეტევას მოელოდა, გაეცალა შაჰს და ისევ იმერეთში გადავიდა. მტრის ხელში დარჩენილი ქვეყანა უდიდეს გასაჭირში ჩავარდა. კახელები თავგანწირვით იგერიებდნენ მტერს ყველგან, ყველა სიმაგრესთან, ციხესა და ქალაქთან, მაგრამ მტრის სიმრავლეს ვერ აუდიოდნენ. ყიზილბაშები გზადაგზა ჩეხდნენ ნარგავებს, წვავდნენ სოფლებს, დატყვევებულ მოსახლეობას ირანში ერეკებოდნენ. ქვეყანა „დაინგრა და მიწასთან იქნა გასწორებული“ (ისკანდერ მუნში). 1616-1617 წლებში შაჰი კიდევ ორჯერ შემოიჭრა კახეთში, მოსპო და დაანგრია თუ რამ დარჩენილიყო. ამ შემოსევებისას კახეთმა დაკარგა მოსახლეობის ორი მესამედი. ირანელი ისტორიკოსის აზრით, ეს თეიმურაზის მოლაღატეობრივი პოლიტიკის, მისი „უნესობისა და ურჩობის“ შედეგი იყო.

თეიმურაზი გაუტყეხელი მებრძოლი იყო. მასზე შაჰმა საშინლად იძია შური – დაასაჭურისა მისი ვაჟები, რამაც იმსხვერპლა კიდევ ერთ-ერთი მათგანი, ხოლო ქეთევან დედოფალი კი 1624 წელს საშინელი წამებით მოკლა.

1625 წელს ირანის წინააღმდეგ კვლავ აღდგა ქართლი და კახეთი გიორგი სააკაძის მეთაურობით. აჯანყებულებმა რამდენიმე დღეში განმინდეს ქართლ-კახეთი ყიზილბაშთაგან, მაგრამ ამ ბრძოლებს შაჰის არმიის ნახევარიც შეენირა. თურქი ისტორიკოსის იბრაჰიმ ფეჩევის თქმით, „შაჰს ორმოცი წლის განმავლობაში ასეთი ზარალი არ მოსვლია“.

1626 წელს თეიმურაზი და გიორგი სააკაძე ისევ ერთად იბრძვიან ყიზილბაშთა წინააღმდეგ, ათავისუფლებენ ქართლ-კახეთის ციხეებს, მაგრამ სააკაძის განდიდებას გააღიზიანა დიდგვაროვანი თავადები, შუღლი ჩამოვარდა გიორგისა და თეიმურაზს შორისაც. ისკანდერ მუნშის ცნობით,



„მოურავსა და თეიმურაზს შორის ერთმანეთისადმი შიში გაჩნდა, ბოლოს აიშალნენ და ერთმანეთს დამორდნენ.“ საქართველოს ისტორიის უმძიმესი ძმათამკვლელი ომი, რომელიც ბაზალეთის ტბასტან გაიმართა, თეიმურაზისა და მისი მომხრე თავადების გამარჯვებით დამთავრდა. ამის შემდეგ თეიმურაზმა შიდა ქართლი დაიკავა. შაჰი იძულებული გახდა ხელი აეღო თავის გეგმაზე და თეიმურაზი ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს მეფედ ეცნო, მაგრამ ფორმალურად შაჰის ერთგული სვიმონ-ხანი ისევ ისე რჩებოდა ქართლის გამგებლად.

1620-1624 წლებში, როდესაც გიორგი სააკაძის თაოსნობით იგეგმებოდა აჯანყების მომზადება ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, თეიმურაზი ოსმალეთიდან ცდილობდა დახმარების მიღებას. 1618-1623 წლებში მან რუსეთსაც მიმართა, თუმცა ამ მცდელობებს შედეგი არ მოჰყოლია. 1622 წელს თეიმურაზმა რომის პაპთან დახმარების სათხოვნელად გააგზავნა ნიკიფორე ჩოლაყაშვილი, რომელიც 1629 წელს მხოლოდ პაპის გამამხნეველი წერილით დაბრუნდა. შაჰ-აბასის გეგმის ჩაშლისა და ირანთან ვასალური ურთიერთობის აღდგენის შემდეგაც თეიმურაზი აგრძელებს ბრძოლას ამიერკავკასიიდან ირანის განდევნისათვის. ამის გამო ჰქონია მას მინერ-მონერა სულთან მურად IV-სთან (1623-1640), რომელიც გარკვეულ იმედებს უსახავდა უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმულ მეფეს. 1630 წელს სულთნისაგან თეიმურაზი დამაიმედებელ წერილს იღებს: „... ჩემი ლოცვა და კეთილგანწყობა შენკენაა მიმართული... ჩემი საპატიო ხალათებიდან სიხარულის მომგვრელი ერთი ხალათი გინყალობეთ და გიბოძეთ... მთელი შენი ლაშქრითა და ხალხის გამოჩენილი პირებით მოემზადე და, თუ მალაღმა ალაჰმა ინება, როცა ჩემი ძლევამოსილი სახელგანთქმული სარდალი მაგ მხარისაკენ წამოვა, ხოლო საქართველოს ამირები მაგ მხარისაკენ დაიდრებიან, შენც სათანადო ადგილას მათ შეუერთდი... ძალმოსილებით შეუდექი სადაგელი ყიზილბაშის ჟღეცას, ვაჟკაცურად, მამაცურად და გაბედულად გაისარჯე, ისლამის სარწმუნოებისადმი საკადრისი თავგამეტება და სიბეჯითე გამოიჩინე...“

ამავე პერიოდში აქტიურად განიხილებოდა ამიერკავკასიელ ხალხთა გაერთიანებული ბრძოლის გეგმა ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ რუსეთისა და ოსმალეთის დახმარებით. მიუხედავად დიდი მცდელობებისა, გეგმას არ ეწერა განხორციელება – საქართველოსა და სომხეთს არ გააჩნდა საჭირო ძალა, ხოლო მათი დროებითი პოლიტიკური მოკავშირეები არ იყვნენ საიმედონი. თეიმურაზის გათვლები ძალების რეალური თანაფარდობიდან არ გამომდინარეობდა.

1631 წელს თეიმურაზის სიძემ ზურაბ ერისთავმა ქართლის ნომინალური მმართველი, სიმონ-ხანი, მოკლა. თეიმურაზი ფაქტობრივად მთელ ქართლ-კახეთს დაეუფლა. მხოლოდ თბილისში იდგა ყიზილბაშთა ჯარი. თეიმურაზმა შაჰ-სეფის გულის მოსაგებად საკუთარი სიძეც, ზურაბიც მოაკვლევინა და თავისი დაქვრივებული ქალიშვილი ცოლად იმერეთის მეფის გიორგის ძეს, ალექსანდრეს მისცა. შაჰ-სეფიმ ოფიციალურად ცნო თეიმურაზი ქართლ-კახეთის მეფედ. ამ პერიოდის შესახებ მეფე არჩილი თავის „გაბაასებაში“ ასე ათქმევინებს თეიმურაზს:

„დამმორჩილდა ყოვლი ურჩი, ხელთ საბმელი ვითა ბმოდა,  
ყოვლგან ისმა ეს ამბავი და შეიქმნა საამბოდა,  
შვება იყო სამუდამო, ლხინ-სობათი შეიმკოდა“.

1629 წელს შაჰ-აბასი გარდაიცვალა და ირანის ტახტი დაიკავა შაჰ-სეფი I-მა. მისი ფავორიტი ხოსრო-მირზა (მომავალი როსტომ მეფე) შაჰის კარზე თეიმურაზის წინააღმდეგ მოქმედებდა და მის შესაცვლელად ემზადებოდა. თეიმურაზი ისევ დაუფარავად იბრძოდა ირანის წინააღმდეგ, თუმცა ქვეყანას საამისო ძალა აღარ გააჩნდა. მან როსტომის მცდელობით ირანიდან გამოძევებულ ყარაბაღის ბეგლარბეგ დაუდ-ხან უნდილაძესთან ერთად დაარბია ბარდა და ყარაბაღი, რამაც შაჰის რისხვა გამოიწვია. დიდი მცდელობითა და კომპრომისების გზით მიღწეული მშვიდობის შენარჩუნება ქვეყანაში უკვე შეუძლებელი იყო.

თეიმურაზის ლალატივით განრისხებულმა შაჰ-სეფიმ მისგან დაუდ-ხანის გაცემა მოითხოვა, რაზედაც უარი მიიღო. „როსტომ-ხანსა და მის მომხრეთ მარჯვე შემთხვევა მიეცათ, როსტომის ხანობა მეფობად დაემშვენებინათ“ (ივ. ჯავახიშვილი). 1632 წელს როსტომი ქართლის მეფედ, ხოლო კახეთის მმართველად ყიზილბაში სელიმ-ხანი დანიშნეს. ირანის არმია ისევ შემოესია საქართველოს. თეიმურაზმა იმერეთს შეაფარა თავი.

მართალია, როსტომის დროს ქართლში მშვიდობა დამყარდა, მაგრამ მაჰმადიანი მეფის ყიზილბაშური წესებით „შეზავებულ მშვიდობას“ ქართლის თავადები ვერ ეგუებოდნენ, ისევ თეიმურაზს

რახს უგზავნიდნენ „საფიცრის წიგნებს“ და მეფედ იწვევდნენ. თეიმურაზმა რამდენჯერმე გაილაშქრა როსტომის წინააღმდეგ, მაგრამ საბოლოოდ დამარცხდა. იგი კახეთში გადავიდა, გააძევა იქიდან სელიმ-ხანი და 1634 წელს დაიკავა კახეთი. მას შემდეგ, რაც როსტომს ყიზილბაშთაგან სამხედრო ძალა წამოეშველა, თეიმურაზი დაუზავდა როსტომს, თავისი ქალიშვილი თინათინი კი შაჰს გაუგზავნა. მან შაჰისაგან კახეთის მეფედ „ცნობის“ რაყამი მიიღო. დაუცხრომელი თეიმურაზი შემდგომშიც აგრძელებდა ბრძოლას ქართლის ტახტისათვის ქართლელ თავადთა ერთი ჯგუფის მხარდაჭერით, თუმცა ყველა მისი გამოსვლა მარცხით მთავრდებოდა. ამასთან, იგი არ წყვეტდა რუსეთთან და ოსმალეთთან მოლაპარაკებებს, რომლებიც კვლავ უშედეგოდ მთავრდებოდა. 1639 წელს ირან-ოსმალეთის ხანგრძლივი ომი დასრულდა ზავით, რომელმაც გაიმეორა ამასიის ზავის პირობები – დასავლეთი და აღმოსავლეთი „საქართველოების“ ორ ნაწილად, ირანისა და ოსმალეთის გავლენის სფეროებად დაყოფისა.

როსტომისა და თეიმურაზის დაზავება ვერ მოხერხდა. 1648 წელს როსტომი ქართლისა და ყიზილბაშთა ჯარით კახეთს შეესია. თეიმურაზი ისევ დამარცხდა. ბრძოლაში დაიღუპა მისი ვაჟი დავითი. დამარცხებულ თეიმურაზს, რომელიც მისმა მომხრეებმაც განირეცხა, როსტომმა იმერეთში გადასვლის საშუალება მისცა. თეიმურაზმა საბოლოოდ დაკარგა კახეთი. ამასობაში როსტომმაც მოიგო ქართველების გული და ქვეყანაში ნანატრი მშვიდობა ჩამოვარდა.

თეიმურაზი ამ მარცხის შემდეგაც განაგრძობდა მოკავშირეთა ძებნას იმერეთსა და სამეგრელოში. ირანსა და ოსმალეთს შორის დადებული ზავის გამო მას ოსმალეთის იმედიც გადაეწურა და მთელი ყურადღება რუსეთისაკენ მიმართა, სადაც მძევლად საკუთარი შვილიშვილიც გააგზავნა. რეალური დახმარება არც იქიდან ჩანდა. 1661 წელს სასონარკვეთილი თეიმურაზი ბერად აღიკვეცა. იგი ჯერ სკანდის ციხეში ცხოვრობდა, ბოლოს კი შაჰნავაზის ჩაგონებით (ვახტანგ V) შაჰს ეახლა, რაც ირანის საბოლოოდ გამარჯვებას ნიშნავდა. „მტერს დამორჩილდა სპარსელ დამპყრობთა წინააღმდეგ ორმოცდაათწლოვანი ბრძოლის მესაჭე“ (ნ. ბერძენიშვილი).

სიკვდილის წინ თეიმურაზი ასტარაბადის ციხეში იმყოფებოდა. იგი დაამწყვდიეს მას შემდეგ, რაც მისი შვილიშვილი, ერეკლე ბატონიშვილი, არ გამოცხადდა შაჰთან. მრავალჭირგადახდილი მეფე 1663 წელს 74 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ქართველი ისტორიკოსების შეფასებით, როსტომმა გაიმარჯვა თავისი ზომიერი პოლიტიკით – იგი ძირითადად მისაღები იყო ქართველთათვის და სასურველი ირანისათვის, რომელსაც მოსვენება ჰქონდა დაკარგული თეიმურაზის გაუთავებელი ბრძოლით. იგი იარაღით ცდილობდა იმ საქმის გაკეთებას, რასაც როსტომი მშვიდობიანი გზით აღწევდა. თეიმურაზის ნაბიჯები ხშირად არ ემყარებოდა ძალთა თანაფარდობის ადეკვატურ შეფასებას; მისი გმირული და თავგანწირული სულისკვეთება ქვეყანას სისხლისმღვრელ ომებად უჯდებოდა, მაგრამ ამ დაუცხრომელი მებრძოლის შეურიგებლობამ ირანი აიძულა დიდ დათმობებზე წასულიყო.

ქართული მწერლობის ისტორიაში თეიმურაზ მეფემ წარუშლელი კვალი დატოვა. მისი შემოქმედება მრავალმხრივია როგორც ჟანრობრივად, ისე შინაარსობრივად. მან დაამკვიდრა ქართულ პოეზიაში „გაბაასება“ და „ანბანთქება“, შემოიტანა საისტორიო ეპოსი, „მაჯამა“, როგორც პოეტურ თხზულებათა „კრებული“ და სხვ. მისი შემოქმედება მოიცავს სპარსულიდან გადმოკეთებულ და ორიგინალურ ნაწარმოებებს. ირანში ყოფნისას ყრმა თეიმურაზმა ზედმინევნით შეისწავლა სპარსული ენა – „ისწავებდა წიგნსა და ენასა სპარსთასა“ („ქართლის ცხოვრება“, II). მას ეკუთვნის აღმოსავლურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული რომანტიკული სიუჟეტების – იუსუფისა და ზულეიხას, ლეილისა და მაჯნუნის, შამისა და ფარვანის, ვარდისა და ბულბულის – გადამუშავებები. მკვლევართა აზრით, ეს შედარებით თავისუფალი გარდათქმაა, რომლებშიც თეიმურაზი გვევლინება სპარსული ენისა და ამ სამყაროს კულტურული გარემოს შესანიშნავ მცოდნედ. ირანის წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი დიდად აფასებდა ამ ქვეყნის კულტურას და შესანიშნავ სპარსულ მწერლობას: „სპარსთა ენისა სიტკობიან მასურვა მუსიკობანიო“. მისი პოემები, როგორც თავად ამბობს, „პირველ სპარსთაგან თქმულია..., ქართულად გათარგმნულია“.

თეიმურაზის ორიგინალურ შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „გაბაასების“ (აღმოსავლეთში ცნობილი „მუნაზარეს“) ჟანრში დანერგილ თხზულებას „გაზაფხულ-შემოდგომიანი“, რომელსაც ერთვის „სოფლის სამღურავი“, სადაც ავტორი მოგვითხრობს თავისი ტრაგიკული ცხოვრების უმძიმესი ეპიზოდების შესახებ.

თეიმურაზმა შექმნა რელიგიური და საერო ლირიკის საყურადღებო ნიმუშები. მის შემოქმედებაში მძლავრად გაისმის რელიგიური მოტივი – გულწრფელი, ღრმა და სინანულით აღსავსე.

მისი თხზულება „შვიდთა კრებათათვის“, რომელიც ჩახრუხაულითაა დანერილი, ეხება ეკლესიის ისტორიას; ჩამოთვლილია ის კრებები, რომლებზეც მწვალებლობა განაქიქეს. მას ეკუთვნის აგრეთვე სამი „ანბანთქება“, რომლებიც ასევე რელიგიური შინაარსისაა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს თეიმურაზის „მაჯამა“, რომელიც არ წარმოადგენს მხოლოდ ომონიმების შემცველ ნაწარმოებს. როგორც პოეტი ამბობს, „ლექსთა ღარიბთა, უცხოთა, რომელ არს გამოკრებილი. . . სპარსულად ჰქვიან მაჯამა, შეყრილად ითარგმანება“. ეს საგანგებოდ შერჩეული წიგნების ან ლექსების კრებულია, სადაც პოეტი ამკობს ამქვეყნიურ მშვენიერებას, საუბრობს თავის სავალალო ბედზე და სხვ. მასში გაერთიანებული ოდეები აღბეჭდილია ღრმა ლირიზმით, პოეტური სიღრმითა და მოხდენილი მხატვრული სახეებით. „მაჯამა“ არა მარტო თეიმურაზის, არამედ საერთოდ, ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშადაა მიჩნეული (კ. კეკელიძე).

**ვახტანგ V (იგივე შაჰნავაზ I), ქართლის მეფე 1658-1676 წლებში, ძე თეიმურაზ მუხრანბატონისა, როსტომ მეფის შვილობილი, მუხრანული შტოს ფუძემდებელი ქართლის სამეფო ტახტზე.**

ვახტანგ V დაბადებულია 1606 წელს, თეიმურაზ მუხრანბატონის ოჯახში. ბახუტაბეგ-ვახტანგ ბატონიშვილმა ახალგაზრდობიდანვე თავი გამოიჩინა როსტომ ქართლის მეფისადმი (1632-1658) ერთგულებით. იგი თან ახლდა როსტომს შეთქმულ ერისთავთა წინააღმდეგ ლაშქრობისას. ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვებით: ამ დღეს მუხრანის ბატონის მამაცობის ქება სთქვესო. სწორედ ვახტანგმა აცნობა ცხირეთში მყოფ როსტომს თეიმურაზ I-ის მოსალოდნელი თავდასხმის თაობაზე. 1648 წელს ქართლის მეფის დავალებით თიანეთში გაგზავნილმა ვახტანგ ბატონიშვილმა სასტიკად დაამარცხა თეიმურაზ I. როსტომისადმი თავდადებული სამსახურით მან ქართლის მეფის ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. უშვილო როსტომ მეფემ მემკვიდრის არჩევანი მასზე შეაჩერა. როსტომ მეფემ ირანის შაჰს თავის სიცოცხლეშივე დაამტკიცებინა ვახტანგ ბატონიშვილი ტახტის მემკვიდრედ. ქართლის გამგებლად დანიშნის სანაცვლოდ ირანის შაჰმა ვახტანგ ბატონიშვილი გაამაჰმადიანა და შაჰნავაზი (შაჰის სუნთქვა) უწოდა. 1658 წელს როსტომ მეფე გარდაიცვალა. ქართლში ვახტანგ V (შაჰნავაზ I) გამეფდა.

ქართლში ვახტანგ V-ის გამეფებით დასაბამი მიეცა ბაგრატიონთა მუხრანული შტოს მეფობას ჯერ აღმოსავლეთ – ხოლო შემდეგ დასავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე (არჩილ II). შაჰნავაზ I, მისი წინამორბედი როსტომ მეფის მსგავსად, მართალია, ქართლში მეფედ იწოდებოდა, მაგრამ იურიდიულად ირანის შაჰის დიდმოხელე ვალი (დიდი ამირი) იყო. ქართლის ტახტზე დამტკიცებისთანავე სპარსეთის მეფემ შაჰნავაზ-ხანს მოსთხოვა როსტომ მეფის ქვრივზე, მარიამ დედოფალზე დაქორწინება. ვახტანგი იძულებული გახდა გაეშვა პირველი ცოლი, ყაფლან ბარათაშვილ-ორბელიშვილის ასული როდამი, რომელთანაც ექვსი ვაჟი და ორი ასული ჰყავდა, და ექორწინა მარიამზე.

ვახტანგ მუხრანბატონის ქართლის ჯანიშინად დანიშნვამ, შემდეგ კი მისმა გამეფებამ, ქართველ წარჩინებულთა ერთი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. ქართლის ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალი ზაალ არაგვის ერისთავი, რომელიც წინააღმდეგი იყო ქართლში ძლიერი ხელისუფლებისა, შეეცადა წინ აღდგომოდა მის გამეფებას და ჯარით დადგა ავლაბარს, მაგრამ ერისთავმა ვერაფერი მოიმოქმედა და იძულებული გახდა დუშეთს დაბრუნებულიყო. მარცხის მიუხედავად, ის მაინც მეფის წინაშე ქედის მოხრას არ აპირებდა და სკანდის ციხეში (იმერეთი) მყოფ უკვე ხანდაზმულ თეიმურაზ I-ს უთვლიდა, „ქართლსა და კახეთს თქვენის მეტი მემკვიდრე პატრონი არსად დარჩომიათ“. ვახტანგ V-ის თანამოაზრეებს ჩაუგონებიათ თეიმურაზისათვის, არ აპყლოდა ერისთავის მოწოდებას: რად გინდათ ამისთანა სიცოცხლეო, რომ ზაალ ერისთავი უნდა გაგაგდებს, უნდა გაგაბატონებსო (ფარსადან გორგიჯანიძე).

დიპლომატიური ნიჭით დაჯილდოებულმა ქართლის მეფემ ადვილად მოახერხა ამ შიდადინასტიური ბრძოლის თავიდან აცილება. ურჩი ფეოდალის დასასჯელად ის ხელსაყრელ დროს ელოდა. ვახტანგმა კარგად ისარგებლა ერისთავთა სახლის შიგნით არსებული კონფლიქტით. მან ზაალის ძმისწულებს, იმავდროულად თავის დისწულებს, რომლებიც „განბოროტებულნი იყვნენ“ ზაალისაგან, 1660 წელს მოაკვლევინა ზაალ ერისთავი (ვახუშტი). ამის შემდეგ ბიძის მკვლელ ოთარს არაგვის ერისთავობა, ედიშერს მსაჯულთუხუცესობა, იასონს დედოფლის სახლთუხუცესობა უწყალობა (ვახუშტი). ვახტანგ V გაბედულად შეუდგა ქვეყნის გაერთიანებაზე ზრუნვას. იმე-



რეთის მეფის ალექსანდრე III-ის გარდაცვალების (1660) შემდეგ ვახტანგმა იმერეთში დაწყებული არეულობით ისარგებლა და 1661 წელს იმერეთის ტახტზე თავისი უფროსი შვილი – არჩილი დასვა. ფაქტობრივად ვახტანგის გავლენა კახეთსაც სწვდებოდა. ამავე დროს, ვახტანგის მომხრეებმა დაარწმუნეს „ყოველგნით უღონო-ქმნილი კახთ ბატონი თეიმურაზი ყაენთან წასულიყო, რითაც ირანის გულიც მოიგო (ვახუშტი ბატონიშვილი). ამრიგად, ვახტანგმა დროებით, მაგრამ მაინც მოახერხა საქართველოს გაერთიანება და ქვეყანაში სტაბილურობის დამყარება: „და მეფობდა მეფე ვახტანგ სამთავე სამეფოთა ქართლისა, კახეთისა და იმერეთისა ზედა და ესრეთ განდიდნა და აღემატა მეფობა და სიმდიდრე მისი საქართველოსა შინა“ (ბერი ეგნატაშვილი).

მაგრამ ვახტანგის შიდა პოლიტიკურ წარმატებებს საფრთხე გარედან დაემუქრა. 1639 წელს ირან-ოსმალეთს შორის დადებულმა ზავმა აღადგინა ამასიის 1555 წლის პირობები, რაც ნიშნავდა, რომ დასავლეთი საქართველო ოსმალეთის, აღმოსავლეთი – ირანის გავლენის სფეროებად იქნა აღიარებული. არჩილის იმერეთში გამეფებამ სულთნის მწვავე რეაქცია გამოიწვია. შექმნილი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების გამო ვახტანგ V იძულებული გახდა არჩილი იმერეთიდან გამოეწვია. მან მხოლოდ სამი წელი (1661-1663 წწ.) იმეფა დასავლეთ საქართველოში. იმერეთის ტახტის სანაცვლოდ შაჰ-აბას II-მ 1644 წელს არჩილს კახეთი უბოძა. კახეთის ტახტზე პოზიციების განსამტკიცებლად ვახტანგ და არჩილ მეფეებს რამდენიმე ბრძოლის გამართვა მოუხდათ თეიმურაზ I-ის შვილიშვილთან – ერეკლე დავითის ძესთან (შემდგომში ერეკლე I ნაზარალი-ხანი), რომელსაც კახი დიდებულები უჭერდნენ მხარს. ვახტანგმა და არჩილმა გაიმარჯვეს, თუმცა ერეკლეს მომხრე ფეოდალების შფოთი არ დამცხრალა. მეფეს კვლავ არაგვის ერისთავი დაუპირისპირდა. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, „სცნა არჩილ, რამეთუ ოთარ არაგვის ერისთავი და ძმანი მისნი ეზრახვიან გამეფებად ერეკლეს“. ზომიერი საგარეო-პოლიტიკური კურსის მიმდევარი ვახტანგ V არაგვის ერისთავთან კახეთის გამო ჩამოვარდნილი კონფლიქტის გამო ირანის შაჰთან ურთიერთობის დაძაბვას მოერიდა (არაგვის ერისთავს მამული ირანის შაჰისაგან ჰქონდა დამტკიცებული), არჩილ მეფეს კი ურჩი ფეოდალისათვის ყმა-მამულის ჩამორთმევა სურდა. მაშინ, როდესაც ოთარ ერისთავი ირანში გაემგზავრა, არჩილ და ვახტანგ მეფეებმა დუშეთი დალაშქრეს. ქართლში დაბრუნებულ ოთარს მეფემ დაუბრუნა ერისთავობა. არაგვის საერისთავოს დამორჩილების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში სიმშვიდე დამყარდა.

თავად იძულებით გამაჰმადიანებული ქართლის მეფე ყოველმხრივ უწყობდა ხელს ქრისტიანული ეკლესიების გაძლიერებასა და მოშლილი ქრისტიანული წესების აღდგენას: ვახტანგმა „მატარჯულსა ქრისტიანობისასა და ეკლესიათა, რამეთუ მცდელობდა, რათა როსტომის განრყუნისნი მოეგო კუალად კუალსავე თვისსა, ვინაითგან ჟამსა მისსა ზიარება სისხლისა და ხორცისა უფლისა სირცხვლად უჩნდათ, ამან კათალიკოზით დომენტი კუალად შემოიყვანნა აღსარებად და ზიარებად“ (ვახუშტი). საეკლესიო საქმეების მოსაწესრიგებლად ეკლესიის სათავეში მან ჩააყენა კათალიკოსი დომენტი (1660-1675 წწ.), რომლის ხელმძღვანელობით „განშუენდეს წმიდანი ეკლესიანი და მონასტერნი და ყოველნივე წესნი ეკლესიათანი განმრავლდეს საქართველოსა შინა მიზეზითა ძეთა მეფისა შაჰნავაზისათა“ (ბერი ეგნატაშვილი). ვახტანგის დროინდელ რელიგიურ სიტუაციაზე ფრანგი მოგზაური და ვაჭარი ჟან შარდენი წერდა: თბილისში არც ერთი მეჩეთი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალაქი მაჰმადიანურ სახელმწიფოს ეკუთვნის და მას მთელი მისი მიმდებარე ტერიტორიებითურთ მაჰმადიანი მთავარი განაგებს. სპარსელები არაფერს არ იშურებდნენ იმისათვის, რომ აქ მეჩეთი აეშენებინათ, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერასოდეს ვერ მიუყვანიათ. ხალხი მაშინვე აღდგებოდა ხოლმე, იარაღით ხელში ანგრევდა ნაგებობას და სასტიკად უსწორდებოდა მშენებლებს. საქართველოს მთავრები გულის სიღრმეში მეტად კმაყოფილნი იყვნენ ხალხის ამბოხებებით, თუმცა გარეგნულად სანინალმდეგოს გამოხატავდნენ (შარდენი).

ვახტანგმა დაიწყო ავბედობის ჟამს მოსახლეობისაგან დაცლილი ტერიტორიების მოშენება: „ამან აღაშენა და განავსო ქართლი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი, რომელსა შინა კაცნი არა იყვნენ“ (ვახუშტი).

საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის ზრუნვამ ვახტანგ V-ს ნათლად დაანახა ვაჭრობის გაფართოების აუცილებლობა. იგი ევროპელი ვაჭრების მოსაზიდად მზად იყო მათთვის ყოველგვარი პრივილეგია მიენიჭებინა. „ევროპელები, რომლებიც მოისურვებენ ჩემი ქვეყნის გავლით ინდოეთში წასვლას, ამ ქვეყანაზე უკეთეს გზას ვერსად იპოვნიანო, დარწმუნებული ვარ, თუ ერთხელ გაივლიან ამ გზით, მომავალში სხვა გზას აღარ აირჩევენო – შეუთვლია მეფეს ფრანგი კომერსანტის, შარდენისათვის. ჟან შარდენის ამ ცნობამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ვახტანგ V-ის

საგარეო პოლიტიკის მიზანი, რომელიც ითვალისწინებდა ქართლ-კახეთის ირანის ვასალად აღიარებას და მშვიდობიანი გზით ქართული საქმის კეთებას.

ისპაჰანში არსებობდა ძლიერი ანტიქართული დაჯგუფება, რომელიც ყოველი საშუალებით ცდილობდა ძირი გამოეთხარა საქართველოს გაერთიანებისაკენ მიმართული პოლიტიკისათვის. ამ დაჯგუფების კარნახით შაჰ სულეიმანმა (1666-1694) ვახტანგისა და არჩილის დასასუსტებლად კახეთის ტახტის მემკვიდრე ერეკლე ბატონიშვილი გამოიყენა. ამ დაჯგუფების მეთაურის, შეიხ ალი ხანის ვახტანგ მეფესთან დაპირისპირების მიზეზად ვახუშტი ბატონიშვილი მეფის მიერ თავისი ასულის (ანუკა ბატონიშვილის) ცოლად მიცემაზე უარის თქმას ასახელებს.

შაჰ სულეიმანთან ისპაჰანს მიმავალი ქართლის მეფე 1676 წელს გზაში გარდაიცვალა. სომხური წყაროს ცნობით, ქართლის მეფის გარდაცვალების სხვა ვერსიას იძლევა სომეხი მემკვიდრე ზაქარია კანაკერცი: „ისპაჰანთან მიახლოებულმა ვახტანგმა შეიტყო, რომ შაჰი მას წამებით მოკლავდა (ლომებს მიუგდებდა), ამიტომ სანამლავი მიიღო და აღესრულა“.

ვახტანგ V-ის გარდაცვალების შემდეგ ქართლის ტახტი მისმა ძემ გიორგი XI-მ დაიკავა. ამგვარად, ქართლის მეფე ვახტანგ V-ის მოღვაწეობის უმთავრესი მიზანი ქვეყნის გაერთიანება და გაძლიერება იყო. მის ხელთ არსებული დიპლომატიური საშუალებებით მან გარკვეულ წარმატებას მიაღწია. მაჰმადიანობის მიუხედავად, ვახტანგ V ირანის პოლიტიკური ინტერესების მსახური არასოდეს გამხდარა. თავისი წინდახედული პოლიტიკით ქართლს სიმშვიდე და კეთილდღეობა მოუპოვა. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ის ღირსეულ მამულიშვილად და დიდ პოლიტიკურ მოღვაწედ დარჩა.

(მასალები მოზადებულია „ვიკიპედიის“ მიხედვით).

**აქტივობა 3. ტექსტის კომენტარული კითხვა:** ამ დროს მასწავლებელი მიმართავს ტექსტიდან შერჩეული ადგილების კითხვას, რასაც თან ახლავს ლექსიკური მუშაობა. აქვე ვიყენებთ „მხატვრული თხრობის“ ელემენტებსაც, რაც გულისხმობს გამოტოვებული ადგილის ფაბულის სხარტად გადმოცემას მასწავლებლის მიერ. „კომენტარული კითხვისათვის“ უმჯობესი იქნება შევარჩიოთ შემდეგი ეპიზოდები:

**1. პეიზაჟი** – თქვენი აზრით, რა მიზანი შეიძლება ჰქონდეს მწერალს, ადიდებული არაგვის აღწერით? რა განწყობას ქმნის ადიდებული არაგვის ხილვა? რისთვის გვამზადებს მწერალი ამით?

**2. კირილე მღვდლის სიზმარი** – გაავლეთ პარალელი საქართველოს იმდროინდელ მდგომარეობასთან. რისი სიმბოლო შეიძლება იყოს გველეშაპი? რისი სიმბოლოა ალავერდი? რაზე უნდა მიგვანიშნებდეს ამ ზღაპრის დასასრული?

**3. ტექსტში ახალი პერსონაჟის გამოჩენა** – როგორ შემოჰყავს მწერალს ეს გმირი ტექსტში? გამოჩენისთანავე მისი რა თვისება იპყრობს მკითხველის ყურადღებას?

„სწორედ გიჟი უნდა იყო!.. თავშიშველა, უქუდოდ რომ კაცი მოგ ზაურობდეს, გაგონილა?

– როგორ ფიქრობთ, რატომ უკვირს მხედრის თავშიშველობა ზაალ ერისთავს? (იმ დროს ქუდი მამაკაცის აუცილებელი ატრიბუტი იყო და მხოლოდ ტანსაცმლის ფუნქცია არ ჰქონდა. აქვე ვაკვირვებთ ტექსტის სათაურზეც „ბაში-აჩუკი“, რაც პირდაპირ თარგმანში „უქუდოს“ ნიშნავს).

„– იმერელი უნდა გახლავდეთ ვინმე! გაჩეჩილ თმაზე ფაფანაკი ედება და არ ეტყობა.

– იმერელი?! იმერელს აქეთ რა უნდა?“

– რა უკვირს ზაალს? როგორ ფიქრობთ, რაზე მიგვანიშნებს ეს ფრაზა? (ტექსტში აღწერილია ფეოდალური დაქსაქსულობისა და გათიშულობის ხანა, იმერეთს ცალკე სამეფო აქვს, ამიტომ იმერლის გამოჩენა აღმოსავლეთ საქართველოს ამ კუთხეში, რომელიც ფორმალურად ქართლის მეფეს ემორჩილება, მართლაც საოცარია).

**4. დიალოგი ახალმოსულთან:** „ჩემი განსაცდელი რაღა სახსენებელია, შენი ჭირიმე, მაშინ როდესაც მთელი საქრისტიანო განსაცდელშია ჩავარდნილი?!“ – რაზე მიგვანიშნებს ამ ფრაზით მწერალი? რას გულისხმობს „საქრისტიანოს განსაცდელში“? (გაავლეთ პარალელი ისტორიულ სინაღვილესთან).

**5. წერილი კახეთიდან:** – როგორ ახასიათებს კახეთში შექმნილ ვითარებას ბიძინა ჩოლოყაშვილი? რას სთხოვს იგი ზაალ ერისთავს?

**6. მოულოდნელი სტუმრები, შეთქმულთა სამომავლო გეგმები** – რა პოზიციაზე დგას ზაალი? როგორ ასაბუთებს თავის აზრს? როგორ ასაბუთებენ თავის პოზიციას სტუმრები? რით ჰგავს და რით განსხვავდება მათი შეხედულებები?

**7. სახიფათო გადაწყვეტილება** – რა გადაწყვეტილებას ღებულობს საბოლოოდ სტუმარ-მასპინძელი? რა ფაქტორმა იქონია გადაწყვეტი მნიშვნელობა ზაალის დაყოფისათვის? რაზე მიგვანიშნებს ამით მწერალი?

**აქტივობა 4. წაკითხვის გააზრება:**

- სად ხდება მოქმედება? რა ამბავებს მკითხველის ყურადღებას?
- რა სიზმარი ნახა კირილე მღვდელმა? გადმოცემით შინაარსი!
- როგორ გამოჩნდა მოთხრობაში ბაში-აჩუკი (გლახუნა ბაქრაძე)? მისი რა თვისებები ჩანს პირველივე ეპიზოდში?
- ვინ გამოაგზავნა ბაში-აჩუკი ზაალ ერისთავთან და რატომ?
- როგორ დაითანხმეს ზაალ არაგვის ერისთავი აჯანყებულებისათვის ჯარი მიეშველებინა? რა მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში კირილე მღვდელმა?
- რატომ იყო უარზე ზაალ არაგვის ერისთავი, მონაწილეობა მიეღო კახეთის შეიარაღებულ აჯანყებაში?
- ეთანხმებით მის მსჯელობას, მის არგუმენტებს? როგორ ფიქრობთ, ვის პოზიციას იზიარებს მწერალი? რატომ ფიქრობთ ასე? (ტექსტში კირილე მღვდლის სიზმრის საშუალებით ხაზგასმით არის მიწოდებული, რომ დამპყრობთა წინააღმდეგ ომი ღვთის ნებაა, რომელსაც ვერავინ დავერაფერიალუდგება წინ; მაგრამ მწერლის გამოკვეთილი პოზიცია ამ ფაქტის მიმართ ჯერჯერობით არ იკვეთება).

**აქტივობა 5. შეფასება;**

**აქტივობა 6. საშინაო დავალება:** შინ დამოუკიდებლად წაკითხონ ტექსტის მომდევნო ორი თავიც, შეადგინონ გეგმა შინაარსის თხრობით გადმოსაცემად, მოინიშნონ ტექსტში ფრაზეოლოგიზმები (ანდაზები, აფორიზმები), წერილობით: „მზადება აჯანყებისათვის“ (II თავის მიხედვით), საჭიროების შემთხვევაში ჩაურთონ ციტატები.

**III-IV ბაკვიტილი**

**აქტივობა 1. საშინაო წერითი დავალებების შემონება:**

მოსწავლეები კლასს აცნობენ საკუთარ წერით ნამუშევრებს და ისმენენ მათ შეფასებას. საბოლოო კომენტარს აკეთებს მასწავლებელი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა III პირში თხრობას, ციტატების მიზანმიმართულ გამოყენებას.

**აქტივობა 2. წაკითხვის შინაარსის გადმოცემა შინ წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით:**

არ არის აუცილებელი მთლიანად გადმოიცეს შინ წაკითხული ოთხივე თავის შინაარსი, მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ ძირითად, საკვანძო საკითხებზე. ამ მიზნით ვიყენებთ დამხმარე კითხვებსაც.

**აქტივობა 3. წაკითხვის გააზრება:**

- რომელი ისტორიული პერსონაჟები გვხვდება ტექსტში? (ზაალ ერისთავი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, კახეთის მეფე თეიმურაზ I). დაახასიათეთ ეს პერსონაჟები შესწავლილი მონაკვეთების მიხედვით. მიაქციეთ ყურადღება, როგორ ახასიათებენ თეიმურაზის მეფობას რიგითი ადამიანები. თქვენი აზრით, რით არის გამოწვეული მათი ამგვარი შეფასება?
- შესწავლილი მონაკვეთების მიხედვით დაახასიათეთ საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური, სოციალური და ზნეობრივი მდგომარეობა (ქვეყანა დაყოფილია ცალკეულ ნაწილებად, აღმოსავლეთ საქართველოში ორი სამეფოა – ქართლისა, რომელსაც განაგებს გამუსულმანებული ვახტანგ V, იგივე შაჰნავაზი, და კახეთისა – რომელსაც თეიმურაზ I განაგებს. ეს მეფეები სპარსეთის „ვალეზად“ ითვლებიან, მათი სამეფოების ხელში ჩასაგდებად სპარსეთს თურქეთი ეცილება, ქართლისა და კახეთის მეფეები სპარსეთს ყოველწლიურად ხარკს უხდიან, სამაგიეროდ სპარსეთიც „იცავს“ მათ თურქეთისაგან და „არ ეხება“ მათს ენასა და სარწმუნოებას. ფაქტები კი სხვას მეტყველებს – გაიხსენეთ ბიძინა ჩოლოყაშვილის წერილი. სამეფოებს შორის ერთი შეხედვით



კეთილი დამოკიდებულება სუფევს. ცალკეა არაგვისა და ქსნის საერისთავოები, მისი ერისთავები ქართლის მეფის პოლიტიკით მაინცდამაინც კმაყოფილები არ ჩანან, თუმცა აშკარად მეფეს – ვახტანგ V-ს – არ უპირისპირდებიან. სრულიად ცალკე მოჩანს იმერეთის სამეფო. გაიხსენეთ იმერეთიდან გადმოხვენილი გლახა ბაქრაძის სიტყვები, „სამშობლოს“ რომ ემშვიდობებოდა. ქრისტიანობა საფრთხის წინაშეა, ტაძრები შეურაცხევს, წირვა-ლოცვა აღარ ისმის... ხალხი უკმაყოფილოა შექმნილი ვითარებით და ამაში, პირველ რიგში, მეფეთა არასწორ სახელმწიფო პოლიტიკას თვლის. გამუსულმანებულ შაჰ-ნავაზს შეურაცხყოფელი სახელით („წინადაცვეთილი“) მოიხსენიებენ. კიდევ უფრო უკმაყოფილონი არიან კახელები თეიმურაზ I-ის პოლიტიკით. ტექსტში აშკარად იკვეთება აღმოსავლეთ საქართველოს (კახეთის სამეფოს) პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი – რომელი დამპყრობი „სჯობს“: ქრისტიანული რუსეთი თუ მაჰმადიანური სპარსეთი. რაც შეეხება განათლებასა და მწერლობას, როგორც ტექსტიდან ირკვევა, სასულიეროზე მეტად ახალგაზრდობას საერო მწერლობა უფრო იზიდავს, ამის გამოა, რომ სახარებაზე მეტად „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობენ და მის გმირებს ბაძავენ. მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური და პოლიტიკური ვითარებისა, ქართული მწერლობა ვითარდება. ამის ნიმუშია თეიმურაზ I-ის შემოქმედება.

– თქვენი აზრით, რომელი ლიტერატურული გმირია თავიდან ბოლომდე ავტორის ფანტაზიის ნაყოფი? რას ვგებულობთ ტექსტიდან მის შესახებ? გლახო ბაქრაძის (იგივე ბაში-აჩუკი) რომელ თვისებებს გამოყოფთ? დაასაბუთეთ ტექსტის მიხედვით.

– როგორ ფიქრობთ, რატომ შემოიყვანა მწერლმა იმერელი პერსონაჟი ნანარმოებში? (პასუხი: ამით სურს ხაზი გაუსვას, რომ კახეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარება საერთო ქართული სატკივარია).

#### აქტივობა 4. მწერლის ენაზე დაკვირვება:

– თქვენ უნდა მოგენიშნათ წაკითხულ ტექსტში ფრაზეოლოგიზმები. რომელ ანდაზებს იყენებს მწერალი თხრობისას? („ერთი ხიდან ბარიც გამოვა და ნიჩაბიც“, „ცინხე შიგნიდან გატყდება“, „სიფრთხილეს თავი არ ასტკივა“, „თოფი მეთოფეს და მეთოფე სოფელსო“, „ერთი მერცხლის ჭიჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო“...);

– რომელ აფორიზმებს ვხვდებით ამ ტექსტში? („მტერი მოყვრულად მოსული მტერზედაც უარესიაო“, „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“, „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“...);

– სად უფრო ხშირად გვხვდება ეს ფრაზეოლოგიზმები – ავტორისეულ თუ პერსონაჟის მეტყველებაში? (ანდაზები ძირითადად პერსონაჟების მეტყველებაში გვხვდება; აფორიზმები – ორივე შემთხვევაში);

– როგორ ფიქრობთ, რატომ მიმართავს ამ ხერხს ავტორი? (უფრო გამომსახველი რომ გახადოს მათი მეტყველება, ანდაზა პერსონაჟს ხშირად თავისი მოსაზრების გასამყარებლად სჭირდება).

საგანგებო ყურადღებას მოითხოვს აგრეთვე დიალექტიზმები, რომელიც ყოველ გაკვეთილზე იქცევა სათანადო დაკვირვების საგნად: **ბახი** (იმერ. უვარგისი ცხენი), **ბუჭულა** (იმერ. პატარა წისქვილი), **თელხი** (იმერ. სიო), **გასისინდებოდა** (აქ: გაძღებოდა, გაიბერებოდა)...

აქვე ვაკვირვებთ მწერლის მიერ მხატვრული ხერხების: შედარება („გველივით მოიკლაკნებოდა და ჩუხჩუხა არაგვი“...), მეტაფორის („ადუღებული არაგვის წყალი“...) გამოყენების შემთხვევებზე, იდიომატურ ფრაზებზე („შიშის ქარი“...), ფიცილის ფორმებზე („თქვენი რისხვა ნუ მომეცემა“, „თუ გიყვარდე“...), სალიტერატურო ენიდან გადახვევის შემთხვევებზე („იჯდნენ“, „სამივე დადუმდნენ“, „მიაყვირეს ორივემ“...), წინადადების ტიპებზე მოდალობის მიხედვით და მათთან სათანადო სასვენი ნიშნების გამოყენებაზე...

#### აქტივობა 5. ტექსტის კომენტირებული კითხვა:

მოსწავლეები მასწავლებლის კომენტირებით კითხულობენ ტექსტის მე-5 თავს.

##### I. შაჰ-აბასის პოლიტიკა კახეთში.

– როგორ არის ტექსტში აღწერილი შაჰ-აბასის სისხლიანი ტერორი კახეთში?

– რით არის ეს ტერიტორია მისთვის განსაკუთრებით მიმზიდველი?

– როგორია მტრის თვალთ დახახული კახეთი?



- როგორ ცვლის დამპყრობი თავის პოლიტიკას?
- რა შედეგი გამოიღო ამ პოლიტიკამ ქვეყანაში?..

**II. კახეთის მეზატონე ბიძინა ჩოლოყაშვილი.**

- რით გამოირჩევა ბიძინა თავის თანამედროვე სხვა თავადებისაგან? რას ვგებულობთ მის შესახებ ტექსტიდან? როგორია მის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება?

**III. ჯანდიერის სტუმრობა.**

- რით იქცევს ბიძა-დისშვილის დიალოგი მკითხველის ყურადღებას? რით განსხვავდება მათი პოზიციები?
- ბიძინა ჩოლოყაშვილის რა თვისებებს გვაცნობს აქ მწერალი? როგორ, რა მხატვრული ხერხების გამოყენებით აღწევს ამას?
- რა მოლოდინს ქმნის მკითხველში ბიძინა ჩოლოყაშვილის პრინციპულობა?

**IV. მოულოდნელი გადანყვეტილება.**

- თქვენი აზრით, რისთვის დასჭირდა მწერალს ალაზნის პეიზაჟზე ყურადღების გამახვილება? რისთვის ქმნის აქ ფონს მშობლიური ბუნების აღწერა?
- რა გადანყვეტილებამდე მიდის ბიძინა? რამდენად გამართლებული მოჩანს მისი ეს გადანყვეტილება შექმნილ ვითარებაში?

**აქტივობა 6. შეფასება:**

**აქტივობა 7. საშინაო დავალება:** წაიკითხოთ ტექსტის მე-5, მე-6, მე-7, მე-8 თავები, შეადგინონ გეგმა შინაარსის გადმოსაცემად, მოძებნონ და მოინიშნონ ტექსტში დიალექტიზმები, არქაიზმები, სალიტერატურო ენიდან გადახვევის შემთხვევები; ააგონ წერილობითი ტექსტი სახელმძღვანელოში მითითებული ერთ-ერთი ანდაზის მიხედვით.

**V-VI ბაკვეთილი**

**აქტივობა 1. წერიტი ნამუშევრების ანალიზი და შეფასება.**

**აქტივობა 2. წაკითხული მონაკვეთების შინაარსის გადმოცემა გაბმული თხრობით.**

**აქტივობა 3. წაკითხულის გააზრება და შეფასება:**

- რამ განაპირობა შაჰ-აბასის პოლიტიკის შეცვლა კახეთში? ქართველების რა თვისება გამოიყენა ვერაგმა შაჰმა? რა დაისახა მიზნად შაჰმა? („ჯერ უნდა სხეული დაუდუნდეს, სული დაუმდაბლდეს და მერე, მხოლოდ მერე შეიძლება მისი მოდრეკა“).
- რა შედეგი მოჰყვა ამ პოლიტიკის შეცვლას? როგორ აღწერს მწერალი ქვეყნის ზნეობრივ გახრწნას?
- ერის თვითმყოფადობისათვის, ტექსტის მიხედვით, რა არის აუცილებელი? (რჯული/სარწმუნოება და ენა).
- როგორ ფიქრობთ, რა უფრო საშიში იყო ქვეყნისთვის: ფიზიკური განადგურება თუ ზნეობრივი გადაგვარება? (მოსწავლეებს ეძლევათ აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალება, მთავარია, შეძლონ მოსაზრების დასაბუთება. მოქმედებს პრინციპი: ყველას აზრი საინტერესოა).
- „ენა შეიბღალა, დიდ ოჯახებში ქართულად ლაპარაკი კიდევ ერცხვინებოდათ... სამართალი უცხო ენაზე იყო, წირვა-ლოცვის და გალობის კილო შეიცვალა, მღვდელმთავრების მოადგილედ ახუნდები გახდნენ და მსაჯულ-მოძღვრებად – მოლა-ყადები“, – ასე აღწერს მწერალი XVII ს-ის შუა ხანების ქართლ-კახეთს. გაიხსენეთ აკაკის თანამედროვე საქართველო (XIX ს-ის მეორე ნახევარი: სახელმწიფო ენა – რუსული, სწავლება რუსულ ენაზეა, წირვა-ლოცვაც ასევე, მსაჯულებად რუსი მოხელეები, რომლებიც წყალობას – ჩინ-მედლებს – არ აკლებენ „განათლებულ“ ქართველებს) და გაავლეთ პარალელები. როგორ ფიქრობთ, რა ალევორიული დატვირთვა აქვს ამ ადგილს

ტექსტში? რით ჰგავს იგი აკაკის თანამედროვე ყოფას? რისთვის დასჭირდა მწერალს ისტორიის გაცოცხლება?

– რომელი პერსონაჟი ქმნის ტექსტში მოღალატე ქართველების განზოგადებულ სახეს? (მაყაშვილი).

– ამგვარი ქართველებისთვის რა არის მთავარი? როგორია მათ მიმართ სპარსული ხელისუფლების დამოკიდებულება? ქართველი ხალხისა?..

– კიდევ რომელი მედროვე ქართველების სახეებია ტექსტში ნაჩვენები? (*აბაშიძე, ჯანდიერი, ნერეთელი*). დააკვირდით: რომელ ფენას ეკუთვნიან ეს მედროვენი? თქვენი აზრით, რაზე მიგვაწინებს ამით მწერალი?

– რომელი ახალი პერსონაჟები შემოჰყავს მწერალს ტექსტში? რას ვგებულობთ მათ შესახებ ტექსტიდან? რითი იპყრობენ ისინი მკითხველის ყურადღებას?..

#### **აქტივობა 4. მწერლის ენაზე დაკვირვება:**

წინადადების მოდალობაზე დაკვირვება – ძახილის წინადადება, ბრძანებითი წინადადება. მათთან დაკავშირებული ინტონაციურ-პუნქტუაციური საკითხები;

სინონიმები, ანტონიმები, ომონიმები; ტექსტში სათანადო ადგილების მოძებნა;

მხატვრულ სახეებზე დაკვირვება;

ფრაზეოლოგიზმებზე დაკვირვება;

ლიტერატურული ენის ნორმებიდან გადახვევის შემთხვევები, მრავლის აღმნიშვნელი სიტყვა არსებით სახელთან. ამ საკითხთან დაკავშირებით სრულდება სახელმძღვანელოში მოცემული დავალება.

#### **აქტივობა 5. ტექსტის მომდევნო ნაწილების (მე-9 – მე-11 თავები) კომენტირებული კითხვა.**

#### **აქტივობა 6. შეფასება.**

**აქტივობა 7. საშინაო დავალება:** ტექსტის მოდევნო ნაწილების შინაარსის გადმოსაცემად შეადგინონ გეგმა, დასაწერი: „თავგანწირვა“ (მე-10 თავის მიხედვით).

## **VII-VIII ბაკვეთილი**

#### **აქტივობა 1. საშინაო წერითი დავალებების ანალიზი და კომენტირება.**

**აქტივობა 2. წაკითხულის შინაარსის ნაწილ-ნაწილ გადმოცემა წინასწარ შედეგენილი გეგმის მიხედვით.**

#### **აქტივობა 3. ტექსტის გააზრება:**

– ვის უნოდებს მწერალი „გავარდნილებს“? რა მიზანი აქვს მათ მოქმედებას? როგორ ფიქრობთ, სწორია მათ მიერ არჩეული ბრძოლის გზა? (*ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ერთგვარი მინიდისკუსიაც კი ჩატარდეს*).

– რომელი ახალი პერსონაჟები შემოჰყავს მწერალს ნაწარმოებში? რით იქცევს ყურადღებას აბდუშაჰილი?

– იგი, როგორც მტრის სახე, ამოვარდნილია საერთო კონტექსტიდან. რა ხერხს მიმართავს მისი პორტრეტის დასახატავად მწერალი? რით განსხვავდება იგი ყიზილბაშებისაგან?

– ტექსტში მწერალს პერსონაჟი ქალებიც შემოჰყავს. რით იქცევენ ეს ქალები (*მელანო, პირიმზისა, პირიმთვარისა*) მკითხველის ყურადღებას? თქვენი აზრით, რამდენად რეალურია მათი სახეები? რატომ ფიქრობთ ასე?

– როგორ ფიქრობთ, რა მიზანი აქვს მწერლის მხრიდან ამ გმირების იდეალიზაციას? რატომ იყენებს ამ ხერხს ავტორი?

#### აქტივობა 4. მწერლის ენაზე დაკვირვება:

ა) **ბარბარიზმები** – ტექსტში უხვად გვხვდება ნაწარმოებში ასახული ეპოქისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები. ეს, უპირველეს ყოვლისა, ბარბარიზმებს ეხება: **ბაშ-უსტა** (დიახ, ბატონო – თურქ.), „**შიტან, შაიტან**“, „**აფერუმ**“ („სატანა, სატანა“, „ბარაქალა“ – სპარს.), **ახუნდი** (სპ. მოძღვარი, მასწავლებელი), „**სალავათი**“ (არაბ.). ამ აღმოსავლური ბარბარიზმების გამოყენებით მწერალი ქმნის სათანადო ისტორიულ ფონს ეპოქისას, რომელშიც მის გმირებს უხდებათ ცხოვრება. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ერთ-ერთი პერსონაჟის (თიმსალ-მაკოს) მეტყველებაში გვხვდება რუსული ბარბარიზმი „დერციკი“, რაც ალბათ მწერალს შეგნებულად არ უნდა ჰქონდეს გამოყენებული.

#### ბ) ანტონიმურ წყვილებზე დაკვირვება:

„მაშინ, ნეტარებით გაბრუებულს, მალლით ცა ეხსნებოდა, და ახლა კი, უბედურებით სულშეხუთულს, დედამინა უსკდებოდა!“

– მოძებნეთ მოცემულ წინადადებაში ანტონიმური წყვილები: 1) ერთსიტყვიანი (მაშინ – ახლა); 2) ორი სიტყვისგან შემდგარი (ნეტარებით გაბრუებული – უბედურებით სულშეხუთული); 3) ანტონიმური ფრაზეოლოგიზმები (ცა ეხსნებოდა – დედამინა უსკდებოდა).

– როგორ ფიქრობთ, რატომ იყენებს ამ ხერხს მწერალი? (უფრო ზუსტი, მრავლისმთქმელი და ხატოვანი რომ გახადოს ნაწარმოების მხატვრული ქსოვილი).

გ) **სალიტერატურო ნორმებიდან გადახვევის შემთხვევები** (ქვემდებარე-შემასმენლის რიცხვში არასწორი ფორმით შეწყობა, I პირის ფორმებთან პირის ნიშნების გამოტოვება).

ამგვარი ცდომილებების ერთ-ერთ მიზეზი მწერლის სასაუბრო მეტყველებასთან დაახლოების სურვილი უნდა იყოს: „მე ვერ ვახერხებ კეცად-კეცად საუბარს და ყოველთვის უბრალო სიტყვებით, მდაბიო ქართულით გამოვთქვამ ხოლმე ჩემს აზრსა“ (აკაკი).

დ) **წინადადების წევრებზე დაკვირვება** – ზმნა-შემასმენელი, მისი რაობა, ფუნქციები, გამოსატვის საშუალებანი.

#### აქტივობა 5. ტექსტის მომდევნო ნაწილის კომენტირებული კითხვა:

კომენტირება კეთდება შემდეგ ეპიზოდებზე:

1. მოულოდნელი აჯანყება;
2. კახეთი აჯანყების შემდეგ;
3. შაჰის წერილი;
4. დარბაზობა ვახტანგის კარზე;
5. საერთო გადაწყვეტილება.

წაკითხულის გააზრებისათვის დაისმის შემდეგი კითხვები:

- როგორია შაჰ-აბასის პოლიტიკა გამარჯვებულების მიმართ? რა ხერხს მიმართა მან?
- როგორ ფიქრობთ, რით არის განპირობებული შაჰნავაზის ორმაგი პოლიტიკა დამპყრობის მიმართ? დაახასიათეთ მეფე ვახტანგი ამ ეპიზოდების მიხედვით.
- რა საშიშროების წინაშე დადგა ქართლი კახელების ამ აჯანყების შემდეგ?
- რა პოზიციაზე დგანან დიდებულები?
- როგორ ასაბუთებს თავის მოსაზრებას ზაალ ერისთავი? რამდენად მისაღებად მიგაჩნიათ მისი ეს მოსაზრება? ამ პერსონაჟის რა თვისებები იკვეთება ამ მონაკვეთში?
- განსაკუთრებით რომელი გმირი იქცევს მკითხველის ყურადღებას?
- რა მხატვრულ ხერხს მიმართავს მწერალი ელიზბარ ერისთავის ნააზრევის გადმოსაცემად? რა შთაბეჭდილებას ახდენს ეს გმირი ამით დარბაზზე?
- პირადად თქვენზე რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ ეპიზოდმა? რამდენად დამაჯერებლად შეძლო მწერალმა გადმოეცა გმირების განწყობა და სულისკვეთება?..

#### აქტივობა 6. შეფასება.

აქტივობა 7. **საშინაო დავალება:** ა) ტექსტის შინაარსის გადმოსაცემად შეადგინონ მომდევნო თავების გეგმა; ბ) ააგონ წერითი თხზულება „კახეთის მხსნელები“; გ) ტექსტში მოცემულია ორი გვარის ისტორია, სურვილის შემთხვევაში მოსწავლეებმა თავადაც მოიძიონ მასალა საკუთარი გვარის შესახებ.

## IX-X გაკვეთილი

### აქტივობა 1. საშინაო წერიტი დავალების შემოწმება.

### აქტივობა 2. წაკითხული შინაარსის გადმოცემა წინასწარ შედგენილი გემის მიხედვით.

ყურადღება მახვილდება საკვანძო საკითხებზე: შაჰის წერილსა და სამეფო კარის დარბაზობის სცენაზე, იმ მხატვრულ ხერხებზე, რომელთაც მწერალი იყენებს თხრობისას.

### აქტივობა 3. წაკითხულის შეჯამება, მთლიანი ტექსტის ლიტერატურულ-მხატვრული ანალიზი:

– ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ისტორიული ფაქტები ამ აჯანყების შესახებ:

„XVII საუკუნეში კახეთში სპარსული აგრესია მძვინვარებდა. კახეთის საბოლოოდ გასანადგურებლად სპარსელმა დამპყრობლებმა გადაწყვიტეს ადგილობრივი მოსახლეობა აეყარათ და მის ადგილას 80000 თურქმანი ჩაესახლებინათ. სპარსელებმა ბახტრიონის ციხე და ალავერდის მონასტერი ციხესიმაგრეებად გადააკეთეს. აქ გამაგრებულ სპარსეთის ჯარს ჩასახლებული თურქმანები ქართველთა თავდასხმისაგან უნდა დაეცვა.“

კახეთი დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. თურქმანთა ჩასახლების წინააღმდეგ დაიწყო სახალხო მოძრაობა, რომელშიც მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩაება. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ზაალ არაგვის ერისთავი. უშუალო ორგანიზატორები იყვნენ ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები. აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს თუშ-ფშავ-ხევსურებმა ზეზვა გაფრინდაულის, ნადირა ხოშარაულისა და გოგოლაურის მეთაურობით.

1659 წელს ქართველები გაერთიანებული ძალით თავს დაესხნენ ბახტრიონისა და ალავერდის ციხეებს და მთლიანად ამოწყვიტეს იქ გამაგრებული თათრები. ასე რომ, ქართველ მამულიშვილთა თავდადებას კახეთი გადაშენებისგან იხსნა.

ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები სპარსეთში სასტიკად აწამეს. ქართულმა ეკლესიამ ისინი წმინდანებად შერაცხა.

აჯანყების მოთავე მთიელები ხალხმა მრავალ ლექსსა და სიმღერაში უკვდავყო. ამ ისტორიულ მოვლენას მიუძღვნა აკაკი წერეთელმა მოთხრობა „ბაში-აჩუკი“, ხოლო ვაჟა-ფშაველამ პოემა „ბახტრიონი“.

– რა მასალა აიღო მწერალმა ისტორიიდან უცვლელად? (თავად ისტორიული ფაქტი – კახეთის აჯანყება, ჩამოსახლებული ულუსების გაჟლეტა, შემოიყვანა ისტორიული პირები, ისტორიიდან არის ცნობილი მისი ორგანიზატორების ტრაგიკული ხვედრიც...).

– რომელი ისტორიული ფაქტია ნაწილობრივ შეცვლილი? (ზაალ არაგვის ერისთავი ფაქტობრივად აჯანყების სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი იყო, აქ კი მწერალი მას აჯანყების ერთ-ერთ მონაწილედ წარმოგვიდგენს მხოლოდ; ასევე – ისტორიიდან ცნობილია, რომ კახეთის ამ აჯანყებაში მთავარი გმირები უბრალო ადამიანები იყვნენ, ხალხურმა სიტყვიერებამ მათი სახელებიც შემოგვინახა, მაგრამ ტექსტში მწერალი დუმს მათ შესახებ/ცვლის ამ სახალხო გმირების სახელებს...).

– მწერლის რა მხატვრული გამონაგონი დაემატა ამას? (შემოიყვანა ლიტერატურული პერსონაჟები – ბაში-აჩუკი, მისი დები, აბდუშაჰილი, მელანო, წერეთლის ასული... ამას დაემატა სამიჯნურო ეპიზოდები, ქართველი ქალის სარწმუნოების და მამულისათვის თავგანწირვის მაგალითები...).

– როგორ ფიქრობთ, როგორ ეპყრობა მწერალი ისტორიულ მასალას? (ნაწილობრივ ცვლის მას, მაგრამ ისე, რომ არ ამახინჯებს მთავარ ფაქტს).

– რატომ აკეთებს ამას? (მკითხველთა ფართო წრისათვის საინტერესო რომ იყოს აქ გადმოცემული ამბავი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იქნებოდა ისტორიული ქრონიკა და არა მხატვრული ნაწარმოები).

აქვე ვაძლევთ ფაბულისა და სიუჟეტის განმარტებებს.

– მოდით, გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ისტორიული სინამდვილე და მხატვრული გამონაგონი (აქ შეიძლება გამოვიყენოთ **წყვილებში მუშაობა**: წყვილის ერთი წევრი ჩამოწერს ტექსტში გაშუქებულ ისტორიულ ფაქტებს, მეორე – მწერლის გამონაგონს).

– გავცნოთ ამ საკითხის შესახებ ლიტერატურის კრიტიკაში გამოთქმულ „თვალსაზრისს“:

„აკაკი წერეთელს არასოდეს იტაცებდა წარსული, როგორც დოკუმენტი, ამიტომაც გაურბის იგი ისტორიულ დეტალებს. მის ისტორიულ მოთხრობაში ადგილი არა აქვს დათმობილი სახლის



მონყობილობათა, თვით გმირთა გარეგნობის აღწერილობას, მათ ხასიათებსა და ყოფა-ცხოვრების ასახვას. მათი ადგილი „ბაში-აჩუკში“ ზღაპრულ მოტივებს უჭირავს. ... აკაკის არც ჰქონია განზრახული, რომ წმინდა ისტორიული მოთხრობა დაენერა. მან თავისი თანადროული საქართველო გადაიტანა XVII საუკუნეში და ამგვარად კიდევ უფრო მკაფიოდ გამოამჟღავნა ბედი თავისი დროის საქართველოსი“ (დემნა შენგელაია).

– „ბაში-აჩუკის“ გაცნობის შემდეგ ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას? როგორ ფიქრობთ, მართლა გაურბის მწერალი ისტორიული დეტალების ჩვენებას? (ნაწილობრივ გაურბის, თუმცა ცდილობს, რომ პერსონაჟთა მეტყველებით, ბუნების სურათების აღწერით, ისტორიული პერსონაჟების შემოყვანით გააცოცხლოს ის გარემო, სადაც ეს მოქმედება ხდებოდა).

– „მან თავისი თანადროული საქართველო გადაიტანა XVII საუკუნეში და ამგვარად კიდევ უფრო მკაფიოდ გამოამჟღავნა ბედი თავისი დროის საქართველოსი“, – წერია „თვალსაზრისში“. როგორ ფიქრობთ, როგორ შეძლო ეს მწერალმა? რა აკავშირებს ტექსტში აღწერილ ისტორიულ ფაქტსა და XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს? (ორივე შემთხვევაში საქართველო დაპყრობილია და ნაშლილია პოლიტიკური რუკიდან, თუ XVII საუკუნეში საქართველოს ცალკეულ სამეფოებს ფორმალურად მაინც ჰყავდათ მეფეები, ახლა ქართველი მეფე რუსეთის მეფისნაცვალმა შეცვალა, მასაც ზუსტად ის პოლიტიკა ჰქონდა ქართველების მიმართ, რომელსაც მწერალი „ბაში-აჩუკში“ დანვრისგან აღწერს. როგორც ისტორიიდან გახლავთ ცნობილი, რუსეთმაც თავისი სამხედრო მმართველობა სამოქალაქო მმართველობით შეცვალა, რამაც, მართლია, ერი ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა, მაგრამ ზნეობრივად გადაავარა. მწერალი კარგად იცნობს თავის თანამედროვეთა ყოფას და ყველაზე მეტად ქვეყნის ეს ზნეობრივი გადაგვარება უკლავს გულს; ანუხებს ქართული ტრადიციების უგულვებლყოფა, ქართული ენის შეზღუდვა... ამის შესახებ ის თამამად საუბრობს ნარსულ დროში, ასევე თამამად საუბრობს მედროვეობაზე, როგორც ქვეყნის დაღუპვის ერთ-ერთ მთავარ მიზეზზე, ჯანდიერის მსგავსი მედროვეებით აკაკის თანამედროვე საქართველო საკმაოდ „მდიდარი“ იყო.

– თქვენი აზრით, რა მიზანი ჰქონდა აკაკი წერეთელს, „ბაში-აჩუკს“ რომ წერდა? (ერთი მხრივ, სურდა, რომ გაეხსენებინა ქართველებისათვის ჩვენი ქვეყნის ნარსულის ერთ-ერთი საამაყო ფურცელი, რომელსაც ალბათ ბევრი არც იცნობდა; მეორე მხრივ – თავის თანამედროვეებში აღედრა პროტესტის გრძნობა მეფის რუსეთის მიმართ, გამოეფხიზლებინა ერი).

#### **აქტივობა 4. „რა ვიცოდი, რა გავიგე, რის გაგება მაინტერესებს“:**

აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკზე“ მუშაობა სწორედ ამ სქემით დაიწყო. ტექსტის წაკითხვამდე მოსწავლეებმა შეავსეს გრაფა „რა ვიცოდი“, ახლა ერთობლივად ავსებენ გრაფას „რა გავიგე“; „რის გაგება მაინტერესებს“ ივსება ინდივიდუალურად თითოეული მოსწავლის მიერ.

#### **აქტივობა 5. „რა დაგამახსოვრდა კლასის დატოვების შემდეგ“:**

მოსწავლეები ფურცლებზე წერენ, რა დაამახსოვრდათ ამ მასალიდან კლასის დატოვების შემდეგ; ნაწერი სურვილისამებრ შეიძლება გააცნონ პარტნიორს (მენყვილეს), მთელ კლასს, ან ჩააბარონ მხოლოდ მასწავლებელს.

#### **აქტივობა 6. შეფასება.**

**აქტივობა 7. საშინაო დავალება:** 1) შესწავლილი ტექსტის ირგვლივ ჩამოწერონ 4-5 ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც სიამოვნებით და დიდი ინტერესით დაწერენ, ამავე დროს, მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია ამ საკითხების შესახებ (რეპეტიცია აკადემიური წერისათვის); 2) ერთხელ კიდევ გადახედონ ტექსტს, მოინიშნონ სალიტერატურო ენის ნორმებიდან გადახვევის ფაქტები, აქვე მიუთითონ, როდის იყენებს მათ მწერალი (პერსონაჟის/ავტორისეულ მეტყველებაში), რატომ იყენებს (ა) ცდილობს შექმნას ფონი; ბ) არ იცის სწორი ფორმა; გ) სურს დაუახლოვდეს ხალხურ მეტყველებას.

## XI-XII გაკვეთილი

### აქტივობა 1. მწერლის ენაზე დაკვირვება:

მოსწავლეებს უნდა მოეძიებინათ ტექსტში სალიტერატურო ენის ნორმებიდან გადახვევის შემთხვევები და დაეფიქსირებინათ თავისი აზრი – რატომ, რა მიზეზით, რა მიზნით იყენებს მწერალი ამ ფორმებს.

აკაკის ენის თავისებურებებს მოსწავლეები ტექსტის დამუშავების პროცესში გზადაგზა აკვირდებოდნენ, ახლა კი გამთლიანდება და სისტემაში მოვა ეს ცოდნა.

**ა) ფონეტიკური მოვლენები,** რაც ხშირ შემთხვევაში იმერული დიალექტის გავლენას უნდა მიეწეროს: „ზაალი კი თავს ველარ ახნევდა“ (ასიმილაცია), „გადუშვა აზვირთებულ წყალში“ (ზმნისწინისეული ხმოვნის დაკარგვა), „ამიხსენი, თვარა გონება მეკარგება“ (ო ბგერის შეცვლა ვა კომპლექსით), „შავი ოხშივარი კომლივით ამოუშვა“ (ვა კომპლექსის ო-დ ქცევა) ... ამგვარი შემთხვევები ძირითადად პერსონაჟთა მეტყველებაში გვხვდება.

**ბ) მორფოლოგიური მოვლენები:** „ესეები ყველა გადაეცი ბაში-აჩუკსა“, „ამაებს ძალიან გულ-მოდგინებით იძახდა“ (ჩვენებითი ნაცვალსახელი ებ-იანი მრ. ფორმით გვხვდება); „ბაში-აჩუკს რათ გეძახიანო?“ „ჩვენ რათ გავუხდეთ მიზეზად“ (ვით. ბრუნვის ნიშნის არასწორი გამოყენება), „დედასთან ერთად ტყვედ წაუყვანივარ“, „ქვეყანა გავაკვირვოთ და მტერს თვალები დაუყენოთ“ (I პირის სუბ. პირის ნიშნის გამოტოვება უ ხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან), „ცაზე ვარსკვლავები აკიაფდენ“, „ნადი, სთხოვე, მობრძანდენ“ (-ნენ დაბოლოების ნაცვლად-ენ ბოლოსართის გამოყენება წყვეტილის მესამე პირის მრ. რიცხვის ფორმებთან, რაც საერთოდ არის დამახასიათებელი აკაკის ენისთვის), „არ გიჯობსთ, რომ წინაღუდგეთ უნმინდურს!“, „ჩემს მეტი არავინ ჰყავსთ“, „იმერელი უნდა გახლდესთ“ (სუბ. III პირის ნიშნის – ს – შენარჩუნება ობ. მრ. ნიშნთან ერთად)...

**გ) სინტაქსური მოვლენები:** „ყველა თათრებმა“, „ორი დები“ (დარღვეულია მრავლის აღმნიშვნელ სიტყვასთან არსებითი სახელის რიცხვში შეთანხმება), „ყველა უყურებდენ“, „სამივე დადუმდენ“ (დარღვეულია ქვემდებარე-შემასმენლის რიცხვში შეთანხმების წესი) „მასთან ერთად სხვა ახალგაზრდებია“ (აქ ვანვლით წესს შედგენილი შემასმენლის შეკვეცილი ფორმის შესახებ – **თუ შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი სულიერ საგანს აღნიშნავს და მრავლობთ რიცხვშია, მასთან დამხმარე „არის“ ზმნის მრავლობითი რიცხვის ფორმას ვიყენებთ, რომელიც არ იკვეცება**).

აღსანიშნავია, რომ ეს და მსგავსი დარღვევები ძირითადად პერსონაჟთა მეტყველებაში გვხვდება. იგი ემსახურება, ერთი მხრივ – პერსონაჟთა დახასიათებას, მეორე მხრივ კი, როგორც თავად მწერალი აღნიშნავდა, სამწერლო ენის სასაუბრო ენასთან დაახლოებას („...მდაბიო ქართულით გამოვთქვამ ხოლმე ჩემს აზრსა“). აქვე შეიძლება გავაცნოთ რამდენიმე ამონარიდი, რომლებშიც მწერალი საგულისხმო შენიშვნებს გამოთქვამს სალიტერატურო ენის შესახებ:

*„ჩვენ, ინტელიგენტებმა, ენა არ ვიცით და ვეძალებით შეთხზვას, მაშინ, როდესაც ის წმინდა ქართული სიტყვები ხალხში დარჩენილა და ჩვენ კი არ ვიცით“.*

*„მე მგონია, ცხადი იყოს ყველასთვის, რომ საქართველოს ერთიანობის დროს ენაც ერთი გვექონია, ღრმად შემუშავებული და წესიერადაც დაკანონებული... სამეფოს გაყოფისა და დაცალკევების შემდეგ ენასაც ხრწნილება შეპარვია, ადგილობრივი კილო მიუღია და ისე შელახულა, რომ დღეს ის კანონიერი ენა აღარსად ისმის“.*

*„სამწერლო და სადარბაისლო ქართული იმით (მეგრელებმა) ჩვენზე ნაკლებად არ იციან. მეგრული დღეს საღაროა ნამდვილი ქართული სიტყვებისა. აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-სპარსულ-თათრული შემოუღია, რომელიც ქართულის ყურს ცუდად ეჩხირება და გულსა სწყინს... და მეგრულ ენაში კი შენახულან ობოლ მარგალიტებად ის ძველი სიტყვები. ჩვენ ვურჩევთ ჩვენს მწერლებ-მწიგნობრებს მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილ სიტყვებით შეავსონ მათი შელახული ქართული ლექსიკონი. ეს რომ ასეა, ყველამ ვიცით“.*

**აქტივობა 2. ჯგუფური მუშაობა:** შეიძლება მწერლის ენაზე დაკვირვების მიზნით მივმართოთ ჯგუფურ მუშაობას: კლასი იყოფა რამდენიმე ჯგუფად. პირველ ჯგუფს ვავალებთ მოიძიონ ტექსტის მე-5 თავში აფორიზმები, II ჯგუფს – ანდაზები, III ჯგუფს – დიალექტიზმებისა და ბარბარიზმების ნიმუშები, IV ჯგუფს – სალიტერატურო ენის ნორმიდან გადახვევის ფაქტები, V ჯგუფს – იდიომატური გამოთქმები სათანადო შესატყვისებით (*ჩვენ ამჯერად არჩევანი ამ თავზე იმის გამო შევაჩერეთ, რომ იგი საკმაოდ მდიდარია ამგვარი ფორმებით, მასწავლებელს შეუძლია მისი შეცვლა*).

**აქტივობა 3. სტრატეგია „ხუთსტრიქონიანი ლექსი“.** ამ მიზნით ასევე საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს (*მხედველობაში გვაქვს ლიტერატურული მასალის ინტეგრირება ენობრივთან*) ე. წ. „ხუთსტრიქონიანი ლექსი“.

**მეთოდის აღწერა:**

პირველ სტრიქონზე იწერება ერთი არსებითი სახელი, რომელსაც ამ ტექსტისათვის საკვანძო მნიშვნელობა აქვს.

მეორე სტრიქონზე იწერება ამ არსებით სახელთან დაკავშირებული ორი ზედსართავი სახელი;

მესამე სტრიქონზე – ამ არსებით სახელთან დაკავშირებული სამი ზმნა;

მეოთხე სტრიქონზე – ამ არსებითი სახელის გამოყენებით ოთხსიტყვიანი წინადადება;

მეხუთე სტრიქონზე – სიტყვა, რომელიც კრავს და ამთლიანებს ყველა დანარჩენ სიტყვასა და ფრაზას.

ნიმუში:

**ბაში-აჩუკი**

**თავდადებული, ერთგული**

**იბრძვის, უყვარს, იმარჯვებს**

**შეუბრალებელია ქვეყნის მტრებთან ბრძოლაში**

**გმირი**

**აქტივობა 4. პერსონაჟთა დახასიათება** – ამ მიზნით შეიძლება შევადგინოთ ცალკეული გმირისათვის „რუკაც“, სადაც აღინიშნება გმირის თვისება და ამ თვისების დამადასტურებელი ადგილი ტექსტიდან.

**აქტივობა 5. სამოდულო წერის გაკვეთილი:**

მეთოდის აღწერა:

**ა) რეპეტიცია** – წინა გაკვეთილზე მოსწავლეებს ვთხოვეთ ინდივიდუალურად ჩამოენერათ თემასთან („ბაში-აჩუკი“) დაკავშირებით 4-5 ისეთი საკითხი, რომელსაც სიამოვნებით და დიდი ინტერესით გააშუქებდნენ, უნდა მოეძიებინათ საჭირო მასალაც ამ საკითხების ირგვლივ (ამ ეტაპზე ხდება არა მხოლოდ საკითხების შერჩევა, არამედ მათ შესახებ ყველა შესაძლო ინფორმაციის, შეხედულებისა და იდეის მოძიება; სავარაუდო საკითხები: ისტორიული სინამდვილე „ბაში-აჩუკი“; მხატვრული გამონაგონი „ბაში-აჩუკში“; ქალთა სახეები „ბაში-აჩუკში“, აბდუმაჰილის სახეცვლა..).

**ბ) თემის შერჩევა** – ამის შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვეთ: 1. დანყვილდნენ (ან ჩვენი შეხედულებისამებრ დავანყვილებთ); 2. დაეხმარონ მენყვილეს თემის შერჩევაში (ამ დროს შეიძლება ერთმანეთს დაუსვან კითხვები: რატომ შეარჩიე მაინცდამაინც ეს საკითხი? რა ინფორმაციას ფლობ ამ საკითხის ირგვლივ? რამდენად აქტუალურად მიგაჩნია ეს საკითხი სადღეისოდ?..); 3. ჩაინიშნონ მენყვილის დასმული საკითხები, რადგან ეს წერის პროცესის დაგეგმვასა და ნაშრომის დახვეწაში



დაეხმარებათ; 4. გადახედონ რვეულში ჩანიშნულ შეკითხვებს და შეარჩიონ თემა, რომელიც საინტერესოა, ამასთანავე, მის შესახებ გარკვეულ ინფორმაციასაც ფლობენ.

**გ) მონახაზის შექმნა** – ამას შეიძლება გეგმის ან ასოციაციური რუკის სახე ჰქონდეს. იქმნება რამდენიმე ვარიანტი, რომელიც მენეჯილესთან ერთად განიხილება;

**დ) თხზულების პირველადი ვარიანტის შექმნა** – განვუსაზღვრავთ დროს ინდივიდუალური ნაშრომის შესაქმნელად (20-25 წთ); წერის დამთავრების შემდეგ მენეჯილესთან ერთად განიხილავენ ნაშრომს და გამოთქვამენ მოსაზრებას ერთმანეთის ნაწერზე, შეიძლება ერთმანეთს მისცენ რჩევებიც, რომელსაც სურვილისამებრ გაითვალისწინებენ.

**ე) გადასინჯვა და რედაქტირება** – ეს არის ნაშრომში შემჩნეული შეცდომების აღმოჩენა და ჩასწორება. ამ დროს მენეჯილეებმა შეიძლება ერთმანეთში გაცვალონ ნაშრომები, წაიკითხონ და შემჩნეულ შეცდომებზე მიუთითონ ერთმანეთს;

**ვ) ნაშრომი აუდიტორიის სამსჯავროზე გამოდის** – მოსწავლეები კლასთან ერთად განიხილავენ საკუთარ ნაშრომებს. ამ მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ ე.წ. „საავტორო სკამიც“.

რა თქმა უნდა, ამ მეთოდის გამოყენება თავად მასწავლებლის სურვილზეა დამოკიდებული. „წერის სამოდულო გაკვეთილის“ ნაცვლად მას წარმატებით შეუძლია ტრადიციული „საკლასო წერის გაკვეთილის“ ჩატარებაც მისთვის სასურველ თემაზე.

## **აქტივობა 6. შეფასება.**

მოსალოდნელი შედეგების შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან:

**ქართ. VIII. 1.** მოსწავლეს შეუძლია კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობის მოსმენა და საკუთარი თვალსაზრისის წარმოდგენა აუდიტორიის წინაშე.

**ქართ. VIII. 5.** მოსწავლეს შეუძლია გაიაზროს, გააანალიზოს და შეაფასოს ტექსტები (მხატვრული და არამხატვრული), რომლებიც შეიცავენ გარკვეულ თვალსაზრისს ან მსჯელობას კონკრეტულ საკითხებზე.

**ქართ. VIII. 7.** მოსწავლეს შეუძლია ნაწარმოების მნიშვნელოვანი ასპექტების გაანალიზება.

**ქართ. VIII. 8.** მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ხერხებისა და ენობრივი მახასიათებლების ცოდნის გამოყენება ტექსტების გასაანალიზებლად.

**ქართ. VIII. 10.** მოსწავლეს შეუძლია წერილობით გადმოსცეს საკუთარი თვალსაზრისი, იმსჯელოს კონკრეტულ საკითხზე სათანადო არგუმენტების მოხმობით.

**ქართ. VIII. 13.** მოსწავლეს შეუძლია წერის სტრატეგიების გამოყენება ნაწერის ეფექტური ორგანიზებისათვის.

**მასალა:** შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (თათბირი ნურადინ ფრიდონისა, თათბირი ავთანდილისა, თათბირი ტარიელისა) არქაიზმები

**მიზნები:**

- პოეტური ტექსტის აღქმა;
- ინფორმაციის მიღება და გადაცემა მოსწავლეთა მიერ;
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება;
- გამომეტყველებითი კითხვის ჩვევათა გამომუშავება;
- შესწავლილი ტექსტის მიხედვით პერსონაჟის წარმოსახვითი პორტრეტის შექმნა;
- კრიტიკული აზროვნების განვითარება;
- წერის სტრატეგიების დაუფლება;
- კითხვის სტრატეგიების დაუფლება;
- ზნეობრივ-ესთეტიკურ ღირებულებათა ჩამოყალიბება.

**I ბაკვეთილი**

**აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცი (10-12 წთ).**

**აქტივობა 2. კითხვისათვის მზადება (5-7 წთ):** ამ ეტაპზე მოსწავლემ შესაძლებელია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება, კერძოდ:

**ა) ასოციაციური რუკა – მეთოდის აღწერა:** 1) დაფის ან ფურცლის ცენტრში ვწერთ ძირითად სიტყვას („ვეფხისტყაოსანი“/ შოთა რუსთაველი); 2) შემდეგ ჩამოინერება ის სიტყვები და ფრაზები, რომლებიც მოსწავლეთა წარმოდგენაში ამ სიტყვასთან ასოცირდება; 3) ისრებით ერთმანეთთან ვაერთებთ ისეთ სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებიც აზრობრივად ერთმანეთთან არის დაკავშირებული (ეს მეთოდი ძირითადად გამოიყენება გამონვევის ფაზაზე).

**ბ) სქემა:** „ვიცი – გავიგე/ვისწავლე – რის გაგება მაინტერესებს“. ამ სქემის პირველი გრაფა „ვიცი“ ივსება გამონვევის ფაზაში, „გავიგე/ვისწავლე“ და „რის გაგება მაინტერესებს“ წაკითხულის გააზრებისა და შეჯამების ფაზაში;

**გ) მასწავლებლის ტრადიციული შესავალი საუბარი.**

**დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:** „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობის შესახებ არსებული მთელი მასალა შეიძლება ოთხ ნაწილად დაჯგუფდეს: 1) თავად პოემის ტექსტი (პროლოგი და ეპილოგი); 2) პალესტინის ჯვრის მონასტრის წარწერა და იქვე გამოსახული ფრესკა; 3) ზეპირი ტრადიცია – ხალხის მიერ თაობიდან თაობისთვის გადმოცემული სხვადასხვა მასალა; 4) XVI- XVII სს-ის ქართული მწერლობა.

პოემაში ნახსენები ინფორმაცია ავტორის შესახებ მასწავლებლისთვის ჩვენგან დაკონკრეტებას არ საჭიროებს; რაც შეეხება პალესტინის ჯვრის მონასტერში გამოსახულ ფრესკასა და სათანადო წარწერას, მოსწავლეთა ერთი ნაწილისათვის იგი უკვე ცნობილია წინა კლასებიდან. ამ ფრესკის შესახებ პირველ ცნობას გვანვდის XVIII ს-ის საეკლესიო მოღვაწე და მოგზაური ტიმოთე გაბაშვილი: „ჯვრის მონასტერი დაძველებულა და გუმბათის ქვედა სვეტი გაუახლებია და დაუხატვინებია მთქმელსა ლექსთა ბოროტთა, რომელმაც ასწავლა ქართველთა სინმდინის წილ ბილწება და გარყვნა ქრისტიანობა... შოთას ვიტყვი რუსთაველსა მეჭურჭლეთუხუცესს, თითონაც შიგ ხატია მოხუცებული“ (ტ. გაბაშვილი, „მომოსვლა“, 1956, გვ. 80). 1845 წ-ს აქ იმოგზაურა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა დ. ჩუბინაშვილმა, რომელმაც ნახა ეს პორტრეტი; ამ პორტრეტის აქ არსებობა დაადასტურა ალ. ცაგარელმაც 1883 წ-ს, მაგრამ 1902 წ-ს ნიკო მარს აქ იგი აღარ დახვედრია. იგი შავი საღებავით დაუფარავთ ეკლესიის იმდროინდელ მესვეურთ, რომელთაც იქ ქართული კვალის ნაშლა სურდათ. 1960 წლის ცნობილ ექსპედიციას, რომლის შემადგენლობაშიც აკაკი შანიძე, გიორგი ნერეთელი და ირაკლი აბაშიძე იმყოფებოდნენ, დიდი ძალისხმევა დასჭირდა ამ პორტრეტისა და წარწერის აღსადგენად. მკვლევართა აზრით, ფრესკაზე გამოხატულია დიდგვაროვანი მაღალი თანამდებობის პირი. იგი გამოსახულია ცნობილ ფილოსოფოსთა –

იოანე დამასკელსა და მაქსიმე აღმასარებელს – ნინ მუხლმოდრეკილი: „ამის დამხატვასა შოთა (ს) შეუნდევს ღმერთმან ამინ“. სურათს ქვემოთ აქვს წარწერა: „რუსთველი“. როგორც ცნობილია, ეს ფრესკა ბოლო წლებში რამდენჯერმე კიდევ დააზიანეს.

ამის გამო თითქოს შეიძლება სარწმუნოდ მივიჩნიოთ ხალხური გადმოცემა, რომ სიცოცხლის ბოლო წლები შოთა რუსთაველს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გაუტარებია. ამ ცნობას მხარს უჭერს მონასტრის სააღაპე ნიგნის აღწერილობაც, რომელშიაც მოხსენიებულია შოთა მეჭურჭლეთუხუცესი. ფრესკაზე გამოსახული პირი და სააღაპე ნიგნში ნახსენები შოთა მეჭურჭლეთუხუცესი ერთი და იგივე პირი უნდა იყოს (ელ. მეტრეველი, შენიშვნები შოთა მეჭურჭლეთუხუცესის აღაპისა და შოთა რუსთაველის ფრესკის ირგვლივ, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 1961, №3).

პოემის ავტორად რუსთაველს მიიჩნევენ XVI–XVII სს-ის მოღვაწენი: სერაპიონ გაბაშვილი, თეიმურაზ პირველი, არჩილი.

რაც შეეხება ზეპირ გადმოცემას რუსთაველის შესახებ, აქ წინა პლანზეა წამოწეული მისი უიმედო ტრფობა თამარ მეფის მიმართ, რის გამოც იგი საქართველოდან იერუსალიმში გადახვენილა და იქ ბერად აღკვეცილა. ამ გადმოცემის მიხედვით, მას განათლება ჯერ საქართველოში – იყალთოს აკადემიაში – მიუღია, შემდეგ საბერძნეთში დაუსრულებია (ან პირიქით – ჯერ საბერძნეთში და შემდეგ – საქართველოში). იგი დიდად დანიშნაურებულა სამეფო კარზე და მაღალი თანამდებობისთვისაც მიუღწევია. მაინც რომელი რუსთავის მკვიდრი იყო იგი? ამ კითხვაზე არ არსებობს ზუსტი პასუხი. მკვლევართა ნაწილი მას მესხეთის მკვიდრად მიიჩნევს, ამ მოსაზრებას თითქოს განამტკიცებს ქვაბისხევის მონასტერში არსებული XII ს-ის ფრესკა ახალგაზრდა ჭაბუკის გამოსახულებით და წარწერით „შოთა“.

რა თქმა უნდა, ზეპირგადმოცემა მნიშვნელოვანი წყაროა, მაგრამ მეცნიერებისათვის მთავარი დოკუმენტური მასალაა და ამიტომ ყველაფერი ეს ვარაუდია და არა დადასტურებული ფაქტი. როგორც სპეციალისტები ფიქრობენ, ჯერჯერობით უტყუარია მხოლოდ ის, რომ პოემის ავტორი შოთა რუსთაველია და ის თამარის ეპოქაში ცხოვრობდა, მან პოემა მეფე ქალს მიუძღვნა, რუსთაველი ზენოდებაა და აღნიშნავს სადაურობას ან გარკვეული ადგილის მფლობელობას; ვიცით, რომ მისი სახელი უკავშირდება პალესტინის ჯვრის მონასტერს. პოემის შემდეგ ყველაზე სარწმუნო წყაროდ პალესტინის მასალა მიიჩნევა. სხვა ყველაფერი ვარაუდია და მომავალი კვლევის საგანს წარმოადგენს (მ. თაბორიძე, ვეფხისტყაოსნის ლიტურატურულ-ესთეტიკური ანალიზი სკოლაში, თბ., 2001, გვ. 94).

**აქტივობა 3. ტექსტზე მუშაობა (12-15 წთ):** „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე მუშაობის ყველაზე აპრობირებული მეთოდი გახლავთ კომენტირებული კითხვა (გ. ნიორაძე, მ. თაბორიძე, ნ. რუხაძე...), კერძოდ, კლასში წაკითხული ტექსტის კომენტირება მასწავლებლის მიერ. ტექსტი იკითხება ჯერ მთლიანად, შემდეგ კი ნაწილ-ნაწილ, რა დროსაც დიდ ადგილს იკავებს ახალი ლექსიკური ერთეულების ახსნა, თითოეული ტაეპის გაშინაარსება და შემდეგ წაკითხულის გამთლიანება. აქვე ვაკვირვებთ მოსწავლეებს მხატვრულ სახეებზე, რათა მივალწიოთ ლიტერატურის სწავლების ძირითად მიზანს: ნაწარმოების აღქმას შინაარსისა და ფორმის ერთიანობის დაცვით, ტექსტის ლიტერატურულ-ესთეტიკურ ანალიზს. ეს კი საკმაოდ რთულია ამ ასაკის მოსწავლეებთან ისეთ ტექსტზე მუშაობისას, როგორიც „ვეფხისტყაოსანია“.

მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეთა მიერ გაშინაარსებული ტექსტი დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

1. ფრიდონმა თქვა: ჩემს აზრს გეტყვით, რომელიც მცდარი არ უნდა იყოს. ჩვენ ცოტანი ვართ, ქალაქს კი მხოლოდ დიდი ჯარი თუ აიღებს. პირისპირ ვერ მოვერევით, ახლა კვეხნის დრო არ არის, ათას წელს ვერ შევალთ იქ, კარი თუ დაგვიკეტეს.

2. ბავშვობაში ჩემმა გამზრდელებმა ჯამბაზის ხელობაც მასწავლეს. ვიცი თოკზე გასვლაც. ისე გავდიოდი თოკზე, რომ თვალს ვერავინ მასწრებდა. ბავშვები როცა მიყურებდნენ, მე შემომნატროდნენ.

3. ვისაც უკეთ შეუძლია ქამანდის სროლა, ვესროლოთ, გამოვაბათ ციხის ბურჯს, მე მასზე ისე გავივლი, როგორც ველზე, შიგნით მყოფ ქაჯებს ერთიანად ამოვხოცავ.

4. აბჯრით თოკზე გასვლა და ფარის გატანა არ გამიჭირდება, შემდეგ ციხეში ჩავხტები სწრაფად, ქარივით დავაცხრები თავს, ლაშქარს ამოვხოცავ, კარს გავაღებ და ღიას დაგახვედრებთ, თქვენ კი იქ მოდით, სადაც ბრძოლის ხმა მოგესმებათ.

ტექსტის გაშინაარსების შემდეგ დაისმის ფაქტობრივ მასალაზე ორიენტირებული (I დონის) კითხვები:

- როგორ აღწერს ფრიდონი ქაჯთა ციხეს? რატომ არ აქვს მას პირისპირ შეხვედრის იმედი? რომელი სიტყვით ახასიათებს იგი შექმნილ ვითარებას?
- რას ასწავლიდნენ მას ბავშვობაში? რა შეუძლია ახლა მას?
- რას სთავაზობს იგი მეგობრებს?
- რომელი სიტყვა მიგვითითებს ტექსტში მის სიმარჯვეზე? (ამ კითხვებზე პასუხების გაცემა ხდება უშუალოდ ტექსტობრივი მასალის მოშველიებით).

**აქტივობა 4. ნაკითხულის გააზრება (7-8 წთ):**

- თქვენი აზრით, რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მომავალ მეფეს, ფრიდონს, „სამუშაო-თოდ“ ზრდიდნენ? (იმ დროს მიაჩნდათ, რომ მეფე ყველა განსაცდელისთვის უნდა ყოფილიყო მზად და ყველაფერი სცოდნოდა).
- რამდენად უსაფრთხოდ და გონივრულად მიგაჩნიათ ფრიდონის გეგმის განხორციელება? (მოსწავლეები თვითონ მსჯელობენ და ასაბუთებენ თავიანთ აზრს).
- თქვენი აზრით, აირჩივეთ თუ არა მეგობრები ფრიდონისეულ გეგმას? რატომ ფიქრობთ ასე? როგორ ფიქრობთ, როგორ განვითარდება ტექსტში შემდგომი მოვლენები? რა გაძლევთ ამ ფიქრის საფუძველს?..

**აქტივობა 5. საშინაო დავალება (2-3 წთ):**

ნაკითხულის მიხედვით ააგონ წერილობითი ტექსტი: „ფრიდონის გეგმა“.

**ვიზუალიზება** –სურვილისამებრ შექმნან ტექსტის მიხედვით მხატვრული ილუსტრაციები.

მოდით ხალხური სიტყვიერებიდან მასალა „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის შესახებ (ამ მიზნით გამოიყენონ ბიბლიოთეკა და ინტერნეტრესურსები).

**II ბაკჰეტილი**

**აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია ( 5-6 წთ):**

**აქტივობა 2. შინაარსის რეალიზება. (8-10 წთ):** ამ დროს ყურადღება ექცევა ამბის ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემას. დამატებით შეიძლება გამოვიყენოთ „ორმხრივ ჩანაწერთა დღიური“.

**მეთოდის აღწერა:**

- ა) რვეულის ფურცელს ვყოფთ ვერტიკალური ხაზით.
- ბ) მოსწავლეებმა ტექსტიდან უნდა ამოიწერონ ის ფრაზები (ფაქტები), რომლებმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მათზე და მოათავსონ რვეულის მარცხენა მხარეს.
- გ) მარჯვენა მხარეს მოსწავლე წერს: რატომ აირჩია ეს მონაკვეთი? რამ მოახდინა მასზე შთაბეჭდილება?
- დ) რვეულში მინიმუმ სამი ჩანაწერი მაინც უნდა გაკეთდეს.
- ე) როცა მუშაობას დაამთავრებენ, მოსწავლეები კლასს უზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებებს (წერილი ნამუშევრები არ სწორდება და არ ფასდება მასწავლებლის მიერ).

**აქტივობა 3. ნაკითხულის შეფასება (8-10 წთ):**

- „ჩვენ ცოტანი ვართ, ქალაქი დიდთაგან საომარია; პირის-პირ ომი არ ძალ-გვიც, არ ჟამი საკვებარია“, – ამბობს ტექსტში ფრიდონი. მის რა თვისებაზე მეტყველებს ეს სიტყვები? (რეალურად აფასებს შექმნილ ვითარებას და ეძებს გამოსავალს).
- ფრიდონი საკმაოდ მოქნილია და მარჯვე, დაასაბუთეთ ეს ტექსტის მიხედვით („ასრე გავი-დი საბელსა, რომ თვალი ვერ მომკიდია... აბჯრითა გავლა არად მიჩს...“).
- ფრიდონი თვითონ კისრულობს უმძიმეს გადაწყვეტილებას. რომელ სიტყვებში ჩანს ეს? როგორ ახასიათებს მას ეს მომენტი? როგორ წარმოჩნდება იგი მკითხველის წინაშე? დავახასიათოთ ფრიდონი ამ ეპიზოდის მიხედვით.



**აქტივობა 4. მწერლის ენაზე დაკვირვება (5 წთ):**

– დააკვირდით ტაეპში მარცვალთა რაოდენობას. რამდენმარცვლიანია თითოეული ტაეპი? (აქ შეიძლება მივცეთ შაირის განმარტება – ქართული ლექსის ძირითადი საზომი, 16-მარცვლიანი).

**დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის: შაირი** (არაბ. შაჰირ) – 1. ლექსი, როგორც პოეტური ფორმა (ზოგადად), მელექსეობა, 2. 16-მარცვლიანი ლექსი. ლექსის ეს ზომა ხალხური შემოქმედებიდან უნდა იყოს შემოსული; პირველად ჰიმნოგრაფმა ფილიპემ გამოიყენა თავის საგალობელში, იგივე ზომა გამოყენებულია „დავით აღმაშენებლის ანდერძში“, რომლის ავტორად არსენ იყალთოელი ითვლება. რუსთაველთან კი ამ ზომამ სრულყოფას მიაღწია და შემდგომი ხანის პოეტები დიდხანს ამ ზომით წერდნენ. რუსთაველი იყენებს შაირის ორ სახეს: მაღალს (4:4.4:4 – სჯობს, დადევით / დამალულნი / თქვენ ადგილას / იდუმალსა) და დაბალს (5:3.5:3/3:5.3:5 – „ჩემსა სიმცროსა/ გამზრდელნი/ სამუშაითოდ/ მზრდიდიან“...). როგორც დაბალ, ისე მაღალ შაირში მთავარი ცეზურა (გაყოფა) 8 მარცვლის შემდეგ მოდის. მაღალი და დაბალი შაირი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ რიტმს იძლევა, ამიტომ მათი ნაკითხვაც სრულიად განსხვავებული ინტონაციით ხდება, ეს იცავს პოემას მონოტონურობისაგან და სახალისო საკითხავი ხდება.

– მოძებნეთ სტროფებში რითმის ნიმუშები. რა სახის რითმა გამოიყენება ამ ლექსში? (მოსაზღვრე). რამდენმარცვლიანი რითმით არის დაწერილი ეს ლექსი? (ეს მონაკვეთი დაწერილია სამმარცვლიანი რითმით; **შენიშვნა:** დაბალ შაირში – და ეს მონაკვეთი ამის ნიმუშია – ძირითადად სამმარცვლიანი რითმები გვხვდება).

– მოძებნეთ ტექსტში ის სტროფები, სადაც რითმად გამოყენებულია: ა) ზმნა (მეორე სტროფი: მზრდიდიან, მწვრთიდიან, მომკიდიან, ინატრიდიან), ბ) არსებითი სახელი (მეოთხე სტროფი: ფარისა, ქარისა, კარისა, ზარისა);

– მოძებნეთ ტექსტში არქაული ფორმით გამოყენებული ლექსიკური ერთეულები. როგორ ფიქრობთ, ამ თვალსაზრისით რომელი მეტყველების ნაწილები ჭარბობს? (ზმნები: მიჩს, მახლტუნვებდიან, ჩავხლეტები, გავახვამ...).

**აქტივობა 5. თავისუფალი წერა (7-8 წთ).**

**მეთოდის აღწერა:** ტექსტის დამუშავების შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვთ 5 წუთის განმავლობაში შეუჩერებლივ წერონ ყველაფერი, რაც ამ თემის გარშემო დაამახსოვრდათ. 5 წუთის გასვლის შემდეგ შესაძლებელია პარტნიორს ხმამაღლა წაუკითხონ თავისი ნაშრომი. ვთხოვთ, სურვილის მიხედვით გაუზიარონ კლასს საკუთარი ნააზრევი.

**აქტივობა 6. შეფასება: (2-3 წთ):** მასწავლებელი აუცილებლად აკეთებს გამომხაურებას ამ ნაწერების გარშემო და აკეთებს განმავითარებელ შეფასებას, რაც გაკვეთილის ბოლოს შეიძლება განმსაზღვრელ შეფასებაშიც აისახოს.

**აქტივობა 7. საშინაო დავალება (2-3 წთ):** ა) წერილობით დაახასიათონ შესწავლილი მონაკვეთის მიხედვით ფრიდონი, საჭიროების შემთხვევაში ჩაურთონ ციტატები; ბ) ამოწერონ ტექსტიდან გრამატიკული არქაიზმების ნიმუშები და მიუწერონ შესატყვისები თანამედროვე ფორმით.

**III-IV გაკვეთილი**

**აქტივობა 1. საშინაო წერიტი ნამუშევრების შემოწმება და ანალიზი.**

**აქტივობა 2. ტექსტის მომდევნო ეპიზოდის კომენტარული კითხვა.**

ეპიზოდი ჯერ მთლიანად იკითხება თავიდან ბოლომდე, შემდეგ კი – ნაწილ-ნაწილ მასწავლებლის კომენტარებით, აიხსნება გაუგებარი ლექსიკური ერთეულები, გააშინაარსებენ ჯერ თითოეულ ტაეპს, შემდეგ კი – თითოეულ სტროფს. ტექსტი დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

1. **ავთანდილმა უთხრა: მეგობრები ვერ დაგემდურებიან, მაგ რჩევას ვერ დაგიწუნებენ, შენ შენი ლომისებრი მკლავის იმედი გაქვს, ამიტომაც წარმოადგინე ბრძოლის ასეთი გეგმა; მაგრამ ნუთუ არ გესმის, რა ახლო-ახლო დგანან გუშაგები, როგორ ისმის მათი ძახილი?**

2. **თოკზე რომ გახვალ, გუშაგნი აბჯრის ჩხარუნის ხმას გაიგონებენ, დაგინახვენ და თოკსაც**

გადაგიჭრიან, ამოდ დაგრჩება შენი ქადილი. არ ვარგა ეგ აზრი, სხვანაირად ვუშველოთ თავს!

3. მაგას ის აჯობებს, რომ თქვენ მოფარებულ ადგილას დადგეთ, დაიმალოთ. ქაჯები ციხისკენ მიმავალ მგ ზავრებს არ იჭერენ; ამიტომ მე ვაჭარით გამოვენყოფი, ერთ ჯორს გადავიკიდებ ჩემს მუზარადს, ჯაჭვსა და ხმალს და ისე შევალ ქალაქში.

4. მიგვიხვდებიან განზრახვას, სამივე ერთად რომ შევიდეთ. მე შევალ ვაჭარით გადაცმული, იქ მალულად ჩავიცვამ აბჯარს, მოვატყუებ, მერე კი შიგნით სისხლის ღვარს დავაყენებ.

5. მე ციხის მცველებს ამოვხოცავ, თქვენ კი გარეთ დამელოდეთ. კლიტებს დავლენავ, ჩემს ძალას ქვითკირიც კი ვერ გაუძლებს. თუ თქვენ სხვა აზრი გაქვთ, ბრძანეთ.

### **აქტივობა 3. ნაკითხულის გააზრება:**

– როგორ აფასებს ავთანდილი ფრიდონის გეგმას? რა მიაჩნია მის ნაკლად? (არ მოსწონს: „რა გახვიდოდე, გუშავთა ესმის აბჯრისა ჩხერება, გიგრძნობენ, თოკსა მოჰკვეთენ, ამისი ხამს დაჯერება“);

– რას უწოდებს იგი ამ გეგმას? („ძნელთა თათბირს“).

– მოძებნეთ ტექსტში ის ადგილი, საიდანაც ჩანს ავთანდილის დამოკიდებულება ფრიდონისადმი (მეგობრულია, კეთილგანწყობილია, პატივს სცემს მის გადწყვეტილებას – „მოყვასნი ვერ გიჩივიან“).

– ბრძოლის რა გეგმა შესთავაზა ავთანდილმა მეგობრებს? (ვაჭრულად გადავიცვამ, ჯორს გადავიკიდებ მუზარადს, ჯაჭვს და ხმალს, შევალ ასე ქალაქში, უცებ ჩავიცვამ აბჯარს, მცველებს მოვიშორებ და კარს შიგნიდან გავაღებ).

– როგორ ასაბუთებს იგი თავისი მოსაზრების მართებულობას? („ისი კაცნი არ იჭირვენ მგ ზავრსა, ქალაქს შემავალსა“);

– რას თვლის ავთანდილი „მუხთალ საქმედ“? („სავაჭოთა შევეკაზმი“).

– თქვენი აზრით, რამდენად მისაღებია რაინდისათვის ამგვარი „მუხთალი საქმის“ ქმნა? იმსჯელეთ.

– რამდენად უსაფრთხოდ გეჩვენებათ ავთანდილის გეგმა? დაასაბუთეთ თქვენი აზრი სათანადო არგუმენტებით.

აქ შეიძლება გამოვიყენოთ მეთოდი: **კითხვა- არგუმენტი – პასუხი – ინფორმაცია: (კ ა პ ი) .** მეთოდის აღწერა:

ჩამოაყალიბონ და აირჩიონ ერთ-ერთი დებულება: ავთანდილის გეგმა უსაფრთხოა/ არ არის უსაფრთხო;

მოიძიონ ტექსტში ამის დასასაბუთებლად სათანადო არგუმენტი;

ამის მიხედვით ჩამოაყალიბონ პასუხი;

მიუთითონ, რა სახის ინფორმაცია აკლია შესწავლილ მონაკვეთს, რომ სრულყოფილი დასკვნები გამოვიტანოთ.

– რით განსხვავდება ავთანდილის გეგმა ფრიდონის გეგმისაგან?

– რით ჰგავს ეს ორი გეგმა ერთმანეთს? (ორივე გეგმა შეიცავს რაინდისათვის მიუღებელ ქცევას – ერთ შემთხვევაში ეს არის ჯამბაზობა, მეორე შემთხვევაში – ტყუილი – ვაჭრულად გადაცმა; ამასთანავე, ეს ორივე გეგმა საფრთხის შემცველია პირველ რიგში მათივე ავტორებისათვის და მოითხოვს მათგან თავგანწირვასა და მთელი სიმძიმის საკუთარ თავზე აღებას. ორივეში ჩანს მეგობრებისათვის თავის განწირვის სურვილი...).

– ავთანდილის რა თვისებებზე ამახვილებს ყურადღებას ავტორი?(იგი მამაცია, გულადი, უშიშარი, მოხერხებული, მეგობრებისათვის თავდადებული...). დაასაბუთეთ ეს ტექსტის მიხედვით.

### **აქტივობა 4. ენობრივ მხარეზე დაკვირვება:**

აქ კვლავ დაკვირვებთ მოსწავლეებს ლექსის ზომაზე, რითმაზე, გრამატიკულ და ლექსიკურ არქაიზმებზე, შეიძლება დაკვირვების საგანად ვაქციოთ ზოგიერთი ფომა, მაგ., „ივავლახიანი-ივიან“. ცნობილია, რომ რუსთაველი გაბედული სიტყვათმთხვევლი პოეტია, იგი ხშირად მიმართავს ორიგინალურ ენობრივ ლიცენციებს, ამის ნიმუშად უნდა ჩაითვალოს „ივიან“, რომელიც „ვაი“ შორისდებულიდან უნდა იყოს წარმოშობილი.

### **აქტივობა 5. საშინაო დავალება: ნერილობითი ტექსტი: „ავთანდილის თათბირი“.**

## V-VI გაკვეთილი

**აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია.**

**აქტივობა 2. მთავარი პერსონაჟის – ავთანდილის – დახასიათება.**

**აქტივობა 3. მინიდისკუსია:**

- თქვენ თუ ეთანხმებით ავთანდილს ფრიდონის გეგმის შეფასებაში?
- თქვენ რომელი გმირის მოსაზრება მიგაჩნიათ უფრო საიმედოდ და რატომ?
- როგორ ფიქრობთ, რა მოხდება შემდეგ? რომელ გეგმას აირჩევენ მეგობრები? რატომ ფიქრობთ ასე? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

**აქტივობა 4. ტექსტის – „თათბირი ტარიელისა“ – კომენტირებული კითხვა:**

ტექსტი მოსწავლეთა მიერ დაახლოებით ამგვარად გაშინაარსდება:

1. ტარიელმა უთხრა: დავინახე თქვენი გმირობა და თავდადება; ვიცი, ომი გნადიათ და არა ხმლის ტყუილუბრალოდ ქნევა. თქვენისთანების ყოლა კაცს სწორედ გაჭირვებაში გამოადგება.
2. მაგრამ ჩემთვის ძნელია თქვენი რჩევის შესრულება. ჩემმა მიჯნურმა რომ დაინახოს ციხიდან, თქვენ ფიცხელ ომში ხართ, მე კი არ ვიბრძვი, ძალიან შევრცხვები. ნუ ეცდებით ჩემს დარწმუნებას, რომ მის თვალში ჩემი სახელი არ შეილახება.
3. ჩემი აზრი ასეთია: გავინანილოთ ას-ასი კაცი და განთიადისას ციხეს სამი მხრიდან შევეუტიოთ. მტერი მოგვეგეგება. დაინახავს, ცოტანი რომ ვართ, მაგრამ ხმაღს მივცეთ ძალა.
4. ფიცხლად შევებათ ქაჯებს, ისინი ციხის კარის ჩაკეტვას ვერ მოასწრებენ, ერთ-ერთი ჩვენგანი ციხეში შეიჭრას, დანარჩენები გალავანზე მდგომ მცველებს დავესხათ თავს. შიგნით შესული სისხლის ღვარს დააყენებს, გარეთ მყოფნი კი ძლევა მოსილადად მოიხმარენ ბრძოლებაში ნაცად თავიანთ აბჯარს.
5. ფრიდონმა უთხრა: მიგიხვდი ნათქვამს; ისიც იცოდე, ჩემეულ ცხენისთვის კარების მიხურვას ვერ მოასწრებენ. როდესაც საჩუქრად მოგიძღვენი, არ ვიცოდი, რომ ქაჯეთისკენ მოგვინეგდა წამოსვლა, თორემ ვერ გავიმეტებდიო.
6. ფრიდონის ამ სიტყვებზე მეგობრებმა გაიცინეს, ერთმანეთს ერთხელ კიდევ გაეხუმრნენ, შემდეგ ჩამოხდნენ, მოემზადნენ ბრძოლისათვის და საუკეთესო ცხენებზე ამხედრდნენ.
7. მეგობრებმა ერთხმად მოინონეს ტარიელის გადაწყვეტილება, ას-ასი ერთმანეთზე უკეთესი მებრძოლი წაიყვანეს და ცხენებზე ამხედრებულნი, საბრძოლველად გაემზადნენ.
8. ყველა ძალიან ლამაზი და ვაჟკაცური შესახედავი იყო, მზეს აღემატებოდნენ სილამაზით; სამ რაინდს ქვეყნის შვიდი მნათობი ჰფარავდა. შავ ცხენზე ამხედრებული ტარიელი კი მაინც გამოირჩეოდა მათ შორის თავისი ტანადობითა და სილამაზით.
9. ერთგვარი ლირიკული გადახვევა – ჩემი ნათქვამი სწორედაც რომ მათი შესაფერისია: ცაში წვიმს და ქუხს, მოდის ღვარი დედამინაზე ზათქითა და ხმაურით, მაგრამ როცა ზღვას შეერთვის, წყნარდება.
10. თუმცა ფრიდონი და ავთანდილი კარგი ვაჟკაცები იყვნენ, ტარიელს მაინც ვერ შეედრებოდნენ. როგორც მზე აღემატება ყველა მნათობს, ისე აღემატებოდა ტარიელი სხვებს გმირობით.
11. სამმა გმირმა ციხის სამ კარებს მიაშურა – თითომ თითო კარები აირჩია. თან სამასი კაცი ახლდათ, ყველა საუკეთესო მებრძოლი. იმ ღამით მათ ციხის გარემო დაზვერეს, სააშკარაოზე არ გამოსულან, გათენებას ელოდებოდნენ.
12. პირველად უბრალო მგ ზავრებივით მიდიოდნენ, შიგნით მყოფნი ვერაფერს ხვდებოდნენ. როდესაც ციხეს მიუახლოვდნენ, მაშინლა დაიხურეს მუზარადები.
13. ცხენები მოულოდნელად მონყვიტეს ადგილიდან, ირგვლივ მათრახის შხუილი ისმოდა; მცველებმა ციხის კარები გააღეს და ქალაქში საბრძოლო ხმები გაისმა, ჰკერეს ბუქსა და ნალარას.
14. ქაჯეთში ღვთის რისხვა დატრიალდა, თავზე რისხვით ჩამოემხოთ ცა, დახოცილებს ველი ვერ იტევდა.



15. ადამიანს ხმლის დაურტყმელად დაბნედა ტარიელის ძლიერი ხმა. მოქნეული ხმალი აბჯარს ფხრენდა, ქაჯებს საომარი აღჭურვილობა ველარ იცავდა. სამმა გმირმა სამი კარი აიღო და ახლა ციხეში შეღწევას ჩქარობდნენ.
16. ავთანდილი და ფრიდონი ციხეში შეხვდნენ ერთმანეთს, მტერი მთლიანად ამოეწყვიტათ, ირგვლივ სისხლის ღვარი მოდიოდა, ერთმანეთის ნახვით დიდად გაიხარეს და ტარიელის ძებნა დაიწყეს.
17. ტარიელის ამბავი არც ერთმა არ იცოდა. მერე ციხის კარს მიადგნენ, იქაურობა დალენილი იარაღით იყო მოფენილი, იქვე ეყარა ათი ათასი დახოცილი გუშაგი ციხისა.
18. ციხის მცველები სნეულებივით ეყარნენ ირგვლივ, ციხის კარი ღია იყო, თვითონ კარი – დალენილი, ეს ყველაფერი ტარიელის ნამოქმედარად შეიცნეს.
19. მეომრებს გზა მტრისაგან სრულიად დაცლილი დახვდათ, გზადაგზა აკაფულ მეომრებს ნახულობდნენ. მოულოდნელად დაინახეს ერთმანეთს გადახვეული ნესტანი და ტარიელი.
20. ისინი ერთმანეთს ეხვეოდნენ. ვარსკვლავების – ზუალისა და მუშთარის – შეხვედრას ჰგავდა მათი ერთად ყოფნა. მზის შუქის დანახვაზე ვარდი კიდე უფრო გაიფურჩქნა და ამდენი ხნის ჭირი სიხარულით შეეცვალა.
21. მიჯნურებმა ერთმანეთს რამდენჯერმე აკოცეს. სამივე ძმობილი შეიკრიბა. ავთანდილმა და ფრიდონმა თაყვანი სცეს ნესტანს.
22. ნესტანი ღიმილით შეეგება მათ, გადაკოცნა თავისი მხსნელები და სასიამოვნო ხმით მოახსენა მადლობა.
23. ტარიელსაც მიესალმნენ მეგობრები. მიულოცეს ერთმანეთს გამარჯვება, მოიკითხეს. არ უნანიათ, რომ ასეთ ფიცხელ ბრძოლაში ჩაერთნენ.
24. სამასი კაციდან ას სამოცი გადარჩენილიყო, ფრიდონს ძალზე უმძიმდა თავისი ერთგული ჯარისკაცების დაკარგვა, მაგრამ თან უხაროდა გამარჯვება. გადარჩენილი მტრისგან განმინდეს ციხე და მოაგროვეს უარავი სიმდიდრე.
25. ამის შემდეგ მეგობრებმა სამასი ათასი ჯორ-აქლემი მოასხეს, აჰკიდეს თვალ-მარგალიტი, ნესტანი კი ტახტრევანში ჩასვეს.
26. ციხის მცველად სამოცი ჯარისკაცი დატოვეს, გაეშურნენ ზღვათა ქალაქისაკენ, იქ ფატმანი ეგულებოდათ, ვისთვისაც მადლობა უნდა გადაეხადათ.

**აქტივობა 5. ნაკითხულის გააზრება:**

- რა მოსაზრებით დაიწუნა ტარიელმა ორივე გვეგმა? (თქვენ ომი გქონდეთ და მე უომრად ვიჯდე?!)
- რა შესთავაზა ტარიელმა მეგობრებს?(სამივემ გავიყოთ ას-ასი კაცი და ყველამ ერთად შევუტიოთ).
- ვისი ლაშქრით მოუხდათ გმირებს ბრძოლა ქაჯების წინააღმდეგ? (ფრიდონის).
- რომელ სტრიქონებშია აღწერილი ომისათვის მზადება? („კვლა ერთმანეთსა მიუძღვნეს სიტყვები არ პირ-მკვახები...“).
- როგორ აღწერს მწერალი საბრძოლველად მიმავალ რაინდებს? („იგი ჭაბუკნი შუქითა...“).
- ლირიკული გადახვევა („ჩემი ან ესე ნათქვამი მათი სახე და დარია...“). (შენიშვნა – პოემაში ბევრჯერ ვხვდებით ადგილებს, სადაც პოეტი მეტაფორას იქვე ან მომდევნო სტრიქონებში ხსნის. ტექსტის ამ ნაწილში პოეტი მეტაფორულად აღწერს შექმნილ ვითარებას).
- ვის ეკუთვნის ეს ნათქვამი და რა იგულისხმება მასში? (თავად ავტორს. პოეტის დამოკიდებულება მომხდარისადმი).
- სად, რომელ სტროფში საუბრობს პოეტი ფრიდონისა და ავთანდილის ვაჟკაცობასა და „ტარიას“ გამორჩეულობაზე? („თუცა ფრიდონ და ავთანდილ...“).
- როგორ აღწერს პოეტი ტარიელის საბრძოლო გეგმის განხორციელებას? („სამთავე სამად გაიყვეს...“).
- რომელ სტროფებში აღწერს ავტორი ქაჯეთის ციხეში დატრიალებული ბრძოლის სურათს? („მაშინ ქაჯეთს მოინია...“).
- მოძებნეთ ტექსტში ის ადგილი, რომელშიც ტარიელის გამმაგებაა დახატული („კაცსა უკრავად დაბნედის...“).
- აღწერეთ ტექსტის მიხედვით: ა) ავთანდილისა და ფრიდონის შეხვედრა, ბ) ნესტანისა და

ტარიელის შეყრა, გ) სამივე რაინდის შეხვედრა, დ) ნესტანის მადლიერება.

– სამასი მეომრიდან რამდენი გადარჩა ცოცხალი? („ას სამოცი შეჰყოლოდა...“)

– როგორ აღწერს რუსთაველი ფრიდონის შუქრდილიან სიხარულს? („ფრიდონს უმძიმს სპათა მისთა...“). რით არის იგი გამოწვეული?

– საით მიეშურებიან გამარჯვებული მეგობრები და რა მიზნით? („თქვეს ფატმან ვნახოთ“...).

**აქტივობა 6.** ნაკითხული ტექსტის მიხედვით შედგება ამ ეპიზოდის გადმოსაცემი შინაარსის გეგმა, რომელიც, სავარაუდოდ, ამგვარი იქნება:

ტარიელის გეგმა ქაჯეთის ციხის ასაღებად;

შეტევისათვის მზადება;

მოულოდნელი თავდასხმა;

ქაჯეთის ციხეში დატრიალებული რისხვა;

გამარჯვება;

„ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“;

ქაჯეთის ციხის დატოვება.

### აქტივობა 7. შეფასება.

**აქტივობა 8. საშინაო დავალება:** ააგონ წერილობითი ტექსტი: „ქაჯეთის ციხის აღება“; მოინიშნონ ტექსტში ის ადგილები, რომლებმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მათზე და დაასაბუთონ თავისი აზრი.

## გაკვეთილი VII-VIII

### აქტივობა 1. საშინაო დავალების შემოწმება.

#### აქტივობა 2. ნაკითხულის გააზრება:

– ტარიელმა მეგობრებს თავდადება მოუწონა, მაგრამ გეგმა დაუნუნა. სამართლიანად მიგაჩნიათ თუ არა მისი მოსაზრება? (მოსწავლეები ასაბუთებენ მოსაზრებებს).

– სად, ტექსტის რომელ ეპიზოდში, გამოჩნდა ტარიელის გეგმის უპირატესობა? (ტარიელის გეგმის უპირატესობამ თავი იჩინა ქაჯეთის ციხის აღების ეპიზოდში, სწორედ მისი გამჭრიახობით მოიპოვეს გმირებმა გამარჯვება).

– ტარიელის რა თვისებები ჩანს ამ მონაკვეთში? (იგი ვაჟკაცია და უშიშარი, უფრთხილდება მეგობრების სიცოცხლეს, ფიზიკურად ძალიან ძლიერია, ამაყია, ლამაზი, უზომოდ არის შეყვარებული და სატრფოსთვის თავს სწირავს, აქვს მხედართმთავრის ნიჭი – სწორედ მისმა სტრატეგიამ გაამართლა ბრძოლის დროს...). დაასაბუთეთ ეს თვისებები ტექსტის მიხედვით (შეიძლება შედგეს გეგმა გმირის დახასიათებისათვის – „გმირის რუკა“).

– ბრძოლაში ტარიელის სიმამაცესა და სილამაზეს განსაკუთრებით უსვამს ხაზს ავტორი. როგორ ფიქრობთ, რატომ აკეთებს ამას? (ტარიელი პოემის მთავარი გმირია, სწორედ მის სახელს ატარებს პოემა, ის არის ვეფხვისტყაოსანი ჭაბუკი).

#### აქტივობა 3. შეჯამება (ჯგუფურად) :

– თქვენთვის ნაცნობი რომელი ლიტერატურული გმირები გვხვდებიან ტექსტში? რა გახსოვთ მათ შესახებ წინა კლასებიდან? რა შეიტყვეთ მათ შესახებ ახალი?

(აქ შეივსება გრაფები: „გავიგე/ვისწავლე – რის გაგება მაინტერესებს“).

– „ტარიელი, ნესტან-დარეჯანი, ავთანდილ, ფრიდონ, თინათინ არც თავისს დღეში ყოფილან და არც არიან, არც ოდესმე უცხოვრიათ და არც ეხლა სცხოვრობენ, მაგრამ აბა ჰნახეთ ჩვენი საკვირველი რუსთაველი როგორ სასწაულთ-მოქმედობს ადამიანზე, როცა იმათს ცხოვრებას გვიამბობს, მათის ცხოვრების მაჯისცემას გვატყობინებს!.. შოთამ მის მიერ მოგონილ ამბავს ისეთი სული ჩაატანა, რომ ამ ჭეშმარიტ სულისაგან თვით არაჭეშმარიტი ამბავი მართალი გვეგონია“, –

ნერდა ილია ჭავჭავაძე „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ.

– პოემის შესწავლილი მონაკვეთების მიხედვით, ეთანხმებით ილიას ამ შეფასებში?

#### აქტივობა 4. პოეტის ენაზე დაკვირვება:

– განმარტეთ, როგორ გესმით აზრი სტრიქონისა: „ნახეს მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“ (ტარიელის შესახვედრად გამოეშვა ნესტანი ქაჯეთის ციხიდან).

– გადმოეცით თქვენი სიტყვებით აზრი სტრიქონისა: „მას მზესა მისცეს სალამი, წადგეს მართ ვითა ხმობილნი“. (ნესტანს მისცეს სალამი და წარდგენ დაბარებულეზივით მის წინაშე).

– განმარტეთ, როგორ გესმით აზრი სტრიქონებისა: „მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღმრთისა, / კრონოს, წყრომით შემხედველმან, მოიშორვა სიტკბო მზისა“.

(კრონოსი, ანუ სატურნი უბედურების მომცემი პლანეტაა, კრონოსისგან მზის გავლენის „მოშორება“ აქ საშინელი უბედურების მომასწავებელია. ანუ მაშინ ქაჯეთს საშინელი ამბავი დატრიალდა...).

– რა მხატვრულ ხერხებს იყენებს მწერალი გამარჯვებული გმირების დასახასიათებლად? (იყენებს მეტაფორას, შედარებას. მოსწავლეები კითხულობენ სათანადო ადგილებს ტექსტიდან).

– „ნახეს მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“, – ვის გულისხმობს პოეტი **მზეში? მთვარეში? გველში?** რა მხატვრულ ხერხს იყენებს აქ პოეტი? (მზეში იგულისხმება ტარიელი, მთვარეში – ნესტანი და გველში – ქაჯეთის ციხე, ბოროტების სიმბოლო. იყენებს მეტაფორას).

– მოძებნეთ ტექსტში შედარების ნიმუშები. როგორ ფიქრობთ, რატომ იყენებს მათ პოეტი? („ზედა გარდმოდგეს **მზე ვითა**“, „ციხისა მცველი ყველაი იდვა მართ **ვითა სნეული**“. პირველ შემთხვევაში იყენებს ნესტანის სილამაზის გადმოსაცენად, ხოლო მეორე შემთხვევაში ტარიელის სიძლიერის გამოსახატად).

– გაიხსენეთ, რა არის ჰიპერბოლა და მოძებნეთ ტექსტში მისი გამოყენების ნიმუშები (ტროპის ისეთი სახეა, რომელიც საგანსა თუ მოვლენას გაზვიადებულად წარმოადგენს (ეს სიტყვა ბერძნული წარმოშობისაა და გადაჭარბებას, გაზვიადებას ნიშნავს. „კაცსა უკრავად დაბნედიდის ხმა ტარიელის ხაფისა“).

მასწავლებელმა შეიძლება კლასი დააკვიროს პოეტური ლიცენციის ნიმუშებზე: „თავნი მათნი გაალომნეს, მათი მბრძოლი **იშვლეს, ითხეს**“.

– როგორ ფიქრობთ, რამდენად შესაძლებელია ამ მონაკვეთის შინაარსის გაგება ლექსიკონის გარეშე? (ძირითადი შინაარსის გაგება ლექსიკონის გარეშე სრულიად შესაძლებელია).

– თქვენი აზრით, რამდენად შესაძლებელია თქვენთვის გაუგებარი სიტყვების მნიშვნელობის გაგება **კონტექსტის – ამავე წინადადებაში, ფრაზაში შემავალი სხვა სიტყვების** – დახმარებით? რომელი სიტყვების მნიშვნელობის გარკვევაში დაგეხმარათ კონტექსტი? (კონტექსტის მიხედვით, შესაძლებელია სიტყვების უმეტესობის გაგება. მაგალითად, „ესე მე დამსვრის ნუ უბნობთ სიტყვითა თქვენ სათნევითა“. კონტექსტის მიხედვით, ადვილი გასაგებია დამსვრის, ანუ შემარცხვენს. „ამაზედა გაიციინეს მათ წყლიანთა სიტყვა-ბრძენთა“. ასევე სიტყვა წყლიანი რომ მჭევრმეტყველს აღნიშნავს, კონტექსტით მისახვედრია).

#### აქტივობა 5. მშობლიური ენის სამყაროში (10-15 წთ):

მოსწავლეებს ვაგალებთ მოძებნონ ტექსტში არქაული ფორმით გამოყენებული ზმნები და შეურჩიონ მათ თანამედროვე შესატყვისები (გნადს-გინდა, ჰგავს-შეეფერება, ესმას – მოესმება, შეესჯარნეთ – შევიმწყვდიოთ).

მოსწავლეები ტექსტში ეძებენ ტექსტში არსებით სახელებს, რომლებიც ასევე არქაული ფორმით გახლავთ გამოყენებული.

ტექსტს აკვირდებიან და არკვევენ, არსებითი სახელის მრავლობითობის გამოსახატავად პოეტი რომელს ანიჭებს უპირატესობას: **-ებ-**იანს თუ **-ნ/-თ-**იანს? (**-ნ/-თ-**იანს).

– როგორ ფიქრობთ, რატომ? (მაშინ უფრო ხშირად მრავლობითის ეს ფორმა გამოიყენებოდა).

მოსწავლეები აკვირდებიან სახელმძღვანელოში **-ნ/-თ-**იანი მრავლობითის ბრუნებას და პასუხობენ კითხვებზე:

– რომელი ბრუნვები არ აქვს **-ნ/-თ-**იან მრავლობითს?(სახ., მოთხ., მიც., ნათ., წოდ.).

– თქვენი აზრით, რომელი ბრუნვის ფორმაა სიტყვა „**გ ზათა**“ წინადადებაში: „**გ ზათა მშენებლობის სამინისტრო**“? (ნათესაობითი).

მოსწავლეები ხსნიან, თუ როგორ მიხვდნენ ამ ბრუნვის ფორმას (ვიყენებ ჩასმის/ ჩანაცვლების ხერხს: თანიანი მრ-ის ნაცვლად ვსვამთ – ებ-იანი მრავლობითის ფორმას – გზების – და ვხვდებით რომ ნათესაობით ბრუნვაშია).

აქვე ვთავაზობთ წესს:

**-თ-იანი მრავლობითის ბრუნვის ამოცნობა -ებ-იანი მრავლობითის ჩანაცვლებით შეიძლება.**

დაფაზე ვწერთ:

**სამი გმირი და სამ-ნი მეგობარ-ნი**

**შვიდი მნათობი და შვიდ-ნი მნათობ-ნი**

**მრავალი ჭირი და მრავალ-ნი ჭირ-ნი.**

რომელ რიცხვში შეიწყო სიმრავლის გამომხატველმა სიტყვამ (სამი, შვიდი, მრავალი...) არსებითი სახელი პირველ შემთხვევაში? (მხოლოდით რიცხვში).

მეორე შემთხვევაში? (მრავლობით რიცხვში).

ვანოდებთ მოსწავლეებს წესს:

**-ნ/-თ-იან მრავლობითში სიმრავლის გამომხატველი სიტყვა არსებითს მრავლობით რიცხვში შეიწყო.**

**აქტივობა 6. საშინაო დავალება:** ავთანდილის, ფრიდონისა და ტარიელის შედარებითი დახასიათება გმირის რუკის მიხედვით (რომელ გმირს რა თვისება ახასიათებს და არგუმენტი ამის შესახებ ტექსტიდან მოიყვანონ).

**აქტივობა 7. შეფასება.**

**შედეგები:**

**VII. 2.** მოსწავლეს შეუძლია სხვათა მეტყველების მოსმენა და შეფასება საკომუნიკაციო ამოცანის გათვალისწინებით.

**VII. 3.** მოსწავლეს შეუძლია სამეტყველო ქცევის შეცვლა საკომუნიკაციო ამოცანისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

**VII. 4.** მოსწავლეს შეუძლია საკლასო დისკუსიებში მონაწილეობის მიღება.

**VII. 7.** მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება-გაანალიზება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა.

**VII. 9.** მოსწავლეს შეუძლია ტექსტის გაანალიზება სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით.

**VII. 12.** მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტის ფორმისა და სტილის შერჩევა მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

**VII. 13.** მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტის ორგანიზაციის წესებისა და ენობრივი ნორმების დაცვა.

*ქვემოთ მასწავლებელს ვთავაზობთ დამატებით ინფორმაციას, რომელიც მას შეუძლია გამოიყენოს ამა თუ იმ სასწავლო მასალის დამუშავებისას:*



**1. გალაკტიონ ტაბიძე**

**ნოდარ დუმბაძე – გალაკტიონი**

გალაკტიონი საავადმყოფოს მეოთხე სართულიდან გადმოიქცა. ზოგს ეგონა, რომ გალაკტიონმა თავი მოიკლა. ზოგს ეგონა, რომ მან, ექსტაზში მყოფმა, მოუფიქრებელი ნაბიჯი გადადგა. ზოგს ეგონა, იგი აგონიაში მყოფი გადმოვარდა, ზოგს კიდეც რა და ზოგს კიდეც რა...

სინამდვილეში აი, რა მოხდა: გალაკტიონი პარნასზე ავიდა, მან უზენაესი მწვერვალი დაიპყრო. მისთვის არც წერაყინს, არც წრიაპს, არც ბანარს არ უღალატია. იგი დიდი ხნის წინ ავიდა ამ მწვერვალზე და რადგან გენიოსები დაპყრობილი მწვერვალებიდან უკან აღარ ბრუნდებიან, ყოველივე ის, რაც მას აღარ სჭირდებოდა და ხელს უშლიდა, მწვერვალიდან დაბლა გადმოყარა, თავად კი დარჩა სწორთა მარადიულ სამყოფელში.

ქართული პოეზიის ისტორიაში პირველად რუსთაველს დაეკისრა შემოქმედების მძიმე უღელი. რუსთაველმა ჩამოუარა მანამდე მთასა და ბარში არსებულ მთელ ფოლკლორს, ეპოსს თუ მითს, შთანთქა იგი ერთ ფასდაუდებელ ოქროს ზოდად – „ვეფხისტყაოსნად“ ჩამოსხმული დაუბრუნა ხალხს.

რუსთაველის შემდეგ ასეთი მისია დავით გურამიშვილს დაეკისრა, დავითის შემდეგ აკაკიმ, ვაჟამ და ილიამ იკისრეს ეს ტიტანური ტვირთი და როდესაც მეოცე საუკუნის ოციან წლებში ამ მძიმე უღელში გალაკტიონ ტაბიძე შეება, ეს საზიდი უკვე ისე იყო დამძიმებული ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურული საგანძურით, რომ გალაკტიონს მისი ტარება უღლის ერთგული ლაბა ხარივით დაჩოქილს მოუხდა: დიახ, დაჩოქილს, ოფლად დაღვრილსა და თვალეში ცრემლჩამდგარს მოუხდა ამ მძიმე ჭაპანის განევა. მხოლოდ ამ კუთხით და თვალსაზრისით უნდა შევისწავლოთ გალაკტიონი.

სად უნდა ვსდითოთ ქარს, რომელიც ისე უსაშველოდ დაქრის გალაკტიონის შემოქმედებაში?! ისე უსაშველოდ, რომ წიგნი თავად იფურცლება და რომ ქარმა და გრიგალმა არ გამოგტაცოს ხელიდან, იგი მკერდზე უნდა გქონდეს მიკრული მაგრად, ვით ხატი და ძვირფასი ავგაროზი.

გალაკტიონის შემოქმედება ერთი მისი პანია ლექსის „აი, რა მზის სიზმარის“ მსგავსად ნაღმა-უკუღმა იკითხება, სწორედ კი არასდროს, ან იშვიათად; ეს ალბათ იმით არის გამონეული, რომ გალაკტიონი ყველას თავისად მიაჩნია და მას ყველა თავისებურად კითხულობს, მათ შორის მეც, რაღა თქმა უნდა. ამიტომ არის გალაკტიონი სახალხო მგოსანი.

ალბათ ამის გამო ქართულ პოეზიაში არავის არ მოსწრებია იმდენი ეპიგონი, რამდენიც გალაკტიონს: ალბათ, ამის გამო არ მოსწრებია ქართულ პოეზიაში იმდენი მოჯიბრე და მტკაველის დამზომელი, რამდენიც გალაკტიონს. რიგში იდგნენ და დგანან დღესაც მთელი თაობები და აზომებენ საკუთარ პატარა მტკაველს მის დედამინის გულივით გადაშლილ უსაშველოდ დიდ და თბილ ხელისგულს. ის კი დგას, დალოცვილი, ღიმილიან თვალეში ეშმაკური ელვა უთამაშებს და გაქეზებს: კი, ძამიკო, შენმა აჯობაო....

სიყვარული თავად არის ღმერთი და თუ სიყვარული ჩვენთან არს, ჩვენთან არს ღმერთი, მივხვდებით, რომ გალაკტიონი არის გენი რუსთაველისა, მეოცე საუკუნეში გაღვიძებული და მზემდე აღზევებული.

(ნ. დუმბაძე, რჩეული ნაწერები, ტ. IV, თბ., 1992 წ.)

**2. ო. ჭილაძე**

**ოთარ ჭილაძის წერილი გაზეთ „ლიტერატურნაია გაზეტასთვის“ მაიაკოვსკის დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით – ნაწყვეტი**

... პოეტმა ყველაფერი, რაც კი შეძრავს, ხელახლა უნდა მოხარშოს საკუთარ სულში. ყველა ჭეშმარიტი პოეტი თავისი ეპოქის ღვიძლი შვილია და გულუხვად და პატიოსნად უბრუნებს ხალხს, რაც უნახავს და განუცდია. მის მიერ შექმნილი სინამდვილე გაცილებით ცოცხალი და საინტერესოა, რადგან მისივე ვნებებითაა გამდიდრებული. მის ხმას თაობები ისევე შეეჩვევიან ხოლმე, როგორც მდინარის პირას მცხოვრებნი – მდინარის განუწყვეტელ ხმაურს და წარმოიდგინეთ, რა შემზარავი იქნება მათთვის ცხოვრება, მდინარე თუ დაიშრიტა მოულოდნელად, რა აუტანელი იქნება უცებ ჩამოვარდნილი დუმილი. მაგრამ, საბედნიეროდ, პოეზია დაუშრეტელი მდინარეა – ხალხია მისი სათავეცა და შესართავიც. კონკრეტული პოეტი კი იქამდე ცოცხლობს, ვიდრე ხალხს ესმის მისი,

ვიდრე ხალხს თავის მესაიდუმლედ მიაჩნია. ესე იგი, არავითარ შემთხვევაში არ შეეშლება სხვაში. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს პოეტები ერთმანეთს გამორიცხავდნენ. პირიქით, როგორც არ უნდა განაცალკევებდეს მათ მათივე „ინდივიდუალობის თავისებურება“ (ევტუშენკოს გამოთქმაა), ბოლოს და ბოლოს ისინი მაინც ერთად აღმოჩნდებიან ხოლმე და ეს უკვე კანონზომიერებად არის ქცეული: დრო დაპირისპირებულ პოეტებსაც კი ერთმანეთის გვერდით აყენებს. თუმცა, ყველა პოეტი თავის განსაკუთრებულ მისიას ასრულებს მაინც, ანუ ყოველდღიურად კვდება თავის სანერ მაგიდასთან, დროზე ადრე რომ არ დაიხოცონ სხვები. არადა, ადვილი შესაძლებელია, საერთოდ არ კითხულობდნენ წიგნს ისინი, ვის „გადარჩენასაც“ პოეტი აპირებს. ასე რომ, შეიძლება, ფუჭი და ამო აღმოჩნდეს მისი შრომა. ამის ბრალიცაა ალბათ, ამკარად რომ შეიმჩნევა დღეს მაგიდის ტყვეობიდან განთავისუფლების სურვილი, ანუ დაუოკებელი სწრაფვა ესტრადისკენ, ტელევიზი-ისკენ... რაც, ჩემი აზრით, საკუთარი უმწეობიდან გამოსვლის უნაყოფო მცდელობაა მხოლოდ. ვისაც სათქმელი აღარაფერი აქვს, ის უფრო ებღაუჭება მიკროფონს, როგორც წყალნალეული ხავსს. მაგრამ ამგვარი სურვილი თუ მიდრეკილება, რასაკვირველია, ნიჭის თავისებურებითაც შეიძლება აიხსნას, განსაკუთრებით, როცა საქმე მაიაკოვსკისთანა პოეტს შეეხება. მაგრამ ასე ცხარედ და, ცოტა არ იყოს, დაუნდობლად იმიტომ ვლაპარაკობ, მაგიდის უარყოფა მწერლისგან ღალატად და მწერლური მოთმინების რღვევის სიმპტომად რომ მიმაჩნია. თითქოს საკუთარ ნა-წარმოებს გვინდა მივასწროთ მკითხველამდე, ჯერ ჩვენ დავენახოთ, გავეარშიყოთ მიკროფონის საშუალებით, მოვანონოთ, შევაყვაროთ თავი და მერე უფრო თამამად მივანდოთ განსასჯელად ჩვენი ლექსებიც. არადა, მაგიდა მწერლისთვის იგივეა, რაც დურგლისთვის – ჩარხი, მჭედლისთვის – გრდემლი...

### **3. რ. ინანიშვილი**

#### **ნუგზარ შატაიძე – „შენი სულიერი სამშობლო“**

რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში ყველაზე მეტად მწერლის მახვილი თვალი და ყური გაოცებს. პატარა, ხელისგულისოდენა მოთხრობებით იგი თითქოს ჩვენც თვალს გვიხელს, სმე-ნას გვიმახვილებს და ჯადოსნური სიცხადით გვიჩვენებს აკვარგიან ქვეყანას, სადაც თავადვე ცხოვრობს – ეს მისი სამშობლოა, რომელიც უკვე მკითხველის სულიერ სამშობლოდ ქცეულა. მწერლის მიერ შექმნილი სულიერი სამშობლო ხშირად უფრო რეალურია და მიმზიდველი, ვიდრე ნამდვილი. რევაზ ინანიშვილისათვის ეს იყო სოფელი, მინდორი, ივრის ქალები. მიდიოდა იქ „დაღლილი, მხრებდაღუნული, იმ იმედით, რომ სოფელურმა მყუდროებამ იქნებ ცოტა მაინც მოუფონოს გულზე, რომელზედაც, აი, მთელი თვეა თითქოსდა მარნუხებს უჭერენ ვილაცანი“. ჩვენც, მისი მკითხველებიც, სწორედ ამ იმედით, ამგვარი სასოებით მივდივართ მის მიერ შექმნილ სამყაროში, სადაც მდინარის პირას ერთი „გამოღრმავებული კბოდეა, შიგ თბილი მზეა ჩამდგარი“, მივალთ მივსხდებით იმ გამოღრმავებულში და საკუთარი სამშობლოს განცდით ვტკბებით.

...ახლა იქაც ზამთარია, თებერვლის თრთვილს შეუხორხლია ხეები, ბუჩქები, გადაუთეთრე-ბია მიწა. თხელ გუბებში წყალი ჩაყინულა. ყინულის თხელი, სიფრიფანა არშია გასდევს მდინარის მთელ ნაპირსაც. „ხეებზე შავი, ნაღვლიანი ჩიტები სხედან და აბუზული მხრებით ელაპარაკებიან ცას“.

იალნოს მთის ფერდობზე გადმომდგარა ხე ფოთოლგაძარცული, ყინვისგან შეჭირხული ტყე გაყუჩებულა, თავის მარადიულ ფიქრებში წასულა. და უეცრად, რაღაც სასწაული ძალით, გაიხსნე-ბა ზეცა, ღრუბლებიდან მზე გამოიხედავს და ფერდობზე კალოსოდენა ადგილს გაანათებს. კა-ლოზე ხალხი შეყრილა. ნამოვა, გამოსცდება იმ ხალხს „ორი მშვენიერი ქალბატონი“, ერთს თავზე მოხვეული და ბოლოებით მკერდზე გადაჯვარედინებული ქიშმირის შალი ზურგზე აქვს შეკრული. მეორეს მოთხილამურის თბილი ქუდი ახურავს ყურებზე და შუბლზე ჩამონეული. ორივე ერთად რვა ან დიდი-დიდი რვანახევარი წლისა იქნება. მოვლენ, ამოგიდგებიან აქეთ-იქიდან, ჩაგკიდებენ პატარა ხელებს და ნაგიყვანენ იმ განათებული კალოსკენ.

გაკვირვებული, ცოტა არ იყოს დაბნეული ათვალეირებ ხალხს და ნელ-ნელა ყველას სცნობ. ვინ აღარ მოსულა აქ, იალნოს ბურუსიან ფერდობზე: ანანურელი ულამაზოები – კუშტად მომზი-რალი, მგლის ლეკვებივით აჯაგრული კომბლებიანი ბიჭები; ირინე თეთრაშვილის აფრია, თვითონ ირინე თეთრაშვილი, გუჯა აფრიას ძმა და მათი ახოვანი მამის ლანდი, რომელსაც ხელები გულზე დაუკრეფია და ნაღვლიანი თვალებით უყურებს ცოლ-შვილს; უკუღმა დაჭერილი – როგორღაც საშაროდ გალაჯული, დოინჯშემოყრილი ყმანვილი; გამოვა ბურუსიდან იაკოფა მენახირეც და

დაბეჭინება თავის გრძელ ჯოხს; გვერდიგვერდ დგანან შიო პაპა და უშიშა პაპა, ჯოხირეცხა იოსება, ძმები დათია და გოგია, ბასა ბურკიაშვილი, მოდიდან გამოსული პოეტი, რუხი პიჯაკის სახელოებზე შავი სატინის სამკლავური რომ უკეთია; კიდევ ვანო ბუჭყიაშვილი და იმისი პატარა ბიჭი მიხო, რომლებსაც შინ არც ავეჯი აქვთ და არც ჯამ-ჭურჭელი, სამაგიეროდ, ერთი დიდი ფარდაგი აქვთ, გაშლიან ძირს და კოტრიალობენ ყველანი ზედ ვანოც, მიხოც, მამუკაც, იმათი დედიკოც და თუ სტუმარი მოუვათ – ისიც; აქ არიან გოგია და ბახა, ელგუჯა და ჭიჭო, ბიბო, ჩიტების გამომზამთრებელი ბიჭი, „ვინროების მგელი“ – ჩოფურა შალიკო, ანდრია და, რაც მთავარია, მეტყევე დათიკო; ცოტა იქით მოჩანან: ბარბარე ბადაური, დედა მარიამი, ძველი ქართველი ქალი, გადაბმული ესტატე, თინა და სანდრო, უშიშარი ბიჭი იოსება, პოეტი გიგლია; ხმაურობენ, ჟღავ-ჟღუვობენ უბედენთიანი კოხორაშვილები, ცეტები, ბლუკები... ჩაჩაურს ცალ ხელში გამიშვლებული ხმალი ჩაუბლუჯავს, მეორეში – სანთელი; მოკრძალებით, დარცხვენით დგას იმ ხალხში ხორასნელი ჭაბუკი; აქვე დარეჯანი – ტანად დიდი, დიდად მომზირალი, ღონიერი ქალი; ხელიხელჩაკიდებულნი გზაზე გამდგარან ილიაში დახვეულ ტიკამორჩილი გოგია ბატატაშვილი და იმისი მორცხვად მოღიმარი საყვარელი მაცვალა ჯარიაული; ილიმებიან ბალნიანი, ბაყია და მანეთიანი კოლა; აქ არიან ყროლებიც – ლაფანა, ატაცებული და ბაზარნიკი ჯალიაშვილიც აქვეა და იმათაც სიამის ღიმილი გადასდით სახეზე; ამ ხალხში დასუნსულებს ფაფხაჭელაანთ ძაღლიც... ხოლო მაღლა, ერთ თოვლიან ბორცვზე, ცალკე დგას კომბალზე დაყრდნობილი, მთლად გადათეთრებული უსინათლო მოხუცი, რომელსაც ქინთა-ქინთად ქცეული ახალუხის ჯიბის პირზე სამი რუსული ძველი მედალი ჰკიდია – გამურულ ქვაზე დაღვენთილი წმინდა სანთლის ფერისა. იქით კი, ნისლიანი ტყის პირში, ათასამდე შავი ლანდი შექურჩებულა და რაღაცას ბჭობენ. მერე განცალკევებით მდგომი ანაფორიანი მღვდელი ხელს რბილად ჩამოუსვამს ჰაერს და ვიღაცა სუფთა, მშვენიერი ხმით დაიწყებს:

ზამთარიაო, ჰეე, ჰარალოო...

ზამთარი ვარდსა დააჭკნობს,

ფურცელი ჩამოცვივაო...

თვალეზგაბრწყინებული დგახარ და ვერ გაგიგია, ცხადში ხარ თუ სიზმარში, მაგრამ ნელ-ნელა ერკვევი და ხედები, რომ არც ცხადია და არც სიზმარი – ეს შენი ქვეყანაა, შენი სულიერი სამშობლო.

დღეს, როცა ასე შეგველახა და დაგვიმძიმდა სულები, როცა ლუკმაპურის ძებნაში დაღლილებს წიგნის წაკითხვის თავიც კი აღარა გვაქვს, როცა აპოკალიფსური ღრუბელი სულთამხუთავივით დაგვწოლია გულზე და ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევს, ხშირად ვიგონებ ხოლმე რევაზ ინანიშვილს – ჩემს საყვარელ ადამიანსა და მწერალს.

ხანდახან გადმოვიღებ თაროდან მის წიგნსაც, ვათვალიერებ, ვკითხულობ მოთხრობების სათაურებს, ცალკე აბზაცებს: „ზამთრის ცრიატ, მოლუშულ დღეებში ტბის წყალი გამდნარ ტყვიას ჰგავს... ავა, სულ ბოლოს მისი ზედაპირიდან აიკრიფება ბინდი და ბურუსი. ახლოს მოინევენ მთები. უტყეო მთები ამ დროს სულ რუხებია, რუხები და გაფითრებული, გაშტერებულნი. ის მთები ძლეული ლაშქრის დროშებივით ჩაკიდებულა ტბაში. თავდაყირა ჩაკიდებულან ტბაში თეთრი ხეებიც. თეთრ ხეებზე შავი ნაღვლიანი ჩიტები სხედან და აბუზული მხრებით ელაპარაკებიან ცას. ცა უფრო ნაღვლიანია და ჯერ არ იცის რას იზამს“. მე მშველის ეს „რუხი და გაფითრებული ხეები“, მშველის ნაღვლანი ცაც, რომელმაც „ჯერ არ იცის რას იზამს“ – მშველის და მამშვიდებს.

მშველის იმის გახსენებაც, რომ რევაზ ინანიშვილის, ამ მართლაც გენიალური მწერლის, სული ჯერ ისევ დაჰფოფინებს თავის ტანჯულ, დალუპვის პირზე მიმდგარ ქვეყანას.

## II თემა: ერი და ისტორია

### გურამ რჩეულიშვილი

#### გურამ ასათიანი – გურამ რჩეულიშვილი

თბილისი შემოდგომის პირზე ლამაზდება განსაკუთრებით, აგვისტოს დამლევს რუსთაველის პროსპექტი მოულოდნელად ივსება ახალგაზრდა, მზისგან დამწვარი სახეებით.

ამ ქუჩაზე გავლა კარგია თბილისთან ხანგრძლივი განშორების შემდეგ.

გურამ რჩეულიშვილი პირველად სწორედ აქ გავიცანი. ის მაშინ, მგონი, ხევსურეთიდან ახლად დაბრუნებული იყო, ერთ ცნობილ გერმანელ მწერალთან ერთად ემოგზაურა და მისი პირადი ტრავმის უნებური მოწმე გამხდარიყო. ამ ამბავზეა დაწერილი მისი მოთხრობა „სიკვდილი მთებში“.

თავისი გარეგნობით გურამ რჩეულიშვილი საგრძნობლად გამოირჩეოდა ზედმინუნით გამოწყობილი სხვა ახალგაზრდა თბილისელებისგან: ფართოდ გაღეღილი, თითქმის შარვლის ქამრამდე ჩასხნილი პერანგის პირი, მოკლედ შეკრეჭილი თმა, ძლიერი, დაჟინებული გამოხედვა...

დიდი, უხეში, მძიმე ფეხსაცმელები თითქმის მიწისკენ ეზიდებოდნენ მის სხეულს და, ამავე დროს, მთელ მის არსებაში იგრძნობოდა რაღაც მოუსვენარი, ამტყდარი, თითქოს უეცარი ნახტომისათვის გამზადებული ძალა. ის პირველი შეხვედრისთანავე ინვევედა ინტერესს. თითქოს დაჟინებით მოითხოვდა ყურადღებას თავისი პიროვნებისადმი. როგორც ამბობენ, ახლო მეგობრებს იგი გამორჩევით უყვარდათ და ხშირად უთმობდნენ მისი ძლიერი ხასიათის უჩვეულო გამოვლინებებს.

გურამ რჩეულიშვილის ყოველ მოთხრობაში იგრძნობა ეს ძლიერი ხასიათი. თვით საოცრად გულითადი და მსუბუქი განწყობილებით დაწერილი „ბიძია კოტეს შემოდგომა“ თითქოს იგულისხმება ეს ჯანმრთელი და ყოვლისშემძლე ძალა სიჭაბუკისა, ნაღვლიანი თანაგრძნობით რომ ეაღერება ძვირფას ადამიანს მიმწუხრის ჟამს.

ხასიათის სიძლიერით არის აღბეჭდილი გურამ რჩეულიშვილის პერსონაჟების ბუნება, მისი ნოველების შინაგანი რიტმი, თვით მისი მწერლური დაკვირვების უაღრესად განვითარებული უნარი.

გურამ რჩეულიშვილმა პირველ მოთხრობაშივე გაგვანდო თავისი ადამიანური იდეალი: ზღვის უღმობელ სტიქიონთან შერკინებული ძლიერი და სულმრთელი მამაკაცი, რომელიც თავისიანთა გადასარჩენად სწირავს საკუთარ სიცოცხლეს.

ბნელ, დაუნდობელ სტიქიასთან ჩუმი ბრძოლა, მის უგუნურ ძლევა მოსილებასთან ადამიანის შეუდარებელი ნებისყოფის დაპირისპირებაა...

გურამ რჩეულიშვილი იყო ერთი იმათგანი, ვისაც უკან მოუხედავად შეეძლო შეენირა მთელი თავისი არსება ამგვარი უთანაბრო ბრძოლის თავდავინწყებისათვის, მაგრამ ოცდაექვსი წლის ასაკში მან, როგორც ჩანს, უკვე განიცადა ფიზიკური დაფიქრების საკმაოდ მწვავე შეტევებიც. უკვე მისი დაღუპვის შემდეგ ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა ერთ-ერთი უკანასკნელი მოთხრობა „ალავერდობა“, რომელმაც მოულოდნელად გვაგრძნობინა, რა გამანადგურებელი ცეცხლი ღრღნიდა ახალგაზრდა მწერლის შეგნებას.

შეუძლებელია ჩვენი თაობის ადამიანმა გულგრილად წაიკითხოს ეს მოთხრობა, არ ეცნაუროს ის ჭაბუკური ჟინი, რომელმაც მისი გმირი ალავერდის ტაძრის გუმბათზე აიტაცა და ის სულის სიღრმემდე შემძვრელი გრძნობაც ახალ სივრცეებთან შეხვედრისა, რომელიც მას ამ სიმაღლეზე დაეპატრონა. აი, ამ მოთხრობის უკანასკნელი სტრიქონები: „მან არ იცის კახეთი, ვისაც ცივგომბორის ქედზე შემდგარს არ დაუნახავს ალაზნის ქალიდან ამოვარდნილი ალავერდი, მას არ განუცდია დაუოკებელი კახური ვნების სიმძაფრე, ვისაც ალავერდის თავზე თავისი ფეხით ავარდნილს, გუმბათიდან არ დაუნახავს ერთმანეთზე მიყრილი და უსასრულობამდე გაშლილი სოფლები, სავსე და დიდებული, ჩაფლული გაუთავებელი ვაზის ხეივნებში. მთელს ამ უზარმაზარ ველზე არ არის არც ერთი გოჯი, არ არის არც ერთი წერტილი, სადაც ადამიანს წარსულიდან დღემდე არ შეექმნას თავისი შრომით მატერიალურად თუ სულიერად ძლიერი და ღირსეული რამ, ტყისპირას გაგონილ დაუნერულ, ერთად მოვარდნილ სიმფონიასავით იღვრება თვალწინ ძველი ციხეები, ეკლესიები, ბურჯები და ამ ეპოქაში ნაშენი ხიდები, სწორი უგეგმიანესი ალენებით. ამ გეგმიანობიდან სინათლესავით მოდის შეუჩერებელი რაღაც ახალი, სიცოცხლისუნარიანი. მისი ეგზოტიკისათვის უცნობი ძალა იპყრობს გუმბათის თავზე მდგომის სხეულს, ახალი, შეუცნობლად კანონზომიერი, შეერთებული გრანდიოზულ უსიტყვო შრომასთან. ის ფიქრობს: საიდან მოდის ეს სიცოცხლისუნარიანობა, და პასუხობს: ის თვითონ ჩემშია, ის თვითონ ხალხშია. მაგრამ აქ ზო-



გიერთი დაბნეულა და ველარ გრძნობენ შემოქმედის ნამდვილ სიამოვნებას, სიამოვნებას შრომისა, რადგან ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკობაში.

მის ფეხქვეშ დგას ალავერდი, სხვისი გრანდიოზული ვნებისაგან შექმნილი, თვითონ კი... გუმბათის თავზე შერჩენილს ელიმება, ისე უაზრობად ეჩვენება აქ დგომა. ქვევით იხედება და ღიმილი სიცილად იქცევა – დაბლა უკვე დაშლილა ხალხი და ის სულ მარტოა აქ, ამ საშუა ადგილას. ალვნებში მწყობრად ინთება სინათლეები და ჩამოსულს მხოლოდ ცხენის მიგდებული, უაღვირო ლეში აგონებს თავის უნებურ, უაზრო, გაუმიზნავ, უნაყოფო სურვილს.

სინათლეები კი სულ მატულობს და საოცარი ჰარმონიით ერევა ალაზნის მდუმარე ველს, რომელსაც ის ფეხით მიჰყვება ალვანისაკენ“.

გურამ რჩეულიშვილს ჩვენს მწერლობაში თან მოჰყვა თანამედროვეობის სუნთქვა. მას ღრმად ჰქონდა განვითარებული ფორმის სიახლის გრძნობა. ამიტომ შეითვისა მან ასე ბუნებრივად ჩვენი დროის მხატვრული პროზის დიდოსტატთა თავისებური ნერვიული, დაძაბული მანერა. მაგრამ, ამავე დროს, მთელ მის ადამიანურ იერში და მწერლურ ბუნებაშიც იყო რაღაც შორეული, ძველქართველური. თანამედროვე ქალაქის შვილს, თბილისში გაზრდილსა და დავაჟკაცებულს, თითქოს ევინროებოდა აქაური ქუჩების რკალი, დიდხანს ვერ ეგუებოდა ყოველდღიური ცხოვრების ერთფეროვან რიტმს და პირველშეძლებისთანავე მარტოდ ან ვინმე შეჩვეულ მეგობართან ერთად მიიჩქაროდა მთებისკენ, ზღვისკენ. ბევრს დადიოდა თავისი განუყრელი დიდი და მძიმე ფეხსაცმელებით, ესწრებოდა ხევსურულ ხატობას, დოღს, ალავერდობის დღესასწაულს, ერეოდა ქართველ გლეხკაცობაში, ყველგან იჩენდა მეგობრებს, მეტოქეებს. ის თითქოს გამძაფრებით დაეძებდა რაღაცას, რის გარეშე მისი ძლიერი და მთრთოლვარე სხეული შეიძლება გამხმარიყო, გამოფიტულიყო...

ქალაქური ღამეების დაძაბულ სიმყუდროვეში მას ალბათ ხშირად აღვიძებდა ძარღვებში მომსკდარ წინაპართა სისხლის ამბოხი და ის მეორე დილით ჩქარი ნაბიჯით მიჰყვებოდა მცხეთის გზას, ჭაბუკური დაჟინებით ცდილობდა დაეინყებიდან გამოენვია უფლისციხის იდუმალი აჩრდილები, მარტოდმარტო მისდევდა ვაჟა-ფშაველას ნაკვალევს, ან კიდევ მასსავით თავზე ხელაღებულ მთიელ ბიჭებთან ერთად სიპ ბილიკებზე დააჭენებდა გაუხედნავ, ფეთიან კვიცებს.

ასე დაინერა მისი „თვირთვილა“, „უფლისციხე“, „ალავერდობა“.

... მასში ნამდვილად ბევრი რამ იყო ახალი, უჩვეულო და ეს ზოგიერთებს გარეგნულ პოზად მიაჩნდათ.

... უცნაურად უყვარდა ზღვა... მოთხრობა „ირინა“, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა, გაჟღენთილია ზღვის სუნთქვით. ზღვა აქ ადამიანის ცოცხლობს, იცინის, სულში შემოდის. ზღვა არის ფონი სიყვარულის – ტკბილი და მწარე, ეჭვიანი, დაუშოშმინებელი ორთა სიყვარულის ამბისა. ის თითქოს ქალივით იზიდავს, ათბობს და ეალერსება ამ მოთხრობის გმირს. და, ამავე დროს, აქაც, ისევე როგორც „ნელ ტანგოში“, ნამდვილად იგრძნობა ფარული ძრწოლა ზღვის მიმართ, მასში რაღაც მტრული, ვერაგი ძალის შეგრძნება.

### ჰერმან ჰესე

ჰესე ინტელექტუალურ მწერალთა რიგს განეკუთვნება; მის თხზულებებში ვხვდებით სრულიად განსხვავებული აზრობრივი სფეროდან გამომდინარე იდეებს. ჰესემ რთული შემოქმედებითი ევოლუცია განვლო. მისი ადრინდელი ნაწარმოებები ალბექდილი იყო ესთეტიზმითა და ნეორომანტიკული სულისკვეთებით; მომდევნო წლებში თავი იჩინა რეალისტურმა, სოციალურ-კრიტიკულმა ტენდენციებმა. ჰესეს პირველი მსოფლიო ომის შემდგომ შემოქმედებას ღრმა კვალი დაამჩნია დასავლეთის სამყაროს სულიერი კულტურის კრიზისის განცდამ. მის მხატვრულ ძიებათა ცენტრში მოექცა თვითმყოფი და ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბების პრობლემა, რაც მის ნოველისტიკაშიც დამკვიდრდა. ჰესეს შემდგომ რომანებსა და მცირე პროზაულ თხზულებებს საფუძვლად უდევს სიცოცხლის „ბიპოლარული“ ხასიათი, მათში საპირისპირო პოლუსთა ჰარმონიული ურთიერთშეთანხმების იდეაა წარმოჩენილი. ჰესეს პროზისათვის დამახასიათებელია თხრობის ინტელექტუალიზაცია, ესეიზმი, სიმბოლურ-ალეგორიული ელემენტების სიჭარბე და ფილოსოფიური სიღრმე. მის თხზულებებში ორი სინამდვილეა წარმოდგენილი – გარეგანი, ყოფით-ემპირიული და შინაგანი, აიმბოლურ-ალეგორიული, რომელსაც თვითონ უწოდებს „მაგიურს“.

ჰესეს მიღებული აქვს მრავალი ლიტერატურული პრემია – ფონტანეს (1919), გოეთეს (1948), რააბეს (1950), გერმ. წიგნით მოვაჭრეთა მშვიდობისა (1955) და სხვ. 1956 წელს დაარსდა ჰესეს სახელობის პრემია.

გაგაცნობთ მის წერილს: „კითხვის შესახებ“.

### კითხვის შესახებ

ადამიანთა უმრავლესობამ კითხვა არ იცის, უფრო მეტს კი ბოლომდე ვერ გაუგია, რატომ კითხულობს. ზოგიერთები თვლიან, რომ კითხვა, ძირითადად, მძიმე, მაგრამ აუცილებელი რამაა „განათლებისთვის“, და ნებისმიერი საკითხავი მათ, დიდი-დიდი, „განათლებს“. სხვებისთვის კითხვა მსუბუქი სიამოვნებაა, დროის მოკვლის საშუალება, და მათთვის, სინამდვილეში, სულერთია, რას წაიკითხავენ, ოღონდ კი არ მოიწყინონ. ასე, ბ-ნი მიუღერი გოეთეს „ეგმონტს“ ან მარკგრაფინის ქალის, ფონ ბაიროიტის მოგონებებს კითხულობს, იმის იმედით, რომ უფრო განათლებული გახდება და შეავსებს თავის ცოდნას, რომლის ნაკლებობასაც თავად განიცდის. ის, რომ ცოდნის ნაკლებობას ასე მძაფრად გრძნობს და არ ივიწყებს, უკვე იმის მანიშნებელია, რომ მისი აზრით განათლება რაღაც გარედან მომავალია და იგი შრომით მიიღწევა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ რაც არ უნდა ისწავლოს, მასში ყველაფერი მკვდარ და უნაყოფო ცოდნად დარჩება.

ბატონი მაიერი კი „სიამოვნებისთვის“ კითხულობს, ანუ მოწყენილობის ყვამს. დრო ბევრი აქვს, რენტიეა, დრო იმაზე მეტი აქვს, რამდენის გამოყენებასაც შეძლებდა. მაშასადამე, მწერლები მას გრძელი დღის მოკვლაში უნდა დაეხმარონ. იგი ისევე კითხულობს ბალზაკს, როგორც კარგ სიგარას ეწევა, და ისევე კითხულობს ლენუას, როგორც გაზეთს. არადა, ეს ბატონები, მიუღერები და მაიერები (ისევე, როგორც მათი ცოლები, ვაჟები და ასულები), სხვა რამეებში სულაც არ არიან არჩევანსა და დამოუკიდებლობას მოკლებულები. თავიანთ ფასიან ქალაქებს სათანადო მიზეზების გარეშე არასოდეს ყიდულობენ და ყიდიან, გამოცდილი აქვთ, რომ ძილის წინ მძიმე საჭმელის მიღება არასასურველია, და ფიზიკურად იმაზე მეტად არ იტვირთავენ თავს, ვიდრე ჯანმრთელობისთვის არაა აუცილებელი. ზოგიერთი მათგანი სპორტსაც კი მისდევს და ამ ნიშანდობლივი დროსტარების საიდუმლოშიც ერკვევა, იცის, რომ სპორტით ჭკვიან ადამიანს არა მარტო სიამოვნების მიღება, არამედ გაახალგაზრდავება და ჯანზე მოსვლაც შეუძლია.

ჰოდა, ისევე, როგორც ვარჯიშობს ან ნიჩაბს უსვამს, ბატონმა მაიერმა უნდა იკითხოს კიდევ. იმ საათებისაგან, რომლებსაც კითხვას ანდომებს, არანაკლები ხეირი უნდა ჰქონდეს, ვიდრე იმ დროისგან, რომელსაც თავის საქმეს ახმარს, და მას არ უნდა აცდუნებდეს ისეთი წიგნი, რო-

მელიც ცოდნით არ გაამდიდრებს, ოდნავ მაინც უფრო ჯანმრთელს, ერთი დღით უფრო ახალგაზრდას არ გახდის. განათლება მას ისევე ნაკლებად უნდა ადარდებდეს, როგორც პროფესორის ნოდების მოპოვება, და რომანების გმირ ყაჩაღებთან და საროსკიპოების მფლობელებთან ურთიერთობა ისევე უნდა რცხვენოდეს, როგორც ნამდვილ ნაძირალებთან საქმის დაჭერა. მაგრამ მკითხველი ასე მარტივად არ მსჯელობს, ის დაბეჭდილ სამყაროს განიხილავს როგორც უდავოდ ამაღლებულ რამეს, ბოროტსა და კეთილს მიღმა არსებულს, ანდა ამრეზით უყურებს ამ სამყაროს, როგორც არარეალურს, მეოცნებეების მიერ გამოგონილს, რომელიც მხოლოდ იმისთვის ვარგა, რომ მონყენილობის ჟამს მიაკითხო, და საიდანაც არანაირ ხეირს არ უნდა ელოდე, დიდი-დიდი, ის შეგრძნება გამოგყვეს, რომ რამდენიმე საათი სასიამოვნოდ გაატარე. მიუხედავად ლიტერატურის მცდარი შეფასებისა და დაკნინებისა, ბ-ნი მიუღერი და ბ-ნი მაიერი, როგორც წესი, ძალიან ბევრს კითხულობენ. იმ საქმეს, რომელიც მათ, სინამდვილეში, სულ არ ეხებათ, მეტ ყურადღებას და დროს უთმობენ, ვიდრე რამე სხვა საქმეს. შესაბამისად, გუმანით მაინც ხვდებიან, რომ წიგნებში არის რაღაც, არცთუ მთლად უმნიშვნელო. ოღონდ მათი წიგნების მიმართ დამოკიდებულება იმდენად პასიური და თავისუფალ ნებას მოკლებულია, რომ, ბიზნესში იგივე რომ ჭირდეთ, დიდი ხნის გაკოტრებულები იქნებოდნენ.

ის მკითხველიც, რომელიც დასვენებასა და დროის გატარებას ცდილობს, და ისიც, ვინც საკუთარ განათლებაზე ზრუნავს, წიგნებში ერთგვარ მაცოცხლებელ და სულიერად ამაღლებელ ძალას გრძნობენ, თუმცა დანამდვილებით არაფერი იციან და არც რამის შეფასება შეუძლიათ. ისინი უგუნური ავადმყოფებით იქცევიან, რომლებმაც იციან, რომ აფთიაქში ბევრი კარგი ნამალია და ამიტომ იქ ყველა საშუალების გასინჯვას ცდილობენ, ყველა კოლოფის, ყველა შუმის ნახვას. არადა, კარგი იქნებოდა, თუ წიგნის მაღაზიასა და ბიბლიოთეკაში, კარგი აფთიაქის მსგავსად, ყველასთვის მონახულიყო საკუთარი საშუალება, რომ მონამვლისა და ზედმეტის მოხმარების გარეშე ყველას შეძლებოდა ახალი ძალების მოკრება.

ჩვენ, ლიტერატორებს, გვსიამოვნებს, რომ ხალხი ამდენს კითხულობს, და ალბათ ავტორის მხრიდან არცთუ ჭკვიანურია იმის თქმა, რომ ხალხი მეტისმეტად ბევრს კითხულობს. მაგრამ როცა ეს ამბავი დიდხანს გრძელდება, საყოველთაოდ არასწორად გაგებული და ბოროტად გამოყენებული საქმიანობა სულ უფრო ნაკლებად სასიამოვნო ხდება, და ათი კარგი, მადლიერი მკითხველის ყოლა, ნაკლები მოგების მიუხედავად, ათასი უმადურის ყოლაზე უკეთესიცაა და უფრო სასიხარულოც.

ამიტომ გავკადნიერდი და ვაცხადებ, რომ ხალხი, საზოგადოდ, მეტისმეტად ბევრს კითხულობს და ეს „კითხვადობა“ ლიტერატურისთვის პატივი კი არა, ზარალია. წიგნები იმისთვის როდი იწერება, რომ დამოუკიდებლობას მოკლებული ხალხი კიდევ უფრო უნიათო გახდეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ იმისთვის იყენებენ, რომ უსიცოცხლო ადამიანებს იაფად მიაწოდონ რაღაცა, რაც ცხოვრების ილუზიას ქმნის და თითქოს მისი შემცველია. არადა, წიგნები ხომ მხოლოდ მაშინაა ფასეული, როცა სიცოცხლეს გვაზიარებს, სიცოცხლეს ემსახურება, და კითხვის ყოველი საათი ფუჭადაა ჩავლილი, თუ მკითხველს ერთი წვეთი ძალა, ახალგაზრდობა, ხალისი მაინც არ შემატა.

გარეგნულად კითხვა ისეთი რამაა, რომელიც კონცენტრაციას მოითხოვს, და „დარდის გასაქარვებლად“ კითხვა ტყუილი ამბავია. თუ ადამიანი სულით ავადმყოფი არაა, არაფრის გაქარვება არ სჭირდება, პირიქით, ყველგან ყურადღებით ყოფნა მართებს - სადაც არ უნდა იმყოფებოდეს, რასაც არ უნდა აკეთებდეს, რასაც არ უნდა გრძნობდეს - მთელი არსით მოვლენებში უნდა იყოს ჩართული. ასევე, კითხვის დროს უნდა გვესმოდეს, რომ ყოველი კარგი წიგნი, უპირველეს ყოვლისა, ყურადღების გამახვილებას გულისხმობს, ჩახლართული ამბების ერთ წერტილში კონცენტრირებას და გამარტივებას. ადამიანური გრძნობების ასეთი გამარტივება და კონცენტრირება სულ პატარა ლექსითაც შეიძლება, და თუ მისი კითხვისას იმის ძალა არ შემწევს, რომ ყურადღება მოვიკრიბო, თანამონაწილე და თანამგრძნობი არ გავხდეთ, ცუდი მკითხველი ვყოფილვარ. ის, რომ ამით ლექსისა თუ რომანის მიმართ უსამართლობას ვიჩენ, შეიძლება არ მალეღებდეს, მაგრამ ცუდი კითხვით, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის მიმართ ვარ უსამართლო. დროს ისეთ რამეზე ვხარჯავ, რაც ფასეული არაა, მხედველობას და ყურადღებას ჩემთვის უმნიშვნელო რამეს ვახმარ, იმას, რაც - წინასწარ ვიცი - მზად ვარ უმაღვე დავივიწყო, გონებას ვლლი შთაბეჭდილებებით, რომლებიც ჩემთვის უსარგებლოა და რომელთა გადახარშვაც არ შემიძლია.

ხშირად იტყვიან ხოლმე, ეს „ცუდი კითხვა“ გაზეთების ბრალიაო. მე ასეთი აზრი სრულიად მცდარად მიმაჩნია. შეიძლება ყოველდღიურად იკითხო გაზეთი ან გაზეთები და ამავე დროს კონ-

ცენტრირებულად და ქმედითუნარიანად დარჩე, ახალი ამბების ამორჩევა და სწრაფი კომბინაცია ძალიან ჯანმრთელი და ფასეული ვარჯიშიც კია. ამ დროს, სავსებით შესაძლებელია, რომ განათლებას დანატრებულმა მაიერმა თუ სიამოვნებისთვის მკითხველმა იმგვარად წაიკითხო „არჩევითი ნათესაობა“, რომ ის სრულიად უსარგებლო იქნება.

ცხოვრება ხანმოკლეა, და იმქვეყნად არავის მოეკითხება, რამდენ წიგნთან შეძლო გამკლავება. ამიტომ არცთუ ჭკვიანურია და მეტიც, მავნეა ფუჭ კითხვაზე დროის ხარჯვა. მე ცუდ წიგნებს კი არა, კითხვის ხარისხს ვგულისხმობ. კითხვისაგან, ისევე, როგორც ცხოვრებაში ყოველი ნაბიჯისა და ჩასუნთქვისგან, რაღაცას უნდა ველოდეთ, მას ძალა უნდა დავახარჯოთ, რომ მეტი მივიღოთ, უნდა დავიკარგოთ, რომ უფრო ცნობიერად აღმოვაჩინოთ საკუთარი თავი. ლიტერატურის ისტორიის ცოდნას არანაირი ფასეულობა არ გააჩნია, თუკი ყოველმა წაკითხულმა ტომმა ნუგეში, ან ძალა, ან სულიერი სიმშვიდე არ მოიტანა. უაზრო, დაბნეული კითხვა იგივეა, რაც ლამაზ მიდამოში თვალახვეული სეირნობა. არც იმისთვის უნდა ვიკითხოთ, რომ საკუთარი თავი და ყოველდღიური ცხოვრება დაგვაგინყდეს, პირიქით, უფრო ცნობიერად და გონივრულად უნდა მოვკიდოთ მტკიცე ხელი ჩვენს ცხოვრებას. წიგნებს ისე არ უნდა მივუდგეთ, როგორც შეშინებული მოსწავლეები – ამპარტავან მასწავლებელს, და არც ისე, ფუქსავატები რომ მიადგებიან ხოლმე არყის ბოთლს, – არამედ ისე, როგორც მთამსვლელები უდგებიან ალპებს, მებრძოლები – არსენალს. უნდა ვიყოთ არა დევნილები და ცხოვრების არმოსურნენი, არამედ კეთილი ხალხი, რომელსაც მათთან აქვს საქმე, ვინც მისი მეგობარი და შემწეა. ასე რომ იყოს, ასე რომ მოხდეს, იმის მეათედსაც აღარ წაიკითხავდა ხალხი, რასაც ახლა კითხულობს, და ყველანი ათჯერ უფრო გახარებულები და მდიდრები ვიქნებოდით. ხოლო თუ ეს იმას გამოიწვევდა, რომ ჩვენს წიგნებს არავინ იყიდდა და ჩვენ, მწერლები, ათჯერ ნაკლებს დავწერდით, სამყაროს ამით არაფერი დაუშავდებოდა. ვინაიდან, კითხვისა არ იყოს, არც წერის საქმეა კარგად.



## VI თემა: „ხანი უნდობარი“

### ჭაბუა ამირეჯიბი

შვილებო და შვილიშვილებო!

ეს წერილი თვრამეტისას წააკითხეთ თქვენს ბალებს.

ჩემო პატარა ბატონებო და ქალბატონებო!

ბატონობით მოგმართავთ, რადგან სულ ცოტა ათი არისტოკრატიული გვარისა და ბატონთა მოდგმისანი ხართ.

ოთხმოცისა გიტოვებთ ამ წერილს თქვენი პაპა და პეპერა მზეჭაბუკ (ჭაბუა) ირაკლის ძე ამირეჯიბი და თავს მოვალედ ვთვლი, ზოგი რამ გირჩიოთ:

წარმომავლობა გიხსენეთ. სწორედ ეს უნდა იყოს პირველმიზეზი იმისა, რომ ამპარტავნობისკენ კი არა, თავმდაბლობის, მიმტევებლობისა და სიყვარულისკენ უნდა მიიღრიკოს თქვენი ხასიათი, სიცოცხლისა და სამყაროსადმი დამოკიდებულება.

მთავარი მაინც ის არის, რომ თქვენ მხოლოდღა დედ-მამისა და ბებია-პაპების ნაშეიერი კი არა, ქართველი ერის შვილები ხართ ისევე, ყოველი ქართველი მამულიშვილი – ერისა, რომლის უანგარო სამსახურს შეალიეს თავისი სიცოცხლე ჩვენ წინაპართაგან ურჩეულესებმა. უნდა იცოდეთ და ყოველი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმისას ითვალისწინებდეთ, რომ ხალხი, როგორც ფენომენი, მხოლოდღა დღესდღეობითი ნაწილია იმ მარადიულობისა, რასაც ქართველი ერი ჰქვია, ხოლო ერის სანყისი და ძირითადი ბირთვი ოჯახია, რაიც თავად თქვენც უეჭველად უნდა შექმნათ და იმრავლოთ, რათა ხსენებული მარადისობა უზრუნველყოთ. ეს თქვენი წმიდათანმიდა ვალია!

სამშობლოში თქვენი ოჯახის ელჩი და სახე უნდა იყოთ, სამშობლოს გარეთ თქვენი ერის სინდისი და ღირსება.

უნდა ეცადოთ, არავინ გძულდეთ. სიძულვილი ბოროტებას ბადებს. მტრისაც კი პატივისცემა გმართებთ, რადგან იგი თქვენში მებრძოლს აყალიბებს.

ჩინური ანდაზაა – „თუ გინდა იდგე – სულ უნდა ირბინო“. იგულისხმება განუწყვეტელი მოქმედება. ასეთები იყვნენ თქვენი წინაპრები, მათ შორის თქვენი პაპები და პეპერები. იმ დროისთვის, როცა ამ წერილს წაიკითხავთ, უკვე გეცოდინებათ, რას მიაღწიეს მათ მოღვაწეობის სხვადასხვა დარგში და იცოდეთ, ყოველივე იმის წყალობით იყო, რომ სულ დავრბოდით. ახლის ძიება, მოქმედება და აღსრულება იყო ჩვენი სიცოცხლის აზრი და დევიზი. ყოველივე ადამიანი (მათ შორის თქვენც), უპირველესად ყოვლისა, საკუთარი შესაძლებლობების ჯამი და ყულაბაა. შესაძლებლობები კი კაპიტალია. კაპიტალს ასეთ ნიადაგში ჩაბანდება ურჩევნია, საიდანაც მეტი ამონაგები ექნება.

დააკვირდით, ვინ მეტი მოიმკა, ვინც საკუთარ მატერიალურ კეთილდღეობაში ჩააბანდა, თუ მან, ვინც მამულიშვილობაში, სამშობლოს სამსახურში, ერის, ადამიანისა და მშვენიერების სიყვარულში ჩაიფერფლა? იფიქრეთ ამაზე, გამოიტანეთ დასკვნა და ისე აირჩიეთ თქვენი „სირბილის“ ასპარეზი.

იმედს ვიტოვებ, რომ ღირსეულად გასწევთ თქვენი წინაპრების დამსახურებათა, თავდადებისა და უკვდავი სახელების საამაყო ჭაპანს იმ ოთხი სათნოებით მათ ჩვენ – თავის ჩამომავალთ რომ გვიანდერძეს – ვაჟკაცობით, სამართლიანობით, თავშეკავებითა და გონიერებით.

დანარჩენს საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება შეგძენთ.

სამშობლო უწინარეს ყოვლისა!

თქვენი პაპა-პეპერა – ჭაბუა ამირეჯიბი  
თბილისი, 04.07.20

## IX თავა „უსიყვარულოდ“

### ო'ჰენრი

ო'ჰენრი (1862-1910) ამერიკელი ნოველისტი, მოულოდნელი დასასრულების ოსტატი, რომელიც ნიუ-იორკში მცხოვრებ ჩვეულებრივ ხალხზე წერდა. ო'ჰენრის მოთხრობები გამორჩეულია სიუჟეტის მიხვევ-მოხვევით და ჩახლართულობით.

ცოტა ვინმემ თუ იცის ვინ იყო უილიამ სიდნი პორტერი, მაგრამ ო'ჰენრი ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, ყველას ეცოდინება, მიუხედავად იმისა, იცნობს თუ არა მის შემოქმედებას. სინამდვილეში კი უილიამ სიდნი პორტერი და ო'ჰენრი ერთი და იგივე პიროვნებაა. ო'ჰენრი მისი ფსევდონიმია, რომელიც, სავარაუდოდ, იმ ციხის (Ohio Penitentiary) შემოკლებაა, რომელშიც მან სამი წელი გაატარა...

უილიამ სიდნი პორტერი დაიბადა გრინსბოროში, სამხრეთ კაროლინა. მამამისი, ალგერონ სიდნი პორტერი, ექიმი იყო. როდესაც უილიამი სამი წლის გახლდათ, დედა გარდაეცვალა, იგი აღიზარდა მამის მხრიდან ბებიისა და მამიდის მიერ. უილიამი გაუმაძღარი მკითხველი იყო, მაგრამ მან 15 წლის ასაკში სკოლა მიატოვა, იგი მუშაობდა აფთიაქსა და ტეხასის ფერმაში. ის გადავიდა ჰიუსტონში, სადაც მას რამდენიმე სამსახური ჰქონდა, იყო ბანკის მოხელე. აუსტინში გადასვლის შემდეგ იგი 1882 წელს დაქორწინდა.

1884 წელს მუშაობა დაიწყო იუმორისტულ ჟურნალ „როლინგ სტოუნში“ (მოძრავი ქვა). როდესაც თავისუფალი იყო იგი ჰიუსტონ პრესის რეპორტიორი და სვეტის წამყვანიც გახლდათ. ერთხელაც, რევიზიის დროს, ხუთი ათასი დოლარის ოდენობის დანაკლისი აღმოუჩინეს და ფულის უმიზნოდ განკარგვა მას დაბრალდა. ამის გამო იგი 1 წელი (1897 წ.) ჰონდურასში ემალებოდა მართლმსაჯულებას. აშშ-ში კი იმის გამო დაბრუნდა, რომ ცოლი გაუხდა ავად. 1898 წელს პოლიციას ჩაბარდა და ოჰაიოში, კოლუმბუსის ციხეში ჩასვეს. 5 წლის მაგივრად 3 წელი მოიხადა სასჯელი. „კარგად მოქცევისათვის“ ორი წელი მოუხსნეს. ციხიდან გამოგზავნილ წერილებში იგი წერდა: „აქ ადამიანის სიცოცხლე გაუფასურებულია. ჭლეტი ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც ციხის გარეთ სურდო, თვითმკვლელობა კი ისეთი ხშირია, როგორც ზაფხულში გასეირნება... დამწყვეთელ უბედურთა კვნესა და ყვირილი მოქმედებს ჩემზე, როგორც ცივი სამართლებლის პირი კისერთან. ყვირილი შემოიჭრება ხოლმე ჩემს მოთხრობებში, როგორც ჩონჩხის ძვლების ჩხარუნი საქორწილო მხიარულებაში“.

პატიმრობის პერიოდში ო'ჰენრიმ დაიწყო ნოველების წერა, შოულობდა ფულს და ეხმარებოდა მის დას, მარგარეტს. მისი პირველი ნამუშევარი: „სტვენია დიკის საშობაო ცეცხლი“ (1899), დაიბეჭდა მაკკლურის ჟურნალში. როდესაც პორტერმა მოიხადა სასჯელის 5 წლიდან 3 წელი, გამოვიდა ციხიდან 1901 წელს და გადაირქვა სახელი: ო'ჰენრი.

1902 წლის დეკემბრის მინურულს ო'ჰენრი ნიუ-იორკში გადავიდა. 1906 წლის იანვარში მან დაწერა მოთხრობა ნიუ-იორკის მსოფლიო მნიშვნელობის შესახებ, რომელიც აგრეთვე გამოქვეყნდა სხვადასხვა ჟურნალში. ო'ჰენრის პირველი კრებული: „კომბოსტოები და მეფეები“ გამოქვეყნებულ იქნა 1904 წელს. მეორე, „4 მილიონი“, გამოიცა 2 წლის დაგვიანებით, რომელიც შეიცავდა მის უცნობილეს ნოველებს: „მეგის საჩუქარი“ და „მორთული ოთახი“. „მონესრიგებული ლამპა“ (1907) შევიდა კრებულ „უკანასკნელ ფოთოლში“. ჰენრის უცნობილესი ნაშრომია ანთოლოგიის ტიპის „ნითელი შეფის გამოსასყიდი“, რომელიც შესულია კრებულ „კარუსელში“ (1910). დასავლეთის გული (1907) წარმოდგენილია მოთხრობათა კრებულ „ტეხასის საძოვარში“. ო'ჰენრიმ გამოსცა 10 კრებული, რომელშიც შესულია 600 და მეტი ნოველა, რომელთაც წერდა სიცოცხლის ბოლომდე.

ო'ჰენრი მოთხრობების დიდოსტატია. არ დაუწერია რაიმე მოზრდილი ნაწარმოები. სიკვდილის წინ თქვა, რომ რაც აქამდე დავწერე, ამ დიდი წიგნისთვის მზადებაა, ახლა რომ დავწერო, თუმცა არ დასცალდა. მისი სამი მოთხრობა: „ექვსიანები და შვიდიანები“, „მოძრავი ქვები“ და „ცოლები და მანანნალები“ ცნობილი გახდა მისი სიკვდილის შემდგომ.

ო'ჰენრი ბოლო წლებში დაავადდა ალკოჰოლიზმით, რასაც ფინანსური პრობლემები დაემატა. ის დაქორწინდა სარა ლინდსი კოლემანზე 1907 წელს, მაგრამ მისი ქორწინება ბედნიერი არ ყოფილა, ერთი წლის შემდეგ ისინი გაეყარნენ.

ო'ჰენრი 1910 წლის 5 ივნისს ნიუ-იორკში გარდაეცვალა დიაბეტისა და ღვიძლის ციროზისაგან, უკიდურესად ღარიბი და მარტოხელა. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „ანთეთ სანთელი – სიბნელეში სიკვდილი არ მინდა“.